## სამძიმარი

### მის აღმატებულებას სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ რ. ს. ქოჩარიანს

თქვენო აღმატებულებავ, [illegible]

ედუარდ შევარდნაძე.

## პრეზიდენტი

### საქართველოსთან პარტნიორობა კიდევ უფრო გაღრმავდება და განვითარდება



3 მაისს საქართველოს პრეზიდენტს [illegible]

საინფორმი.

## საუბარი

### იუნისეფი საქართველოს დახმარებას გაზრდის

3 მაისს საქართველოს პრეზიდენტს [illegible]

საინფორმი.

ჩვენი გაზეთი ინტერნეტში: http://www.open.ge/sakartvelos-respublika

ოთხ დღეში გაზეთს ინტერნეტში გაეცნო 24479 მკითხველი. მათ შორის 56% აშშ-დან, 24% გერმანიიდან.


„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ...“

# საქართველოს რესპუბლიკა

GIOC საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია Georgian International Oil Corporation

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. №107-108 (4167) შაბათი, 4 მაისი, 2002 წელი. ფასი 50 თეთრი.


## „ლიფსიტები“ დიდ კორუფციაში

# ერთი... ოცდაჩვიდმეტის სახელით

ჩვენი ბიუჯეტი ისედაც მწირია, მწირია ის თანხებიც, რომლებიც პენსიებისა და დახმარებებისთვის გამოიყოფა. და მაინც ამ მწირ თანხებსაც ათასი მჭამელი გამოუჩნდა. დევნილთა ფულს, მაგალითად, გემრიელად მიირთმევენ ვითომდა მათზე მზრუნველი ჩინოვნიკებიც და, რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, თვით დევნილებიც. ერთ-ერთ ასეთ ფაქტზე გვესაუბრება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი სოსო ფაცაცია.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონტროლის პალატის მიერ ერთობლივად ჩატარებული შემოწმების საფუძველზე, 2002 წლის 29 მარტს ჩვენთან აღიძრა სისხლის სამართლის საქმე იძულებით გადაადგილებულ ლიანა ხუბულავას მიმართ, რომელიც ყალბი დოკუმენტების დამზადება-გამოყენებით საბიუჯეტო თანხებს დაეუფლა.

ლიანა ხუბულავა, მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის თანდასწრებით, ეჭვმიტანილად დავკითხეთ. მან აღიარა ჩადენილი დანაშაული და დაასახელა სხვადასხვა უწყების თანამდებობის პირები, რომელთა ხელშეწყობითაც 1997-2001 წლებში სისტემატურად ითვისებდა საპენსიო და დევნილთათვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ თანხებს.

იხ. მე-2 გვ.

**ლტოლვილ ლიანა ხუბულავას ყალბი დოკუმენტებით, ხუთი წლის მანძილზე 37 მოგონილი პირის პენსიები და დახმარებები გამოჰქონდა და ითვისებდა. მას ამ „საქმეში“ თანამდებობის პირებიც ეხმარებოდნენ.**

## სტიქიის დასაძლევად

# მოსახლეობა ისევ კარვებს აფარებს თავს

3 მაისს სახელმწიფო მინისტრის სამუშაო დღე ჩვეულებრივ კანცელარიაში დაგეგმილი შეხვედრებით ან აპარატის ტრადიციული თათბირით არ დაწყებულა. ამ დღეს ავთანდილ ჯორბენაძემ დილის 9 საათიდან მიწისძვრით დაზარალებული უბნებისა და იქ მცხოვრები მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაცნობით დაიწყო.

მიუხედავად იმისა, რომ დედაქალაქის მერია, ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო, შესაბამისი უწყებები საგანგებო რეჟიმით მუშაობენ, ალბათ, არასაკმარისი კოორდინაციისა და ასევე არასაკმარისი ფინანსების გამო, თბილისში მომხდარი მიწისძვრის მერვე დღეს, დაზარალებული მოსახლეობის სრულად უზრუნველყოფა დროებითი საცხოვრებელი ფართობით ვერ მოხერხდა.

ნებისმიერი მოქალაქისათვის, ალბათ, უჩვეულოა დილაადრიან სახელმწიფო მინისტრის სტუმრობა. ამ შემთხვევაში კი გაკვირვებას სხვა ემოციები ემატებოდა... მართლაც გასაოცარი იყო მოსახლეობისათვის, რომ სახელმწიფო მინისტრი ჩვეულებრივი, თითქოს უბრალო, მაგრამ მათთვის ძალიან მნიშვნელოვანი შეკითხვით მიმართავდა: — როგორ ხართ? ყველაფერი წესრიგშია? დამატებით რა გჭირდებათ?

* * *

შენობაში, რომელშიც ნაძალადევის რაიონიდან 80-მდე ოჯახია შესახლებული, საყოფაცხოვრებო პირობები მძიმეა. საერთაშორისო დახმარების ფარგლებში დაიწყო ინვენტარისა და სურსათით დახმარების პროგრამის განხორციელება, მიუხედავად იმისა, რომ ამ ოჯახებმა ჭერი იპოვეს, ისინი მაინც ითხოვენ ნორმალური საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფას.

* * *

თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე, კადეტთა კორპუსში კომპაქტურად ჩასახლებული აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა, დაახლოებით 400 ოჯახი უსაფრთხოების მიზნით ისევ კარვებს აფარებს თავს. ამჟამად ტერიტორიაზე კორპუსების აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს. რაიონის გამგეობიდან ხელმძღვანელები რამდენჯერმე მივიდნენ მათთან, მოსახლეობას დაურიგდა პირველადი საჭიროების სურსათი.

იხ. მე-2 გვ.

## დღის განწყობილება



„იმის მერე სულ ვხვეტამ და ვხვეტამ.“

ჯემალ კასრაძის ციკლიდან „მიწისძვრის შემდეგ“.

## დაჯილდოება

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2002 წლის 3 მაისი ქ. თბილისი

**მარატ ბაბაიანის ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ**

საქართველოში მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციის დროს გამოჩენილი თავდადებისათვის, ეპიცენტრში სეისმური მოწყობილობების გამართვასა და არსებული სადგურების ამუშავებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და თავდაუზოგავი მუშაობისათვის სეისმური დაცვის სამსახურის ერთი-ერთი შემქმნელი, სომხეთის რესპუბლიკის მთავრობასთან არსებული სეისმური დაცვის ეროვნული სამსახურის გაზომვითი სისტემების ექსპლუატაციის ცენტრის უფროსი, ღვაწლმოსილი სეისმოლოგი **მარატ ბაბაიანი** დაჯილდოვდეს ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით (სიკვდილის შემდეგ).

ედუარდ შევარდნაძე.

## შევეწიოთ!

### სამების ტაძარი საუკუნის მშენებლობაა



**ტაძრის მშენებლობას შეეწივნენ:**

| | |
|---|---|
| შსს დაცვის პოლიციის დეპარტამენტი | – 5000 ლარი; |
| მარინა გეგენავა | – 100 ლარი; |
| ილია, ლევან, ელენე და ომარ ხაზარაძეები | – 36 ლარი; |
| გიორგი, ნიკოლოზ და ლამა ხაზარაძეები | – 27 ლარი; |
| მაია ნინუა | – 9 ლარი; |
| მზია ტყებუჩავა | – 9 ლარი; |
| მერი მამალაძე | – 9 ლარი; |
| ნანა ცინცაძე | – 10 ლარი; |
| ლაურა ნაცვლიშვილი | – 10 ლარი; |
| მზია მალაზიძე | – 10 ლარი; |
| ქეთევან ჯავახაძე | – 10 ლარი; |
| ნოდარ მაღრაძე | – 10 ლარი; |
| ლეილა ხუჭუა | – 1 ლარი; |
| ლალი ნაცვლიშვილი | – 1 ლარი; |
| ზვიად არონიშიძე | – 10 ლარი; |
| გრიგოლ არონიშიძე | – 10 ლარი; |
| ქეთინო, ზურაბ და სერგო ჯაფარიძეები | – 50 ლარი; |
| ლერი მაღლაფერიძე (უმცროსი) | – 100 ლარი; |
| გიორგი კაკუშიძე | – 5 ლარი; |
| ყულაბებიდან | – 2 595 ლარი და 2 დოლარი. |

## ვულოცავთ!

### პოეტისა და ჟურნალისტის ნანა ღვინეფაძის აღიარება



გუშინ საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციაში გაიმართა პრეზიდიუმის მორიგი სხდომა, რომელმაც სხვა აქტუალურ საკითხებთან (მიწისძვრით დაზარალებულ ჟურნალისტთა თანადგომა, აფხაზეთში დაღუპულ ჟურნალისტთა ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით ძეგლის დასადგმელად ადგილის შერჩევის პრობლემა, ჟურნალისტთა ფედერაციის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხებზე მომუშავე საბჭოს შექმნა) ერთად იმსჯელა ჟურნალისტთა ფედერაციის პრემიების მინიჭების შესახებ.

გამოჩენილი ქართველი პუბლიცისტის და საზოგადო მოღვაწის **ნიკო ნიკოლაძის** სახელობის პრემია, ფედერაციის პრეზიდიუმის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით მიენიჭა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ კულტურის რედაქციის რედაქტორს, ცნობილ პოეტსა და ჟურნალისტს **ნანა ღვინეფაძეს წიგნისთვის „შარავანდედი“, მთელი მისი პუბლიცისტური შემოქმედების გათვალისწინებით.**

ნანა ღვინეფაძე 50 წელიწადზე მეტია დიდი მონდომებით, გამორჩეული პროფესიონალიზმით იღვწის ჟურნალისტურ სარბიელზე და მისი შემოქმედების ესოდენ აღიარება ჩვენი გაზეთის თითოეული თანამშრომლის გულწრფელი სიხარულია კოლეგის „სიკეთესა ზედა“. ვულოცავთ!

სერგეი მესხისა და ჟურნალისტთა ფედერაციის პრემიები წლეულს არ გაიცა წარმოდგენილი ნამუშევრების სიმწირისა გამო.

სპარტაკ ქოგულია.

## სიკეთე

# ჩხიკვთამ წყურვილი მოიკლა...

ლამაზია თეთრიწყაროს რაიონის პატარა სოფელი ჩხიკვთა. მუყაითი და გამრჯე ადამიანები ცხოვრობენ აქ, თუმცა, აქაურ 80-მდე კომლს ერთი დიდი სატკივარიც აწუხებდა: აღმოსავლეთ საქართველოს როგორც ბევრ სოფელში, ჩხიკვთაშიც სასმელი წყლის დეფიციტი იყო. მოსახლეობა, წლების განმავლობაში თითქმის 600 მეტრზე მხრებით ეზიდებოდა სასმელ წყალს. ადგილობრივი ხელისუფლებისადმი მრავალგზის მიმართვის მიუხედავად, საკითხი დადებითად არ გადაწყვეტილა. და აი, გამოჩნდნენ ღვთისნიერი ადამიანები — ბიზნესმენი დავით ბექუაშვილი და რაიონის გამგებელი ვახტანგ ზანგურაშვილი, რომლებმაც საკუთარი სახსრებით უზრუნველყვეს მოსახლეობა სასმელი წყლით. განსაკუთრებით მადლიერი ვართ სოფლის გამგებლის — ზინა დავითაშვილისა და ამ საქმის ინიციატორის — ვახტანგ ვოგლიძისა.

ღმერთმა უმრავლოს საქართველოს სოფლებსა და ქალაქებს ქველმოქმედი ადამიანები!

თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ჩხიკვთას მკვიდრთა სახელით,
ქიტო ბაიდარაშვილი.

## ინფორმაცია

### ხატს მირონი ჩამოსდის

ქუთაისის პეტრე-პავლეს სახელობის ტაძარში, რამდენიმე დღეა ღვთისმშობლის ხატს მირონი ჩამოსდის შვიდი წერტილიდან. ხატი, რომელიც ტაძრის დასავლეთ კედელზე არის დასვენებული, საბერძნეთიდან ჩამოაბრძანეს. ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტის მეუფე კალისტრატეს განმარტებით, მირონის გადმოდინება სიკეთის მაუწყებელია. ეს ქუთაისში ხატიდან მირონის გადმოდინების მეორე შემთხვევაა. პირველ შემთხვევაში მირონი ბაგრატის ტაძარში დასვენებულ ღვთისმშობლის ხატს ჩამოსდიოდა.

### კოდორის ხეობაში პატრულირება დაიწყება

პატრულირებაში მონაწილეობას მიიღებენ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალები და გაეროს წარმომადგენლები.

საქართველომ უკვე შეასრულა ჭუბურხინჯის შეთანხმება და ქართულმა დამატებითმა საჯარისო შენაერთებმა დატოვეს კოდორის ხეობა. სწორედ საქართველოს სახელმწიფოს ინტერესებს შეესაბამება ხეობაში გაეროს მეთვალყურეთა ყოფნა. მსოფლიო გაერთიანება დარწმუნდება, რომ აღნიშნულ ზონაში საქართველო-რუსეთის საზღვარზე მხოლოდ ქართველი მესაზღვრეები იმყოფებიან.

### ექსპერტთა პროგნოზები პრაქტიკამ დაადასტურა

გამართლდა ექსპერტთა პროგნოზები 2002 წლის პირველ კვარტალში ეკონომიკური ზრდის შესახებ. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, მთლიანმა შიდა პროდუქტმა მოქმედი ფასებით შეადგინა 1,6 მილიარდი ამერიკული დოლარი, ზრდის ტემპმა 103,7 პროცენტი.

ეს მაჩვენებლები მიღწეულია ძირითადად სამთომოპოვებელი და მრეწველობის, აგრეთვე სამშენებლო ინდუსტრიის ზოგიერთი სხვა დარგის ვაჭრობის, სასტუმროთა ბიზნესის, ტელეკომუნიკაციების მეოხებით.

პირველ კვარტალში ქვეყნის მრეწველობა გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით უფრო წარმატებით ფუნქციონირებდა.

### ფირმა „კლემენსის“ ტექნოლოგიით

ბათუმის საწარმოო „ალორძინებაში“ დგამენ ფირმა „კლემენსის“ ტექნოლოგიურ ხაზს ქართული ღვინოების გამოსაშვებად. ამგვარ ტექნოლოგიას პირველად იყენებენ საქართველოში. თანამედროვე მოწყობილობებით აღჭურვილი მინიქარხანა სექტემბრიდან გამოუშვებს 5 დასახელების ღვინოს და სპეციალისტთა პროგნოზების მიხედვით წარმოების წლიური მოცულობა დაახლოებით 1500 ტონას შეადგენს. ღვინის გემოვან თვისებათა დასაცავად შენდება თერმოსაიზოლაციო საწყობი. წარმოების ტექნოლოგია ავტომატიზებულია.

### შარშან 31 ჟურნალისტი დაიღუპა

საერთაშორისო ორგანიზაციის „რეპორტიორები საზღვრების გარეშე“ მონაცემებით, შარშან მსოფლიოში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას 31 ჟურნალისტი დაიღუპა.

ორგანიზაციის ყოველწლიურ ანგარიშში, რომელიც 2 მაისს გამოქვეყნდა, ნათქვამია აგრეთვე, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა 100-ზე მეტი თანამშრომელი 2001 წლის დამლევისათვის დაპატიმრებული იყო ბრალდებით, რომელიც პროფესიულ მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული.

### მძღოლებს არ დააჯარიმებენ

დედაქალაქის საგზაო პოლიციის მითითებით, ამ უწყების სამსახურების ხელმძღვანელობამ თბილისის რამდენიმე უბანში ტრანსპორტით გადაადგილება საერთოდ აიკრძალა. ავტომანქანით მოძრაობა შეიზღუდა დიდუბე-ჩუღურეთისა და მთაწმინდა-კრწანისის რაიონებშიც. საგზაო პოლიციის ხელმძღვანელობამ საგზაო მოძრაობაში ამ ცვლილებების შეტანისას მოსახლეობისა და ავტომოყვარულთა უსაფრთხოების უზრუნველყოფით იხელმძღვანელა. ამ და სხვა რაიონების ქუჩებში უკვე ახალი საგზაო ნიშნები დამონტაჟდა, ამ უბნებში იმუშავებს ამ უწყების სპეციალური ჯგუფები. პირველ ეტაპზე, ვიდრე ავტომფლობელები ახალ ნიშნებს და ცვლილებებს შეეჩვევიან, დარღვევებისათვის არ დაჯარიმდებიან.

ინფორმაციები მოგვაწოდა საქინფორმმა.

## გიხაროდეთ!

### ორი ბიჭის დაბადებისას ქალაქიც შეზანზარდა

დავით ქორიძის სახელობის თბილისის № 4 სამშობიარო სახლში მუდამ მშობიარე ქალთა სიმრავლეა. აქ მოსალოგინებლად მახლობელი რაიონებიდანაც ჩამოდიან, ორთაჭალის დასახლებაში მცხოვრებთ ხომ შორს წასვლა არ უწევთ. როცა სამშობიარო სახლებიდან გვიკავშირდებიან, სამედიცინო პერსონალი ჯერ კიდევ მიწისძვრის შთაბეჭდილებით არის. საუბარს იმ მოვლენით იწყებს, მიწისძვრამ კი შეგვაშინა, მაგრამ საქმისთვის არ გვიღალატიაო, ასე გვითხრა უფროსმა მედდამ თამუნა შტაუბერგმა და გვაცნობა:

— მიწისძვრის დროს სამედიცინო პერსონალს პალატებიდან ფეხი არ მოუცვლია, ჩვენ ხომ დედისა და ჩვილის სიცოცხლე გვაბარია; სწორედ 25 აპრილს 22 საათსა და 40 წუთზე 17 წლის თამუნა ჭიღლაშვილს ვაჟი შეეძინა — გიორგი; იმ წუთებში შორენა კილასონია-ბერუაშვილსაც ბიჭი ეყოლა. ორივენი უკვე გაეწერნენ და ვიცით, რომ კარგად არიან. თამუნას და შორენას მაშინ მხოლოდ ერთი შიში ჰქონდათ, ჩვილებს მოვეფრთხილებოდით. ეს ასეც იყო!



პირველი აპრილიდან 3 მაისის ჩათვლით ამ სამშობიარო სახლის სამივე ბლოკში (მთავარი ექიმი დალი გაბიძაშვილი) 385 ბავშვი დაიბადა.

გაიზარდონ!

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

## გვირეკავენ, გვეკითხებიან

— ვარ ჩერნობილის ავარიის ლიკვიდატორი. აგვისტოდან დამენიშნა პენსია.

— რა დროიდან მეკუთვნის პენსია, შემიძლია თუ არა, მოვითხოვო გასული თვეებისა და წლების პენსიის ანაზღაურება?

ნოდარ ელიაშვილი.

— გაცნობებთ, რომ თუ თქვენ, როგორც ჩერნობილის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილემ, პენსიის დანიშვნის უფლება მოიპოვეთ მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში, პენსია აღნიშნული დროიდან გეკუთვნით თვეში 45 ლარის ოდენობით, გასული პერიოდის თანხების ანაზღაურებისათვის კი, კანონიერი საფუძველი არ არსებობს.

ირინე ლლონტი.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90; 93-28-54.

## ამინდი დღეს

**დასავლეთ საქართველოში**

| | | |
|---|---|---|
| დაბლობში: | ღამით +11; | დღისით +20. |
| მთაში: | ღამით +8; | დღისით +16. |

**აღმოსავლეთ საქართველოში**

| | | |
|---|---|---|
| ბარში: | ღამით +9; | დღისით +17. |
| მთაში: | ღამით +6; | დღისით +14. |

**თბილისში**

უმეტესად ღრუბლიანი ამინდი, დროგამოშვებით წვიმა ელჭექით.
ღამით: +9; დღისით: +17.

საქართველოს ჰიდრომეტდეპარტამენტი.

## ლარის კურსი

3 მაისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. | 1 | 3.2252 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.2151 ლარი |
| ევრო | 1 | 1.9940 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0709 ლარი. |

## უკანასკნელ საათს

ისრაელის პრემიერ-მინისტრი არიელ შარონი მიესალმა ამერიკის გეგმას საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის თაობაზე ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტის მოსაწესრიგებლად. იგი ამზადებს ახალ წინადადებებს, რომლებსაც მომავალ კვირაში პრეზიდენტ ბუშთან ვაშინგტონში შეხვედრის დროს განიხილავს.





პალესტინის ლიდერმა იასირ არაფატმა კონფერენციაში მონაწილეობის მზადყოფნა გამოთქვა.

აშშ სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა მომავალ კონფერენციას უწოდა არაფატის უკანასკნელი შანსი ისრაელთან მშვიდობის მისაღწევად.

## ინტერპანორამა

ლიტვის ხელისუფლების წარმომადგენლებმა მიუღებელი უწოდეს რუსეთის თხოვნას, მისცენ სპეციალური სატრანზიტო კორიდორი კალინინგრადამდე. ლიტვის პრემიერ-მინისტრმა ბრიუსელში გამოსვლისას თქვა, რომ ვერც კი წარმოუდგენია ლიტვის ტერიტორიაზე ამგვარი კორიდორის არსებობა.



კოსოვოს პრეზიდენტმა იბრაგიმ რუგოვამ, რომელმაც გუშინ ჩვენება მისცა ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალს, იუგოსლავია კოსოვოს სამხედრო და ძალადობის გზით განადგურების სწრაფვაში დაადანაშაულა.



რუსეთის გენპროკურატურის გამომძიებლები იძიებენ 19 გენერლისა და ადმირალის ბრალდების საქმეს. ისინი ეჭვმიტანილი არიან თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში და გაფლანგვაში. უკვე 500 სისხლის სამართლის საქმეა აღძრული რუსეთის სამხედრო მოსამსახურეების მიმართ.

„საქართველოს რესპუბლიკა“ — ამიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ თვითმფრინავებში.

სამძიმარი

# პატივცემულო სუსანა, ვარსინე და ედგარ,

თბილისში მომხდარი მიწისძვრის შედეგად მოყენებული გულისტკივილი უფრო გააღრმავა კიდევ ერთმა დანაკარგმა - ჩვენს საშველად ჩამოსული ძმის მარატ ბაბაიანის მოულოდნელმა გარდაცვალებამ. მისმა გულმა მრავალ ტანჯვას რომ გაუძლო, შეწყვიტა ძგერა თბილისში და მისი გარდაცვალება იქცა უბედურებად ყოველი თბილისელისათვის, საქართველოს მთელი მოსახლეობისათვის. მარატ ბაბაიანი - ღირსეული მამის შვილი და თავისი საქმის დიდი პროფესიონალი, გულის კარნახით იმყოფებოდა იქ, სადაც იგი უნდა ყოფილიყო — გაჭირვებაში ჩავარდნილი ძმების გვერდით, და ეს იყო მეგობრის, ადამიანის, მოქალაქის საუკეთესო თვისებათა გამოვლინება.

მ.ა. ბაბაიანის ნათელი პიროვნების მადლიერი ხსოვნა სამარადისოა. ნება მიბოძეთ, ჩემი თანამოქალაქეებისა და პირადად ჩემი სახელით გამოგიცხადოთ გულწრფელი სამძიმარი.

ედუარდ შევარდნაძე.

სახელმწიფო მინისტრი

## ფინანსთა და საგადასახადო შემოსავლების სამინისტროების გაერთიანება — ფისკალური პოლიტიკის წარმატებას განაპირობებს

— 2 მაისს გამართულ უშიშროების საბჭოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება, ფინანსთა და საგადასახადო შემოსავლების მინისტრების თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, დროული და სწორი იყო, — განუცხადა 3 მაისს სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ ჟურნალისტებს.

სახელმწიფო მინისტრის აზრით, ფინანსთა და საგადასახადო შემოსავლების უწყებათა კონსოლიდაცია, ამ ეტაპზე ქვეყანაში ეკონომიკურ და ფისკალურ სფეროებში წარმატებათა მისაღწევად ერთადერთი გზაა. ამ გადაწყვეტილების მნიშვნელობას პოზიტიურად აფასებენ როგორც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების, ასევე ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური წრეების წარმომადგენლები. ავთანდილ ჯორბენაძემ აღნიშნა, რომ ფისკალური პოლიტიკის წარმატებული განხორციელება მხოლოდ ერთიანი სისტემის ფარგლებში იქნება შესაძლებელი.

რაც შეეხება ქვეყნის სხვა სტრატეგიულ უწყებებში საკადრო ცვლილებათა განხორციელებას, სახელმწიფო მინისტრის თქმით, იმ ყველა თანამდებობის პირისადმი იქნება უმკაცრესი დამოკიდებულება, ვინც თავის ფუნქციასა და ნაკისრ ვალდებულებას სრულფასოვნად ვერ შეასრულებს.

საქინფორმი.

ერთობლივი მიმართვა

## პრესის თავისუფლების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით

წლევანდელ პრესის თავისუფლების მსოფლიო დღის თემაა „ტერორიზმი და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლება". უწინარეს ყოვლისა, იგი ეძღვნება იმ მამაც ჟურნალისტებს, რომლებიც თავიანთი პროფესიული მოვალეობის შესრულებისას, თავს სერიოზულ საფრთხეში იგდებენ და ზოგჯერ სიცოცხლესაც კი სწირავენ.

ბოლო ორი წლის განმავლობაში ყოველწლიურად იღუპებოდა 50-ზე მეტი ჟურნალისტი, რომლებიც გააფთრებულ კონფლიქტებს აშუქებდნენ. უმეტესად ჟურნალისტების სიკვდილი არ არის სამხედრო მოქმედებასთან დაკავშირებული უბედურ შემთხვევათა შედეგი, არამედ ეს არის ჟურნალისტთა განზრახ განადგურება მათ მიერ, ვინც ცდილობს არ დაუშვას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გაშუქდეს მათი სისხლის სამართლებრივი, კორუფციული და ტერორისტული საქმიანობა. მრავალ სხვა ტრაგიკულ მოვლენათა შორისაა დანიელ პერლის უმძიმესი ხვედრი, რომელიც თვალნათლივ ადასტურებს, თუ რამდენად საშიში შეიძლება იყოს ჟურნალისტის პროფესია.

ტერორიზმს შეუძლია პირდაპირ თუ ირიბად შეუქმნას საფრთხე მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. ხშირ შემთხვევაში ტერორიზმი დაკავშირებულია თავდასხმასთან რეპორტიორებსა და გამომცემლებზე, კერძოდ, მათს ხელყოფასთან, გატაცებასთან, წამებასთან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლობებში ბომბების აფეთქებასთან. მსგავსი ძალადობა იწვევს ჩვენს უდიდეს აღშფოთებას. ჟურნალისტებს, როგორც ყოველ ჩვენგანს, აქვთ ადამიანის უფლება — უფლება, რომელიც არ მცირდება მათი პროფესიის არჩევით.

ტერორიზმის ირიბ საფრთხეს ორი ძირითადი ასპექტი აქვს. პირველი: ტერორიზმის მიზანია ის, რომ დააშინოს, ჩაუსახოს შიში და ეჭვი და აიძულოს გააჩუმოს ნებისმიერი შეუთანხმებელი ხმები, და ამით შექმნას კლიმატი, რომელიც უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელების მტერია. მეორე: ტერორიზმს შეუძლია გამოიწვიოს მთავრობათა საპასუხო ღონისძიებანი — მიაღებინოს კანონები, დებულებები, შექმნას თვალთვალის სხვადასხვა სახეობა, რომელიც ძირს გამოუთხრის იმ უფლებებსა და თავისუფლებებს, ანტიტერორისტული კომპანია რომ უნდა დაიცვან. ამგვარად, ტერორიზმთან ბრძოლის სახელით შესაძლოა საფრთხე შეექმნას პრინციპებსა და ღირებულებებს, რომლებიც ათწლეულების, საუკუნეთა მანძილზე მკვიდრდებოდა.

თავისუფლების, ადამიანის უფლებებისა და მმართველობის დემოკრატიული ფორმების საფუძვლები — თავისუფლების საუკეთესო გარანტია. ასეთი დაცვა უნდა ვრცელდებოდეს პრესისა და სიტყვის თავისუფლებაზე, რომლებიც, თავისთავად, არა მარტო პოზიტიური სიკეთეა, არამედ შესაძლებელი საშუალებაა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფალი, დამოუკიდებელი და საპასუხისმგებლო მუშაობა — ეს საუკეთესო წვლილია, რომელიც მათ შეუძლიათ შეიტანონ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს ნიშნავს, რომ ისინი არ უნდა შეუშინდნენ მუქარას და არ გახდნენ უბრალო რუპორი პატრიოტული ხასიათის ან წამაქეზებელი იდეების პროპაგანდისათვის. პირიქით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა უნდა გამოავლინონ და ადამიანებამდე მიიტანონ სიმართლე, მიუკერძოებლად წარმოადგინონ ინფორმაცია და აზრი; გულდასმით გაიაზრონ იმის შინაარსი, რაც იწერება, ითქმება და რასაც უჩვენებენ; და აკმაყოფილებდნენ პროფესიული ქცევის მაღალ სტანდარტებს. გარდა ამისა, პასუხისმგებელი პრესა უნდა იყოს თვითრეგულირებადი პრესა. არ უნდა დავემორჩილოთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მკაცრი სახელმწიფო რეგულირების ცდუნებას.

პრესის თავისუფლების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით ჩვენ კვლავ ვადასტურებთ, რომ სიტყვის თავისუფლება არის განუყოფელი შემადგენელი ელემენტი აზრის გამოთქმის უფრო ფართო თავისუფლებისა, რომელიც თითოეული ადამიანის უფლებაა მისი დაბადების დღიდან და ადამიანური პროგრესის ერთ-ერთი საფუძველია.

კოფი ანანი,
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი;

კოიჩირო მაცუურა,
იუნესკოს გენერალური დირექტორი;

მერი რობინსონი,
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა საკითხებში უმაღლესი კომისარი.

დაჯილდოება

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2002 წლის 1 მაისი ქ. თბილისი

### საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა საქართველოს მედლებით დაჯილდოების შესახებ

ქართული არმიის აღმშენებლობაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის დროს გამოჩენილი მამაცობისა და უმწიკვლო სამსახურისათვის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეები დაჯილდოვდნენ საქართველოს მედლებით:

**ღირსების მედლით:**

**გოგიტა გოგიბერიშვილი** — პოლკოვნიკი, საფინანსო-საბიუჯეტო დეპარტამენტის საფინანსო სამმართველოს უფროსი; **გიორგი მანჯგალაძე** — თავდაცვის პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე; **ლევან ჭოლაძე** — საერთაშორისო სამართლებრივი სამმართველოს ნატოს წევრი ქვეყნების განყოფილების უფროსი;

**მედლით „მხედრული მამაცობისათვის":**

**მიხეილ ბოგვერაძე** — ლეიტენანტი, ჰიდროგრაფიული სამსახურის ბათუმის მონაკვეთის უფროსი; **ბადრი ბოჭოიძე** — მაიორი, სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარი სამმართველოს საორგანიზაციო-სამობილიზაციო განყოფილების საორგანიზაციო და დაკომპლექტების უფროსი ოფიცერი; **ივანე ბუწუკური** — უფროსი ლეიტენანტი, კავშირგაბმულობის მთავარი სამმართველოს კავშირგაბმულობის სამმართველოს კავშირგაბმულობის საინფორმაციო სისტემებისა და სრულყოფის განყოფილების უფროსი ოფიცერი; **რევაზ გოგოლაშვილი** — ვიცე-პოლკოვნიკი, თავდაცვის ეროვნული აკადემიის პრორექტორი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დარგში; **სანდრო კავსაძე** — ვიცე-პოლკოვნიკი, ეროვნული გვარდიის დეპარტამენტის მთავარი შტაბის დაზვერვის განყოფილების უფროსი; **გენადი კვერნაძე** — მაიორი, განსაკუთრებული დავალების ბატალიონის მეთაურის ყოფილი მოადგილე; **ბესარიონ ლობჟანიძე** — უფროსი ლეიტენანტი, სპეციალური დანიშნულების რაზმის ინსტრუქტორი; **თემურ სომხიშვილი** — კაპიტანი, კავშირგაბმულობის მთავარი სამმართველოს ინფორმაციის დაცვის განყოფილების ოფიცერი; **რამაზ შანიძე** — ვიცე-პოლკოვნიკი, საველე წესდებების და საბრძოლო მომზადების დაგეგმვის მთავარი სამმართველოს პირველი სამმართველოს უფროსი ოფიცერი; **ვალერი ჯაფარიძე** — ვიცე-პოლკოვნიკი, ოპერატიული დაგეგმვის სამმართველოს პირველი სამხედრო განყოფილების უფროსი — სამმართველოს უფროსის მოადგილე; **თეიმურაზ ქავთარაძე** — მაიორი, დაზვერვის სამმართველოს უფროსი.

**მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის":**

**პაატა ანდღულაძე** — პოლკოვნიკი, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის თანაშემწე; **თეიმურაზ ახალაია** — ვიცე-პოლკოვნიკი, ლოგისტიკის მართვის ცენტრის სარაკეტო-საარტილერიო შეიარაღების სამმართველოს უფროსი; **კობა ბერიძე** — მაიორი, ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტის სამხედრო კათედრის საერთო-საჯარისო ციკლის უფროსი; **ელგუჯა ზივზივაძე** — კაპიტანი, 21-ე მოტომსროლელი ბრიგადის დაზვერვის უფროსი; **გელა იმნაიშვილი** — ვიცე-პოლკოვნიკი, კავშირგაბმულობის მთავარი სამმართველოს კავშირგაბმულობის სამმართველოს უფროსის მოადგილე; **ავთანდილ კუპრაშვილი** — პოლკოვნიკი, მთავარი სამხედრო ინსპექციის საინსპექციო ჯგუფის უფროსი ინსპექტორი; **ზვიად მიქაძე** — ვიცე-პოლკოვნიკი, მეორე საარმიო კორპუსის სანივთე სამსახურის უფროსი; **ჯემალ მუთიძე** — მაიორი, საავიაციო ესკადრილიის შვეულმფრენების რგოლის მეთაური; **მიხეილ ტყემალაძე** — პოლკოვნიკი, სამხედრო საჰაერო ძალების მთავარი სამმართველოს მთავარი შტაბის უფროსის მოადგილე, მართვის შტაბის უფროსი; **ავთანდილ ჯიბლაძე** — ვიცე-პოლკოვნიკი, თავდაცვის ეროვნული აკადემიის ტაქტიკური მომზადების კათედრის უფროსი; **ოთარ ყრუაშვილი** — უფროსი ლეიტენანტი, შტაბის უფროსის თანაშემწე კადრებისა და სამწყობრო ნაწილის უფროსი.

ედუარდ შევარდნაძე.

### წიგნის პალატის გასაჭირი

2002 წლის 25 აპრილის მიწისძვრით წიგნის პალატის უნიკალური შენობა საგრძნობლად დაზიანდა: ყველა სართულის კედლები გაბზარულია. ადმინისტრაციული კორპუსის და საცავის შემაერთებელი გასასვლელები ყველა სართულზე ავარიულ მდგომარეობაშია და მათი ფუნქციონირება საშიშია. უსაფრთხოების მიზნით ამჟამად წიგნსაცავის შესასვლელები გადაკეტილია. მწყობრიდან გამოვიდა ძვირადღირებული ქიმიური ავტომატური ხანძარსაქრობი სისტემა და ელექტროგაყვანილობა.

ამის შესახებ ვაცნობეთ ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობას, მაგრამ დღემდე არავის შეუწუხებია თავი.

მ. მაჭავარიანი,
წიგნის პალატის გენერალური დირექტორის მოადგილე.

### მობილური ჯგუფები კონტროლს განაგრძობენ

2 მაისს პრესკონფერენცია გამართა მთაწმინდა-კრწანისის რაიონის გამგებელმა ირაკლი როსტომაშვილმა. მან ჟურნალისტებს გააცნო რაიონში არსებული ვითარება. დღეისათვის გამგეობის მონაცემებით მიწისძვრის შედეგად 450 სახლი მწვავე ავარიულია. მიუხედავად იმისა, რომ მათი ნაწილის რესტავრაცია შესაძლებელია, რაიონის გამგებელს მიაჩნია, რომ უმჯობესი იქნება ამ შენობების დანგრევა და თავიდან აშენება, ვინაიდან მათ გარემონტებასა და აღდგენას უფრო მეტი თანხა დასჭირდება.

მთაწმინდა-კრწანისის რაიონში 3 უფასო სასადილო ფუნქციონირებს, სადაც დაზარალებული ოჯახების წევრებს ცხელი კერძებით უმასპინძლდებიან.

თბილისის საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის სამმართველოს უფროსმა ჯუმბერ ხაბურზანიამ შეხვედრაზე ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ამ დროისათვის გამგეობის მობილური ჯგუფები კვლავაც განაგრძობენ რაიონში არსებულ დაზარალებული ობიექტების აღრიცხვასა და კონტროლს.

სტიქიის დასაძლევად

## მოსახლეობა ისევ კარვებს აფარებს თავს

(პირველი გვერდიდან)

ზურაბიშვილის გამზირზე, ბაგა-ბაღის შენობაში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი 27 ოჯახი ამ შენობის წინ გაშლილ ორ კარავშია განთავსებული. ბაგა-ბაღის შენობა მწვავე ავარიულია, ბავშვების უსაფრთხოების მიზნით ისინი კარვებში ყოფნას ამჯობინებენ. ნაგომარის ქუჩაზე მესამე კატეგორიის მწვავე ავარიული სამი კორპუსის მცხოვრები 18 ოჯახიც თავის დაზღვევის მიზნით მათი კორპუსების წინ გაშლილ კარვებშია დაბინავებული. სახელმწიფოსაგან მათ უკვე მიიღეს სურსათი და საყოფაცხოვრებო ინვენტარი, მაგრამ მათი უწინარესი მოთხოვნაა საცხოვრებელი ფართობით დროული უზრუნველყოფა.

* * *

დედაქალაქის მერიის მიერ მიწისძვრით დაზარალებული მოსახლეობის დროებითი დასახლებისათვის გამოყოფილ სპექტრანსის შენობაში ჯერჯერობით მხოლოდ ორი ოჯახია შესახლებული, 20-მდე ოჯახმა კი უარი განაცხადა აქ დაბინავებაზე. დაახლოებით 25-მა ოჯახმა კი გამოყოფილი ოთახები ჩაკეტა და დროებით ნათესავებთან აფარებენ თავს. შენობაში, ოჯახების გადმოყვანის პარალელურად მიმდინარეობს აღდგენითი და სარემონტო სამუშაოები, რათა ნორმალური საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყონ მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც აქ შესახლდება.

სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ თითოეულ მონახულებულ ობიექტზე არსებულ პრობლემათა დროულად მოგვარების მიზნით, საგანგებო დავალებები მისცა შესაბამის სამსახურებს, მოსახლეობას კი უახლოესი ერთი კვირის განმავლობაში პირობების გაუმჯობესება აღუთქვა.

— შევეცადოთ, მოსახლეობისადმი მიცემული პირობა დათქმულ ვადაში შევასრულოთ, რასაც დავპირდებით, გავაკეთოთ, ნურავინ იფიქრებს, რომ ამ უბედურებაზე ვინმემ ხელი მოითბოს, — საკმაოდ მკაცრი და კატეგორიული იყო ნანახის შემდეგ სახელმწიფო მინისტრი, რომელმაც მიწისძვრით დაზარალებული ობიექტების მონახულების შემდეგ საგანგებო შტაბის სხდომაზე მერიისა და ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს ხელმძღვანელებს მოუწოდა მეტი ძალისხმევა გამოიჩინონ რეალური საქმის გასაკეთებლად.

— კოორდინაცია ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროსა და ადგილობრივ გამგეობებს შორის სუსტია, სამუშაოებისათვის ზუსტად უნდა იყოს აღწერილი ზარალის რაოდენობა, გამოიკვეთოს პირველადი სამუშაოების დაწყების ვადა, პრიორიტეტები, — განაცხადა ავთანდილ ჯორბენაძემ.

როგორც მან აღნიშნა, დედაქალაქის აღორძინების ფონდში ამ ეტაპზე მობილიზებულია მილიონ 365 ათასი ლარი, რასაც უკვე 4 მაისს დაემატება საქართველოს პრეზიდენტის ფონდიდან გამოყოფილი მილიონნახევარი ლარი, ეს თანხა კი პირველადი სამუშაოების დასაწყებად უნდა იქნეს გამოყენებული.

— ჩვენს სამსახურებზე უკეთ ვერავინ შეასრულებს ამ სამუშაოს, — განაცხადა თბილისის მერმა ვანო ზოდელავამ. მისი თქმით, ამ ეტაპზე 230 ოჯახია დაბინავებული და არის ოჯახების კატეგორია, რომლებიც მერიის მიერ შეთავაზებულ პირობებზე უარს აცხადებენ. ფინანსების სიმცირის გამო კი, მუნიციპალიტეტს მეტის შეთავაზების ფიზიკური საშუალება არა აქვს. რაც



შეეხება მერიის ინიციატივას, თბილისის გარეუბნებში საცხოვრებელი ბინების აუქციონის წესით შესყიდვის თაობაზე, ამ პროცესს დრო სჭირდება. „ქართუს" ჯგუფმა უკვე გამოთქვა სურვილი, მონაწილეობა მიიღოს ამ პროცესში.

— უკიდურეს მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობის დროული დაბინავება, კოორდინაციის გაუმჯობესება მერიასა და ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს შორის, სამომავლოდ მსხვერპლის თავიდან აცილების მიზნით მწვავე ავარიული სახლების დანგრევა, — ავთანდილ ჯორბენაძის თქმით, უახლოესი ერთი კვირის განმავლობაში შტაბის საქმიანობის უწინარეს პრიორიტეტად სწორედ ეს სამი საკითხი უნდა გამოიკვეთოს.

ნინო გაბრიაძე,
საქინფორმის კორ.

თანადგომა

## გქონდეთ ჩვენი იმედი

გუშინ რედაქციამ მიიღო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანატისა და კათედრების განცხადება, რომელშიც ნათქვამია:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანატი და კათედრის პროფესორ-მასწავლებლები მივმართავთ სახელმწიფო მინისტრს ბატონ ავთანდილ ჯორბენაძეს, მშენებლობისა და ურბანიზაციის მინისტრს ბატონ მერაბ ჩხენკელს, ქალაქის მერს ბატონ ვანო ზოდელავას და მზადყოფნას გამოვთქვამთ, რომ მონაწილეობა მივიღოთ მიწისძვრისგან დაზიანებული შენობა-ნაგებობების შესწავლის, გაძლიერების, აღდგენისა და დაპროექტების საქმეში.

ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია აქტიურად გამოვიყენოთ, როგორც თეორიული ისე პრაქტიკული ცოდნა ჩვენი ქალაქისთვის ამ მეტად კრიტიკულ მომენტში. სამშენებლო ფაკულტეტის ათივე კათედრის მშენებლობასთან დაკავშირებული ყველა დარგის სპეციალისტი თვლის, რომ მიზანშეწონილია მათი პოტენციალისა და შესაძლებლობების გამოყენება, მით უმეტეს, რომ ამ საკითხების შესწავლისთვის ფაკულტეტებზე შექმნილია საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შექმნილია სპეციალური შტაბი რექტორის ბატონ რამაზ ხუროძის ხელმძღვანელობით. სამშენებლო ფაკულტეტის ყველა კათედრა მზადაა მონაწილეობა მიიღოს თბილისის აღდგენით სამუშაოებში.



**განცხადებას ხელს აწერენ: სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი როინ იმედაძე, მასალათა გამძლეობის და დრეკადობის თეორიის კათედრის გამგე, პროფესორი დემურ დანელია, მშენებლობის ორგანიზაციისა და ეკონომიკის კათედრის გამგე, პროფესორი ჯემალ ჩოგოვაძე, სამშენებლო კონსტრუქციების კათედრის გამგე, პროფესორი აზული სოხაძე, ფუძე-საძირკვლების და გრუნტების მექანიკის კათედრის გამგე, პროფესორი ზურა ჭოხონელიძე, სამშენებლო მექანიკის და ნაგებობათა სეისმომედეგი მშენებლობის კათედრის გამგე, პროფესორი რევაზ ცხვედაძე, ლითონის კონსტრუქციების კათედრის გამგე, პროფესორი ინზუშა მშვენიერაძე, მშენებლობის წარმოების და ტექნოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი თამაზ ჟორდანია, სამშენებლო მასალების და ნაკეთობების კათედრის გამგე, პროფესორი ანზორ ნადირაძე, სამშენებლო ნაგებობების დაზიანების ტექნიკური დიაგნოსტიკის და ექსპერტიზის კათედრის გამგე, პროფესორი ჯემალ ბახტაძე.**

დოკუმენტი

## საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულება № 29/2002

### №75.01 აჭარის თემის, №75.02 გენწვისის თემისა და №75.03 ჩხალთის თემის საარჩევნო ოლქების შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" და „ტ" ქვეპუნქტებისა და „ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

2002 წლის 2 ივნისს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების — საკრებულოების არჩევნებისათვის შეიქმნას №75.01 აჭარის თემის, №75.02 გენწვისის თემის და №75.03 ჩხალთის თემის საარჩევნო ოლქები.

კომისიის თავმჯდომარე
ჯუმბერ ლომინაძე,

კომისიის მდივანი
მამუკა კოპალეიშვილი.

2002 წლის 1 მაისი.

## საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულება № 30/2002

### „ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს — საკრებულოს, გამგებლის, მერის არჩევნების ძირითად საარჩევნო ღონისძიებათა შესახებ" ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2002 წლის 8 აპრილის №16/2002 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტისა და $128^3$ მუხლის შესაბამისად.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

„ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს, საკრებულოს, გამგებლის, მერის არჩევნების ძირითად საარჩევნო ღონისძიებათა შესახებ ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2002 წლის 8 აპრილის №16/2002 განკარგულების:

1. მე-8 პუნქტში რიცხვები „3" და „30" შეიცვალოს შესაბამისად რიცხვებით „8" და „25".
2. ამოღებულ იქნეს მე-10 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი.
3. მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „11) არა უგვიანეს 8 მაისისა (25 დღ.): პარტიული სიების წარდგენა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (მ 118. 1; მ $128^3$).
4. მე-13 პუნქტში სიტყვები „არა უადრეს 8 მაისისა (25 დღე) არა უგვიანეს 11 მაისისა (28 დღე)" შეიცვალოს სიტყვებით „არა უადრეს 13 მაისისა (20 დღე) და არა უგვიანეს 16 მაისისა (23 დღე).
5. მე-14 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ" ქვეპუნქტი „ბ) საკრებულოს წევრობის გამგებლობის, მერობის კანდიდატთა, რეგისტრაცია (მ 120. 3 $128^3$).
6. ამოღებულ იქნეს მე-16 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი.
7. მე-17 პუნქტში სიტყვები „21 მაისისა (12 დღ.)" შეიცვალოს სიტყვებით „26 მაისისა (7 დღ.).
8. მე-18 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ" ქვეპუნქტი „გ) საარჩევნო სუბიექტების რიგითობის დადგენა (მ 99. 1 $128^3$).
9. 21-ე პუნქტში სიტყვები არა უადრეს 28 მაისისა და არა უგვიანეს 31 მაისისა შეიცვალოს სიტყვებით არა უადრეს „2 ივნისისა" და არა უგვიანეს „5 ივნისისა".

კომისიის თავმჯდომარე
ჯუმბერ ლომინაძე,

კომისიის მდივანი
მამუკა კოპალეიშვილი.

2002 წლის 1 მაისი.

არჩევნები

## ყველა ერთნაირ პირობებში იქნება

საარჩევნო მზადების ზარმა უკვე ძლიერად ჩამოკრა ზუგდიდში. პოლიტიკური პარტიებისა და მოძრაობების ოფისებში ყოველდღიურად იკრიბებიან თანამოაზრენი და იმედიანად ადგენენ გამარჯვების გეგმებს. ყველას უნდა ხალხის რჩეული იყოს. მაგრამ ეს მხოლოდ მათს სურვილზე როდია დამოკიდებული. ამას ამომრჩევლები გადაწყვეტენ...

ზუგდიდის რაიონში ოფიციალურად რეგისტრირებული პარტიების ხელმძღვანელებს საგანგებო შეხვედრა ჰქონდათ ზუგდიდის რაიონის გამგეობის თავმჯდომარესთან ნუგზარ ანთელავასთან. ისაუბრეს მომავალ არჩევნებზე, ყველას გამოსვლაში იგრძნობოდა, რომ მხარს უჭერენ ახალი გამგებლის დანიშვნას, იმედოვნებენ, რომ ადგილობრივი არჩევნები დემოკრატიულად და გამჭვირვალედ ჩატარდება.

რაიონის გამგებელმა შეხვედრის მონაწილეებს აღუთქვა, რომ ყველა კანდიდატი ერთნაირ პირობებში იბრძოლებს მანდატისათვის.

ოდიკ ძუხილავა,
„სრ" საკ. კორ.

პროკურატურა

## მეორე დესანტი

ასე უწოდა გუშინ სახალხო დამცველმა ნანა დევდარიანმა პროკურორთა იმ ჯგუფს, რომელმაც ადგილობრივი თუ უცხოელი სპეციალისტების რუდუნებით ორკვირიანი სემინარი გაიარა ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში.

პირველი ასეთი სემინარი ორიოდე თვის წინათ გაიმართა გენერალური პროკურატურის სასწავლო ცენტრში და მაშინაც სამართალდამცავებმა სპეციალური სერტიფიკატები მიიღეს. ახლაც ეს აღიარებული დოკუმენტები 25 კაცს გადაეცა.

საერთაშორისო სტრუქტურები, ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაციები ხშირად გამოთქვამენ შენიშვნებს საქართველოში ადამიანის უფლებათა დარღვევებთან დაკავშირებით. ამიტომ ამ კუთხით გაეროს პროგრამით განხორციელებული ღონისძიებები მხოლოდ სასიკეთოდ წაგვადგება.

საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ნუგზარ გაბრიჩიძემ დიდი მადლობა გადაუხადა ყველას, ვისაც წვლილი შეაქვს პროკურორთა უწყვეტ საგანმანათლებლო მისიაში. განსაკუთრებით გამოსარჩევია ნიდერლანდის სამეფო, რომელიც მსგავს სემინარებს უშურველად აფინანსებს.

ბადრი იაშვილი.

„ლიფსიტები" დიდ კორუფციაში

## ერთი... ოცდაჩვიდმეტის სახელით!

(პირველი გვერდიდან)

წინასწარი გამოძიებით დადგინდა, რომ ლიანა ხუბულავამ დაამზადა ყალბი საბრძოლო მოკვლევები თითქოსდა აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს დაღუპულ ოთხ მოგონილ, არარსებულ კაცზე და ყალბი დოკუმენტების დამზადება-გამოყენებით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოციალური დაცვის სამინისტროში მარჩენალდაკარგულ პენსიონერებად გააფორმა მათი ოჯახის წევრები, სულ 13, ასევე მოგონილი, არარსებული პირი. ამ უჩინმაჩინებზე შეიქმნა საპენსიო საქმეები და ლიანა ხუბულავაც მათზე დარიცხულ სახელმწიფო სახსრებს შეუფერხებლად იღებდა თბილისის 89-ე საფოსტო განყოფილებიდან. მისი ყოფილი გამგის გიული გოგინაშვილის მეშვეობით, რომელმაც მშვენივრად უწყოდა ამ მაქინაციების ამბავი.

სულ ხუთი წლის მანძილზე ლიანა ხუბულავამ ამ მოგონილი, არარსებული პირების სახელით გამოიტანა და მიითვისა 8222 ლარი.

გამოძიებით ასევე გამოვლინდა, რომ ლიანა ხუბულავას მსგავსი ნაბიჯი გადადგმული ჰქონდა სხვა ინსტანციაშიც. ყალბი დოკუმენტების დამზადება-გამოყენებით მას საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში დევნილებად აღრიცხული ჰყავდა 24 მოგონილი პირი და მათ სახელზე გამოწერილი ყალბი მოწმობების გამოყენებით, საქართველოს საფოსტო ბანკის აფხაზეთის №1 ფილიალის გლდანის განყოფილებიდან 1998-2001 წლებში თაღლითური გზით ეუფლებოდა დევნილთათვის განკუთვნილ სახელმწიფო დახმარების თანხებს. ჩვენი ვარაუდით ეს თანხებიც სოლიდურია.

ლიანა ხუბულავამ სახელმწიფო ბიუჯეტს უკან დაუბრუნა მხოლოდ 1000 ლარი. დანარჩენმა თანხამ, როგორც იტყვიან, ჩაილურის წყალი დალია.

გრძელდება ინტენსიური გამოძიება ამ საქმის ბოლომდე გასახსნელად, სახელმწიფოსთვის მიყენებული მატერიალური ზარალის მთლიანად ასანაზღაურებლად და სხვა დამნაშავე თანამდებობის პირების გამოსავლენად.

**დიახ, გამოძიება თავის მიზანს სრულად მიაღწევს სწორედ მაშინ, თუ იგი ამხელს სწორედ დამნაშავე თანამდებობის პირებს, ვინაიდან მარტოოდენ დევნილი და ისიც ქალი, სახელმწიფო ჩინოვნიკების ჩაურევლად ვერაფრით ვერ მოახერხებდა ვერც 37 მოგონილი პირის ყალბი დოკუმენტების შექმნას და ვერც ხუთი წლის მანძილზე მათთვის გამოყოფილი სახელმწიფო თანხების ფლანგვას.**

ბონდო გულიაშვილი.

### გამგეობა 100 დევნილ ოჯახს დაეხმარა

დიდუბე-ჩუღურეთის გამგეობა 1 მაისს მიწისძვრისაგან დაზარალებულ ოჯახებს ფულითა და საკვებით დაეხმარა. როგორც დიდუბე-ჩუღურეთის გამგეობაში აღნიშნეს, საკვები პროდუქტები და ფული ქუთაისის ქუჩის №25 და გედევანიშვილის №3 სახლებში მცხოვრებ 100 დევნილ ოჯახს დაურიგეს.

ამ სახლების მცხოვრებლები განთავსებულნი იყვნენ საბავშვო ბაღის შენობაში, რომელიც მიწისძვრის შედეგად დაზიანდა. 85 ოჯახი უკვე გადაიყვანეს საცხოვრებლად ნევროლოგიის ინსტიტუტის შენობაში.

### მიმდინარეობს დაზიანებული სახლების დემონტაჟი

მთაწმინდა-კრწანისის რაიონის გამგებლის მოადგილემ გია მუსელიანმა საქინფორმის კორესპონდენტს განუცხადა, რომ გამგეობის მობილური ჯგუფები კვლავ ახორციელებენ დაზიანებული ობიექტების აღრიცხვასა და კონტროლს. 2 მაისს ნაშუადღევს გადაიკეტა ლესელიძის ქუჩიდან თავისუფლების მოედნისკენ მიმავალი გზა. აღნიშნულ ტერიტორიაზე მიმდინარეობს დაზიანებული სახლების დემონტაჟი. ამ პროცესში აქტიურადაა ჩართული რაიონის საქალაქო მეურნეობის სამსახური. ასევე, მობილიზებულია პოლიციის სპეციალური ჯგუფი.

ინფორმაციები მოგვაწოდა საქინფორმმა.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

ეროვნული ბიბლიოთეკა

უახლესი ისტორია

# ჰანს-დიტრიხ გენშერი: «მოგონებანი»



Hans-Dietrich Genscher

Erinnerungen

Siedler

ჩვენი მოლაპარაკებებისას შევარდნაძე ტელეფონთან მივიდა, რათა გორბაჩოვს დათათბირებოდა. ახალ ფედერალურ მხარეებში მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების მანევრების საკითხი, ეტყობა, მისთვის ისე მნიშვნელოვანი იყო, რომ არ სურდა იგი დამოუკიდებლად გადაეწყვიტა. ჩემი შეთავაზებული ფორმულირება, რომელიც ამ საკითხის გადაწყვეტის პრეროგატივას ფედერალურ მთავრობას უტოვებდა, მისთვის პრინციპში მისაღები ჩანდა. თუ ის დასავლეთში კიდევ ჭოჭმანს გამოიწვევდა, ეს უკვე მე არ მიმაჩნდა შესაძლებლად.

ჩვენი შეხვედრა დასასრულს უახლოვდებოდა. ამიტომ მე ვთქვი: ხვალ ლაპარაკი იქნება ამ მოვლენის ისტორიულ მნიშვნელობაზე, მაგრამ მე დღეს საღამოსვე ვგრძნობ იმის აღნიშვნის მოთხოვნილებას, რომ ჩვენ სავსებით შეგნებული გვაქვს მნიშვნელობა ამ ხელშეკრულებისაც და იმ წვლილისაც, რაც მას, შევარდნაძეს, და გორბაჩოვს მიუძღვით ამ საქმეში. ამისთვისაც მინდა მადლობა მოგახსენოთ და იმ პირადი ურთიერთდამოკიდებულებისთვისაც, რაც ჩვენს შორის გაიბა-მეთქი. ჩემს მიერ განვლილი ცხოვრების გზის გამო, კერძოდ იმის გამო, რომ მე გდრ დავტოვე, ეს ამბავი განსაკუთრებული მღელვარებით მავსებს. ხვალ ხელი მოეწერება საბოლოო საერთაშორისოსამართლებრივ [illegible] ზი, არ გვაქვს უფლება, დავივიწყოთ ის, რაც წარსულში მოხდა,— ვთქვი მე.

შევარდნაძემ მიპასუხა, მეც მინდა ამის შესახებ რაღაც ვთქვა.

ოღონდ უფრო დაწვრილებით ამ დღეებში უმაღლეს საბჭოში ვიტყვიო. მინდა ვეცადო,— თქვა მან,— საიანადო სიტყვები ვიპოვო, როგორც „ორი პლუს ოთხის“ ხელშეკრულების დადების, ასევე ჩვენი ორმხრივი ხელშეკრულების და ევროპისთვის, მთელი მსოფლიოსთვის და მომავლისთვის მათი მნიშვნელობის შესაფასებლად. ამიტომ მინდა, რომ ბოლო სხდომამ დებატების, ღიად დატოვებული საკითხების, შეხლა-შემოხლის გარეშე ჩაიაროს — ამას სიმბოლური მნიშვნელობაც ექნება. ბოლოს და ბოლოს ეს ძალიან სერიოზული საქმეაო. მერე მითხრა, რაც თქვენ თქვით, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ ბრესტში სწორად მოვიქეცითო. ისიც ძალიან კარგია, დოკუმენტში ძეგლებისა და წარსულის წინაშე პატივისცემაც რომ აისახა. ორივე მხარემ ღირსეული დამოკიდებულება გამოვამჟღავნეთ ისტორიის იმ ეტაპის მიმართ, რომელიც უმნიშვნელოვანესი იყო, არა მარტო ჩვენი ხალხების, არამედ მთელი ევროპის, მთელი მსოფლიოს ისტორიაში. ეს პოლიტიკა არ არის მცდარი, თუნდაც ამის გამო საყვედურებიც გაგვაგონონ, გორბაჩოვიც ამ აზრისაა და იგი ამ საკითხზე თქვენთან კიდევ ილაპარაკებსო.

შემდეგ მითხრა, როგორ აპირებდა ხვალინდელი სხდომის წარმართვას: მე გავხსნი სხდომას, მერე თქვენ მოგცემთ სიტყვას, შემდეგ [illegible] შეხვედრა მეორე დღის 11 საათისთვის იყო დანიშნული. შევარდნაძესთან საუბრის შემდეგ ჩვენი რეზიდენციისკენ გავემგზავრე. ოღონდ მანამდე დუგლას ჰერდს ვაცნობე, რომ შევეძლო ერთმანეთს შევხვედროდით. თითო თანამშრომლის თანხლებით დავსხდით სავახშმოდ. ატმოსფერო იყო დაძაბული.

ვუთხარი დუგლას ჰერდს, რომ შევარდნაძესთან მივაღწიეთ შეთანხმებას, ვაჩვენე მას ტექსტი და შევაჯამე მოლაპარაკების შედეგები. ჰერდმა თავი დამიქნია. მე ვთხოვე მას, დაერეკინებინა თავის პოლიტიკურ დირექტორთან და ეცნობებინა მისთვის, რომ ეთანხმებიან ამ გადაწყვეტილებას, რაც მან გააკეთა კიდეც. ვახშამი მეგობრულად დასრულდა, თუმცა ძალიან გვიან. გერმანელ ჟურნალისტებთან შეხვედრის შემდეგ, შუაღამისას, ჩემი სასტუმროსკენ გავემგზავრე.

კასტრუპი კვლავ შეწუხებული სახით შემომეგება. ჩვენ ჩემს ანფილადაში შევედით. იქ მან მომახსენა, რომ ინგლისელი პოლიტიკური დირექტორი, რომელსაც ამერიკელი კოლეგაც მხარს უჭერს (ფრანგს თავი შეუკავებია), არ ეთანხმება ჩვენს მიერ მოძებნილ გადაწყვეტილებას. პირიქით: ის დაჟინებით მოითხოვს, მკაფიოდ ჩაიწეროს, რომ დასაშვებია მანევრების ჩატარება, თუ მასში 13 ათას კაცზე ნაკლები მონაწილეობს. ეს უსიამოვნო სიურპრიზი გახლდათ. საბჭოეთი თავისი შესაძლებლობების მართლაც რომ ზღვრამდე მივიდა; ისინი ხომ დათანხმდნენ, ამ საკითხის გადაწყვეტა მთლიანად გერმანიის პრეროგატივა ყოფილიყო, თანაც არავითარი გარანტია არ ჰქონდათ, რომ ხუთი წლის შემდეგ ეს უფლება ცალკეულ შემთხვევებში მათ საზიანოდ არ იქნებოდა გამოყენებული. წინასწარ ვინ განჭვრეტდა, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, თუმცა საფიქრებელი იყო, რომ ეს საკითხი ხუთი წლის შემდეგ ნაკლებმნიშვნელოვანი იქნებოდა, ვიდრე ამჟამად. დავიწყეთ თათბირი, როგორ მოვქცეულიყავით. ჩვენ რომ ასე ვისხედით, ფრანკ ელბეს ტელეფონზე სთხოვეს. მისმა საბჭოთა კოლეგამ აცნობა, რომ შევარდნაძეს მოუხსენებია გორბაჩოვისთვის ჩვენი მოლაპარაკების შედეგის და აგრეთვე პოლიტიკურ დირექტორთა თათბირის

თაობაზეც, რომელიც დუგლას ჰერდთან ჩემი ვახშმობისას გამართულა. ამის შედეგად გენერალურ მდივანს გადაუწყვეტია, ამ დილისთვის დანიშნული „ორი პლუს ოთხის“ ხელშეკრულების ხელმოწერა გადაედო. საგარეო საქმეთა მინისტრი შევარდნაძე გთხოვთ გადასცეთ საგარეო საქმეთა მინისტრ გენშერს, რომ შეუძლია ამაღამ ნებისმიერ დროს დაუკავშირდეს ტელეფონითო.

ახლა კი უნდა გვემოქმედა, მით უფრო, რომ ვშიშობდი, მსოფლიო საზოგადოებრიობას ცნობა გორბაჩოვის გადაწყვეტილების თაობაზე შესაძლოა ისე აღექვა, როგორც მოლაპარაკებების ჩაშლა ბოლო წუთზე. ეს თემა, რაც სადავო გახდა, ანუ მანევრების მოწყობის შესაძლებლობა, საერთაშორისო მოვლენათა განვითარების, მათ შორის სპარსეთის ყურეში დატრიალებული ამბების ფონზე, არ იყო დიდად მნიშვნელოვანი. ის სულაც არ გახლდათ აქტუალური. ხუთი წლის შემდეგ გერმანიის მთავრობა თავისუფალი იქნება და გადაწყვეტილებას პასუხისმგებლობის შეგნებით და „ორი პლუს ოთხის“ ხელშეკრულების პრეამბულის შესაბამისად მიიღებს; სხვა მხრივ კი ცოტა ხნის წინ მოძებნილი ფორმულირება იმას ნიშნავდა, რომ ჩრდილოატლანტიკურ ხელშეკრულებას ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე შეეძლო თავისი მფარველობის ქვეშ აეყვანა ახალი ფედერალური მხარეები. ამიტომ აღარ ჰქონდა მნიშვნელობა იმას, შეიძლებოდა თუ არა მანევრების ჩატარება წინასწარ დადგენილი მასშტაბით. თუ გავითვალისწინებდით რა შორი გზა გამოიარა საბჭოთა ხელმძღვანელობამ, ბოლო მომენტში მისგან მეტისმეტი აღარ უნდა მოგვეთხოვა. ვთხოვე ელბეს, იმ სასტუმროში დაერეკა, სადაც ამერიკელთა დელეგაცია ცხოვრობდა, და გადაეცა ჯეიმს ბეიკერისთვის, რომ თუმცა ძალიან გვიანი იყო, მაინც ახლავე უნდა მივსულიყავი მასთან

ერთ მნიშვნელოვან და რთულ საკითხზე მოსალაპარაკებლად, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა ხვალისათვის. ამერიკელთა დელეგაციის პასუხი ნათელი იყო, მაგრამ მიუღებელი: ბეიკერს უკვე სძინავს, თანაც საძილე ტაბლეტი აქვს მიღებულიო. მე ვუთხარი, გადაეცით, რომ უკვე მოვდივარ-მეთქი. თუ საჭირო იქნებოდა, ჩემს მეგობარს მე თვითონ გავაღვიძებდი.

ბეიკერმა უახლოეს თანამშრომელთა თანდასწრებით მიგვიღო თავის ანფილადაში. ჩვენ სამნი ვიყავით — დიტერ კასტრუპი, ფრანკ ელბე და მე. ბეიკერსა და მის თანამშრომლებს ღამის პიჟამები ეცვათ, ზედ მოსხმული ჰქონდათ მორუხო-მოყავისფრო საბაზანო ხალათები, ყველას ერთნაირი — სასტუმროს ფონდიდან. შემდეგ, როცა დაძაბულობამ გაგვიარა, ამ თავშეყრას „საბაზანო ხალათების კონფერენცია“ დავარქვი. დიდი საქმე ბოლო მომენტში არ უნდა ჩავშალოთ,— ვემუდარებოდი ჯეიმს ბეიკერს,— თანაც იმ მიზეზით, რომელიც არც არსებითია და ვერც ქვეყანაზე ვერსად ვერავის გავაგებინებთ, რაშია საქმე. ჩვენ ახლა არ გვაქვს უფლება, ისეთი რამ ჩავიდინოთ, რასაც შეიძლება მოლაპარაკებათა შეწყვეტა მოჰყვეს-მეთქი. ჩემი აზრით, გორბაჩოვისა და შევარდნაძის მუქარა სერიოზულად უნდა მიგვეღო.

ამიტომ დაჟინებით ვთხოვდი, ამ საკითხში ჩვენი მხარე დაეჭირა, მით უფრო, რომ აშშ ამ გზის ყველა მონაკვეთზე დიდი ერთგულებით მოგვაცილებდა. აუცილებელია, ხელმოწერის ცერემონია ხვალ დათქმულ დროს ჩატარდეს-მეთქი. მერე ვუთხარი: სრული გულახდილობით უნდა ვთქვა: დარწმუნებული ვარ, ჩემ გარდა დე მეზიეც მიიღებს ხელმოწერაში მონაწილეობას, ასევე საბჭოთა კავშირიც, და მინდა ჩემ თავს ვუსურვო, რომ ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრი იმ დროს ჩემ გვერდით უჯდეს მაგიდას. ყველა მინისტრმა თვითონ გადაწყვიტოს, სურს თუ არა მას ამ საკითხის გამო მოლაპარაკებების ჩაშლა. და მსოფლიოს საზოგადოებრიობა დაინახავს, ვინ ესწრებოდა და ვინ არა ამ საზეიმო აქტს-მეთქი.

ჯეიმს ბეიკერმა მიპასუხა, აშშ მუდამ თქვენს გვერდით იდგაო. თუმცა ბრიტანელთა პოზიციას დაუჭირეს მხარი, მაგრამ შემპირდა, დაგეხმარებიო. მაშინ მე შევთავაზე, დაუყოვნებლივ გვეცნობებინა შევარდნაძისთვის, რომ ხელმოწერის ჩატარება შესაძლებელი იყო. ხოლო დილით, ოთხი დასავლური სახელმწიფოს — ანუ საფრანგეთის, ინგლისის, შეერთებული შტატების და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე, რომელიც 8 საათისა და 30 წუთისთვის არის დანიშნული საფრანგეთის რეზიდენციაში, საბოლოოდ მოვილაპარაკოთ-მეთქი. ბეიკერმა თანხმობა განაცხადა. ჩვენ უკან დავბრუნდით, საქმის კურსში ჩავაყენე დე მეზიე და შევატყობინე შევარდნაძეს, ჩვენი აზრით, დილით ხელმოწერა შედგება-მეთქი.

დიდი მღელვარება გადავიტანე. რა გასაკვირია, რომ ღამით და 12 სექტემბერსაც გულის არიტმიამ გამაწამა. ეს ეტყობა დოკუმენტებზე დასმულ ჩემს ხელმოწერებსაც.

იმ 11-12 სექტემბრის ღამით, ჯეიმს ბეიკერთან საუბრის შემდეგ უკან რომ დავბრუნდი, ღია ფანჯარასთან დავჯექი და მოსკოვურ ღამეს გავცქეროდი. 1969 წლის შემდეგ, როცა ჯერ კიდევ დეპუტატი ვალტერ შეელთან და ვოლფგანგ მიშნიკთან ერთად პირველად ვეწვიე მოსკოვს, კვლავ არაერთხელ ჩამოვსულვარ აქ. ჩემი ვიზიტები სრულიად განსხვავებულ ვითარებაში ეწყობოდა: ხშირად მარტო ჩამოვსულვარ როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი, ხან თან ვახლდი ფედერალურ კანცლერებს ჰელმუტ შმიდტსა და ჰელმუტ კოლს, ფედერალურ პრეზიდენტებს ვალტერ შეელს, კარლ კარსტენსა და რიჰარდ ფონ ვაიცზეკერს.

ოღონდ ყველაზე ღრმა შთაბეჭდილებები დამრჩა გორბაჩოვთან ჩემი პირველი შეხვედრისგან 1986 წელს. მას შემდეგ ჩვენ დიდი გზა გავიარეთ. დილით, ამაში უკვე დარწმუნებული ვიყავი, ხელი მოეწერებოდა „ორი პლუს ოთხის“ ხელშეკრულებას, რომელიც ბოლოს და ბოლოს შესაძლებელს ხდიდა გერმანიის გაერთიანებას. შინაგანი გაერთიანება, რომელიც ქვემოდან უკვე დაწყებული იყო, შემდგომი დიდი გამოწვევა იქნებოდა. კონსტიტუციურ-სამართლებრივი მოთხოვნები, გვედევა ევროპის გაერთიანების და მსოფლიო მშვიდობის სასარგებლოდ, კვლავ შენარჩუნებული იქნებოდა, ასევე ჩვენი კონსტიტუციის ძირითადი ფასეულობები და ძალის პოლიტიკის ნაცვლად პასუხისმგებლობის პოლიტიკის მსახურების ვალდებულებაც.

ჩემ თავს გამოვუტყდი, რომ წინათ, განსაკუთრებით იმ გრძელ დღეებსა და ღამეებში, რომლებიც სანატორიუმში გამიტარებია ფილტვების ტუბერკულოზით დაავადებულს, ხშირად მიოცნებია, მონაწილეობა მიმეღო გერმანიის გაერთიანების საქმეში. ახლა გუშინდელი ოცნებები სინამდვილედ იქცა. ეს მე ღრმა მადლიერების გრძნობით მავსებდა. ნამდვილად მართალია ის აზრი, რომ პოლიტიკოსმა თავისი მოღვაწეობა საკუთარი მიღწევებით გამოწვეული კმაყოფილების გრძნობაზე არ უნდა ააგოს, მაგრამ მე სხვაგვარი გამოცდილებაც შემიძენია.

ცოტა სხვა რამეა ის, რომ გაზვიადებული წარმოდგენა არ შეიქმნა საკუთარ თავზე, შეინარჩუნო იმის უნარი, რომ მადლიერი დარჩე, თუკი შესაძლებლობა მოგეცა, ადამიანებს დაეხმარო, წვლილი შეიტანო მშვიდობის შენარჩუნების საქმეში, მონაწილეობა მიიღო ახალი ევროპის შენებაში — და მერე მოიმკო ნაყოფი ათეული წლების მანძილზე გაწეული მუშაობისა, რომელიც იქითკენ იყო მიმართული, რომ საკუთარი ხალხისთვის გაეხსნა ის გზა, რომელიც მას ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებამდე მიიყვანდა. იმ სადამოს მე ამას თავისებურ მოწყალებად აღვიქვამდი. მივხურე ფანჯარა და ჩემს მეუღლეს დავურეკე, რათა ორიოდე ფრაზით მაინც აღმეწერა მისთვის, რასაც განვიცდიდი.

გერმანულიდან თარგმნა ლევან ბრეგაძემ.

(დასასრული იქნება).

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 98-106.

ბიუჯეტი

## მარტვილი: გეგმები გადაჭარბებით შესრულდა

**მარტვილის რაიონმა გადაჭარბებით შეასრულა როგორც აპრილის, ისე მთლიანად წლევანდელი ოთხი თვის გეგმები.**

102,1 პროცენტით შესრულდა სახელმწიფო ბიუჯეტის აპრილის თვის გეგმა. მათ შორის, ცენტრალური ბიუჯეტისა — 106,8, ხოლო ადგილობრივისა — 103,6 პროცენტით. განაღდებულია სოციუზრუნველყოფის ფონდის დავალებებიც.

— როგორც აღვნიშნეთ, მარტვილელებმა წარმატებით გაართვეს თავი ოთხი თვის გეგმების შესრულებასაც. სახელმწიფო ბიუჯეტმა ამ დროის მანძილზე საგეგმო 159-ის ნაცვლად მიიღო 164,8 ათასი ლარი (103,6 პროცენტი). მათ შორის, ასევე გადაჭარბებით — 103,9 პროცენტით შესრულდა ცენტრალური ბიუჯეტის გეგმა, 101,3 პროცენტით — ადგილობრივი ბიუჯეტისა. 103,5 პროცენტით — სოციუზრუნველყოფის ფონდისა.

უთუოდ აღსანიშნავია ისიც, რომ აპრილის თვის ჩათვლით წლევანდელი ხელფასები შეუფერხებლად აქვთ მიღებული როგორც პედაგოგებს, ისე ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი ორგანიზაციების თანამშრომლებსაც.

ამ წარმატებების ფონზე არის ორი პრობლემა, რომელთა მოგვარება-დაძლევაში მარტვილელებს ქვეყნის შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების ქმედითი დახმარება ესაჭიროებათ. ეს არის შედარებითი შეფერხებები პენსიების დროულ გაცემაში და შარშანდელ ზაფხულში გვალვით დაზარალებულთათვის შეპირებული დახმარებების გაწევის გაჭიანურება.

გიორგი გამახარია.

ომი თუ ინფორმაცია?

### თანამედროვეობის ყველაზე მუხანათური და უჩინარი იარაღი

საქართველოს მოსახლეობის ფსიქოლოგიური უსაფრთხოების და საზოგადოების საინფორმაციო-ფსიქოლოგიური გარემოს უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის ახალ ვითარებაში, **განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ეროვნული უსაფრთხოების საინფორმაციო-ფსიქოლოგიური უზრუნველყოფის სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებაზე.** ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა საზოგადოების საინფორმაციო-ფსიქოლოგიური გარემოს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ორგანიზაცია გაუკეთდეს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, საზოგადოებრივი გაერთიანებების, პოლიტიკური პარტიებისა და მოქალაქეების კოორდინირებულ საქმიანობას.



## საინფორმაციო პოლიტიკისა და საინფორმაციო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზოგიერთი ასპექტი

არსებული მდგომარეობის ანალიზის შედეგებიდან და სხვა ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საინფორმაციო-ფსიქოლოგიური უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი მიმართულებებია:

— მოსახლეობის ფსიქიკისათვის, საზოგადოების საინფორმაციო-ფსიქოლოგიური გარემოსათვის ზიანის მისაყენებლად მოწინააღმდეგის მიერ გამოყენებული ფორმებისა და მეთოდების თეორიულ-მეთოდოლოგიური შესწავლა;

— სხვადასხვა მეთოდიკური და საინფორმაციო მასალების მომზადება, მათ შორის იმ სტრუქტურების კოორდინირება, რომლებიც განახორციელებენ საინფორმაციო-ფსიქოლოგიურ უზრუნველყოფას;

— საზოგადოების საინფორმაციო-ფსიქოლოგიური გარემოს, მოსახლეობის ფსიქოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მიმართული ყოველდღიური პრაქტიკული საქმიანობა.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საინფორმაციო-ფსიქოლოგიური უზრუნველყოფის ობიექტებად მოიაზრება:

— საზოგადოების საინფორმაციო-ფსიქოლოგიური გარემო, რომელიც გამოიყენება ადამიანების ფსიქიკასა და ქცევაზე ზემოქმედებისათვის (გაელენის მოსახდენად);

— საინფორმაციო რესურსები (კულტურული, ისტორიული, ეროვნული და სულიერი ღირებულებების, ტრადიციების... შესახებ);

— საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმირების სისტემა (მსოფლმხედველობა, პოლიტიკური შეხედულებები, კულტურული და სულიერი ღირებულებები);

— საზოგადოებრივი აზრის ფორმირების სისტემა;

— პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების სისტემა.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საინფორმაციო-ფსიქოლოგიური უზრუნველყოფის ამოცანად მოიაზრება:

— მოსახლეობის ფსიქიკის, სოციალური ჯგუფების, მოქალაქეების დაცვა დესტრუქციული საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ზემოქმედებისაგან;

— ქვეყნის თავდაცვითუნარიანობის შესუსტების მიზნით საქართველოს სახელმწიფოსადმი მტრულად განწყობილი პოლიტიკური ძალების მხრიდან მოსახლეობის მიერ ინფორმაციის აღქმის პროცესებით მანიპულირების მცდელობებისათვის წინააღმდეგობის გაწევა;

— საინფორმაციო სივრცეში (გლობალურ, რეგიონულ, სუბრეგიონულ, ეროვნულ და სხვ.) საქართველოს ეროვნული ინტერესების, მიზნებისა და ღირებულებების დაცვა;

— ეროვნული უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი პრობლემებისადმი საქართველოს საზოგადოებრიობის დამოკიდებულების მუდმივი მონიტორინგი (საქართველოს მოსახლეობის ფსიქიკური მდგომარეობის, საზოგადოებრივი აზრის დიაგნოსტიკა);

— სულიერ და ზნეობრივ სფეროში ინფორმაციული ექსპანსიისათვის წინააღმდეგობის გაწევა.

### მრავალფუნქციური კომპლექსური ამოცანა

თანამედროვე პირობებში საქართველოსთვის სახელმწიფო საინფორმაციო პოლიტიკის მრავალგანზომილებადი ფუნქციური ამოცანა გულისხმობს **რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემის კომპლექსურ გადაჭრას, რის გარეშეც საინფორმაციო პოლიტიკა ვერ გახდება ეფექტიანი და, შესაბამისად, ვერ იქნება მიღწეული სახელმწიფოს საინფორმაციო სივრცის ერთიანობა და მთლიანობა, აქედან გამომდინარე ინფორმაციული უსაფრთხოებაც.**

სახელმწიფო საინფორმაციო პოლიტიკის მრავალფუნქციური კომპლექსური ამოცანაა ერთიანი საერთო-სახელმწიფოებრივი სტრუქტურის სახით ჩამოაყალიბოს და განავითაროს:

1. საინფორმაციო საკანონმდებლო-სამართლებრივი სისტემა;

2. ეროვნული ინფორმაციული რესურსების სისტემა (სახელმწიფო და არასახელმწიფო);

3. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა;

4. საინფორმაციო ინდუსტრიის სამეცნიერო-ტექნიკური და საწარმოო პოტენციალი;

5. საინფორმაციო პროდუქციისა და მომსახურების ბაზარი;

6. საინფორმაციო ანალიზირებისა და პროგნოზირების ტექნოლოგიები;

7. სახელმწიფო მმართველობის ინფორმაციული უზრუნველყოფის სისტემა;

8. ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემა;

9. მასობრივი საინფორმაციო განათლების, საინფორმაციო სფეროსათვის პროფესიული კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემა და სხვ.

**ზემოთ ჩამოთვლილი სისტემების ერთიანი საერთო-სახელმწიფოებრივი სტრუქტურის სახით ჩამოყალიბებისა და განვითარების ფაქტორები უმნიშვნელოვანეს როლს ითამაშებენ ქვეყნის საინფორმაციო უსაფრთხოებისა და საინფორმაციო სივრცის ერთიანობისა და მთლიანობის უზრუნველყოფაში, მის მსოფლიო საინფორმაციო სივრცესთან ჩვენთვის მისაღები პირობებით ინტეგრაციაში. რადგანაც, საზოგადოების ყველა სფეროს (განსაკუთრებით ეკონომიკის, მეცნიერების, პოლიტიკის, სამხედრო საქმის) ინფორმატიზაციასთან ერთად იზრდება საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და საინფორმაციო რესურსის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა, ქვეყნის გეოპოლიტიკური პოტენციალი. ანუ მისი პოლიტიკური შესაძლებლობანი გლობალურ მასშტაბში, დღეს უკვე განისაზღვრება არა იმდენად ტერიტორიის მდებარეობითა და ზომებით, მოსახლეობის რაოდენობით, რამდენადაც ინფორმაციული რესურსებითა და საკომუნიკაციო შესაძლებლობებით.**

სახელმწიფოს მიერ ეფექტიანი ეროვნული საინფორმაციო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება თანამედროვე ეტაპზე საქართველოს წინაშე მდგარი პრობლემების წარმატებით გადაჭრის ოპტიმიზაციის ფაქტორი და ერთ-ერთი უმთავრესი გადაუდებელი პრიორიტეტული ამოცანაა.

ჰენრი კუპრაშვილი,
ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის საინფორმაციო-ანალიტიკური სამსახურის უფროსი.

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 105-106.

კანონმდებლები

**„ახალმა აფხაზეთმა — ქრისტიან-დემოკრატებმა“ ახალ თავმჯდომარესთან ვაჟა ლორთქიფანიძესთან ერთად პრესკონფერენცია გამართა. პრესკონფერენციას ფრაქცია „აფხაზეთის“ წევრებიც ესწრებოდნენ: გენო კალანდიამ და დიმიტრი ჯაიანმა ვაჟა ლორთქიფანიძეს თანადგომა აღუთქვეს.**

**აფხაზეთის სახელით საქართველოს პარლამენტში ორი ფრაქციის არსებობა მიზანშეუწონლად მიაჩნია აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს თამაზ ნადარეიშვილს. მან ჩვენთან საუბარში განაცხადა:**

— ფრაქციის ხელმძღვანელად ვაჟა ლორთქიფანიძის მოსვლას მე მივიჩნევ ფრაქციების გაერთიანების საწინდრად. აქ მეორე ფრაქციის წევრებიც მოვიდნენ. აქ მეც ვარ, რომელიც არც ერთ ფრაქციაში არ ვარ, არიან ჩემი მოადგილეები, ჩემი პარტიის წევრები, რომლებიც ასევე არიან პარლამენტის წევრები და სხვა. — იმედიანად არის თამაზ ნადარეიშვილი.

**ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრება ფრაქცია „ახალი აფხაზეთი — ქრისტიან-დემოკრატების“ თავმჯდომარე ვაჟა ლორთქიფანიძე:**

## აფხაზეთის დასაბრუნებლად ყველაფერი უნდა გავაკეთოთ



**— ბატონო ვაჟა, როგორც ჩანს, წინასაარჩევნოდ პარლამენტში ახალი ძალის ჩამოყალიბება მიმდინარეობს. ერთიან კოალიციაში მოიაზრება „ალიანსი ახალი საქართველოსათვის“, „თანადგომა“ და „ახალი აფხაზეთი — ქრისტიან-დემოკრატები“, რომლის თავმჯდომარეც დღეიდან თქვენ ბრძანდებით. და მაინც, რა ხდება, რატომ მოხვედით ამ ფრაქციაში?**

— ჯერ ერთი ხდება ის, რის გამოც ეს ფრაქცია შეიქმნა. ჩემთვის მთავარი ეს არის. ამ ფრაქციაში ჩემი მოსვლა არის ხაზგასმა იმისა, რომ ტერიტორიული გამთლიანება, საზოგადოების გამთლიანება, პიროვნების გამთლიანება დღეს ჩვენი ქვეყნისთვის უმთავრესს წარმოადგენს. აფხაზეთი დასაბრუნებელია. ეს არის მთავარი ამოსავალი წერტილი, ამ საკითხის გადაჭრას რა კოალიცია და გაერთიანებაც უნდა ემსახურებოდეს, რა თქმა უნდა, ჩვენი ფრაქცია გარკვეულ ნაბიჯებს გადადგამს. თქვენ რაც ფრაქციები ჩამოთვალეთ, მათთან ჩვენ ძალიან კარგი პარტნიორული ურთიერთობები გვაქვს და მომავალშიც გვექნება. არ გამოვრიცხავ სხვა ფრაქციებს და სხვა კოალიციებს. ჩვენი თანამშრომლობა ძალიან ფართო იქნება. ვფიქრობ, აფხაზეთის თემა, გამთლიანების თემა, ყოველგვარ ვიწრო პარტიულ ინტერესებზე მაღლა უნდა დადგეს.

**— მოგეხსენებათ, „ულტიმატუმის“ ვადა იწურება. 1 აგვისტოს შემდეგ, თუ მანამდე აფხაზი სეპარატისტები თბილისის სამშვიდობო ნება-სურვილს არ დაჰყვნენ, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი აფხაზეთის ძალისმიერი გზით დაბრუნებისთვის ემზადება. დღეს ბატონი თამაზი თქვენს პრესკონფერენციას ესწრებოდა. იზიარებთ მის პოზიციას?**

— აფხაზეთის დასაბრუნებლად ყველაფერი უნდა გავაკეთოთ. ეს იქნება ძალიან კონკრეტული და ვრცელი პროგრამა. რაც ჩვენ გვაქვს და ბატონი თამაზის პოზიციას არ ეწინააღმდეგება. აფხაზეთს აუცილებლად ძლიერი ხელი დაიბრუნებს, ძლიერი პოლიტიკურად, ეკონომიკურად და სამხედრო თვალსაზრისითაც. ამასთან, უპირველესად, საჭიროა დიალოგი, ახლა მე ამ წუთში ვერ გეტყვით, ბატონი თამაზი აგვისტოდან რას აპირებს, მაგრამ ვფიქრობ, რომ ჩვენ ძალიან რეალური ნაბიჯები უნდა გადავდგათ. ერთ რამეში ბატონ თამაზს აბსოლუტურად ვეთანხმები, — არ შეიძლება ამ პრობლემის თვითდინებაზე მიშვება და მეშვიდეხარისხოვან პრობლემად ქცევა. ასე ეს საკითხი არ გადაწყდება. ცენტრალური პრობლემა, რომელიც დღეს ჩვენს ქვეყანას მახრჩობელასავით ახვევია და სუნთქვის შესაძლებლობას არ აძლევს, ეს არის დაყოფილი, გახლეჩილი საქართველო. მე მგონია, რომ ხელისუფლების, პარტიების და მთლიანად საზოგადოების ძალისხმევა ამ მიმართებით დღეს არასაკმარისია.

**— თქვენ დიალოგი ახსენეთ, არადა, დიალოგის მსურველი ორივე მხარე უნდა იყოს. ხშირად, ასე რომ არ ხდება? თუნდაც ერთი კონკრეტული შემთხვევა ავიღოთ, — ამას წინათ სოხუმის ხელისუფლებამ ოფიციალურად განაცხადა, რომ რუსეთის მიერ გუდაუთის სამხედრო ბაზის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით აღებული ვალდებულებების შესამოწმებლად იქ უცხოელ დამკვირვებლებს არ შეუშვებს. თქვეს და ამ პოზიციაზე ჯიუტად დგანან. ასეთი დიალოგები პერსპექტიულად მიგაჩნიათ?**

— დიალოგი პერსპექტიულად მიმაჩნია. სწორედ დიალოგი არის იმის პირველი წამალი, რომ ასეთი რამ არ ხდებოდეს. როდესაც დიალოგი არსებობს, როდესაც არსებობს გარკვეული, ასე ვთქვათ, პროგრამა, პოლიტიკა, ეს ყველაფერი იმას გულისხმობს, რომ ასეთი ხასიათის სირთულეები დავძლიოთ. არა მგონია, ეს კონკრეტული საკითხი, რაც თქვენ აღნიშნეთ, დიდ სიძნელეს წარმოადგენდეს. დღეს გუდაუთში შესვლის წინააღმდეგი არიან, ხვალ სხვა პრობლემა გამოჩნდება. მთავარი ეს არ არის. ასეთი სიძნელეები იქნება, მაგრამ, ვიმეორებ, ეს უნდა დავძლიოთ სწორედ ამ დიალოგებით, ამ ურთიერთობებით და იმ პოლიტიკით, რომელიც დიალოგის გარდა გულისხმობს პროცესში მსოფლიო თანამეგობრობის ჩართვას, სხვადასხვა ზემოქმედების ფორმებს.

**— თბილისში 25 აპრილს მომხდარი მიწისძვრის ექო ჯერ არ ჩამცხრალა. ბევრს ლაპარაკობენ ეშერის ლაბორატორიასთან დაკავშირებით. ზოგიერთი პოლიტიკოსის აზრით, უნდა შეიქმნას საერთაშორისო კომისია, რათა საზოგადოებისათვის გამჭვირვალე გახდეს, რას წარმოადგენს ეშერის ლაბორატორია, არის თუ არა იგი მართლა საშიში. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— მე ვეთანხმები მათ, ვინც ამბობს, რომ ეს საკითხი გამჭვირვალე გახდეს. თუ არის კითხვა, პასუხიც უნდა გაეცეს. ჩემი მაშინდელი მონაცემებით, როცა მე რუსეთში საქართველოს ელჩი ვიყავი, სიცოცხლისათვის საშიში რამ, იქ არ იყო. შეიძლება რაღაც არ ვიცოდე. არის ისეთი რამ, რაც არც ელჩმა, არც სახელმწიფო მინისტრმა და ზოგჯერ ქვეყნის პრეზიდენტმაც არ იცის. ასეც ხდება. როგორც გითხარით, ჩემი მაშინდელი მონაცემებით, ეშერაში ისეთი რამ არ იყო, რომ ასე ვთქვათ, საშიში ყოფილიყო. მაგრამ მე დარწმუნებით ვერაფერს გეტყვით. ეჭვების გაფანტვის ყველაზე საუკეთესო საშუალება ღიად და საჯაროდ სიმართლის თქმა იქნება. სიმართლე უნდა ვიცოდეთ.

ესაუბრა
მზია გელენავა.

### მხოლოდ ორი დღით ადრე

როგორც ჟურნალისტებს განუცხადა ამერიკელმა მეკავშირე ოფიცერმა პოლკოვნიკმა სკოტ ტაინმა, ამერიკელ ინსტრუქტორთა ჩამოსვლა გაჭიანურდა იმის გამო, რომ ქართული სპეცდანიშნულების რაზმების მომზადებისათვის გათვალისწინებული პროგრამის განსახორციელებლად წინასწარ გამოყოფილი იყო თანხა, რომელიც, როგორც გაირკვა, პროგრამაზე მუშაობის პროცესში, საკმარისი არ ყოფილა. ორივე მხარემ — როგორც ქართულმა, ისე ამერიკულმა მხარეებმა დაიწყეს ამ პროგრამის სრულფასოვნად განხორციელებისათვის საჭირო დამატებითი სახსრების ძებნა. რაც შეეხება ამერიკელთა ჩამოსვლის თარიღს, შარშან სექტემბერში ამერიკაში მომხდარი ტრაგიკული მოვლენების შემდეგ უმეტესობის მოსაზრებით, იგი წინასწარ არ დაუსახელებიათ და თვით ამერიკელმა სამხედრო მოსამსახურეებმა საქართველოში გამგზავრების შესახებ მხოლოდ გამოფრენამდე ორი დღით ადრე შეიტყვეს.

### სწავლა თბილისის სკოლებში 7 მაისს განახლდება

საქართველოს მშენებლობისა და ურბანიზაციის სამინისტროს რეკომენდაციით ქალაქ თბილისის მერიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც სწავლა დედაქალაქის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 7 მაისს განახლდება.

ქალაქში მოქმედი 417 სკოლიდან ამჟამად 102 შენობა ავარიულ მდგომარეობაშია, 21 კი — საერთოდ დახურულია, მიაჩნიათ სპეციალისტებს.

### საშტაბო სწავლებები მაისის ბოლოს დაიწყება

საქართველოს სამხედრო დახმარების ამერიკული „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის ფარგლებში, საშტაბო სწავლებები მაისის ბოლოს დაიწყება და 70 დღეს გაგრძელდება.

ამის შესახებ პოლკოვნიკმა სკოტ ტაინმა განაცხადა.

შემდეგი ფაზის — მსუბუქი ქვეითი ბატალიონების სწავლების დაწყება ივლისის ბოლოს, აგვისტოს დასაწყისში იგეგმება და 100 დღეს გაგრძელდება.

### მკვლელი დაკავებულია

მკვლელობასა და ყაჩაღობაში ეჭვმიტანილი პიროვნების დაკავებით დამთავრდა პოლიციის ოპერაცია. მას 7 დღის მანძილზე „იბერკომპანის“ ავტოგასამართ სადგურზე მომხდარი მკვლელობის შემდეგ უთვალთვალებდნენ. დაკავებამდე ეჭვმიტანილმა კიდევ ერთი ძარცვა მოასწრო. ეს პიროვნება აღმოჩნდა 25 წლის პაატა დოლაბერიძე, რომელიც დილმის მასივში ნაქირავებ ბინაში დააკავეს. მას ერთდროულად 3 ადამიანის მკვლელობასა და 20-ზე მეტ ყაჩაღობაში ედება ბრალი. მან რამდენიმე თვის წინათ რუსთავის კოლონიიდან სასამართლოში გადაყვანისას საბადრაგო მანქანიდან გაქცევა მოახერხა, რომლის დროსაც ორგანოს თანამშრომელს ტაბელური იარაღი წაართვა და მიიმალა. პოლიციის ინფორმაციით, დოლაბერიძის ბინიდან ამოღებულია საათების მაღაზიიდან გატაცებული ნივთები.

### მესაზღვრეები ერთობლივ წვრთნას გამართავენ

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს აცნობეს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესცენტრში, ყაზბეგში გაიმართა რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონული სამმართველოს შტაბის ხელმძღვანელის გენერალ-ლეიტენანტ ვალერი პუტოვისა და საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის შტაბის უფროსის პოლკოვნიკ კორნელი სალიას შეხვედრა.

მხარეებმა დათქვეს გამართონ მიმდინარე წლის ზაფხულში მესაზღვრეთა ერთობლივი წვრთნა. მისი ერთ-ერთი პუნქტი ეხება ვლადიკავკაზში საქართველოსა და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროების საკონსულო განყოფილებების შექმნის შესაძლებლობას, რაც ხელს შეუწყობდა რუსეთ-საქართველოს საზღვარზე სავიზო რეჟიმის შემოღებასთან დაკავშირებული მრავალი საკითხის ოპერატიულ გადაწყვეტას.

ინფორმაციები მოგვაწოდეს საქინფორმმა და პრაიმ-ნიუსმა.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 107-108, შაბათი, 4 მაისი, 2002 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩევნები

# №1 მთაწმინდის საარჩევნო ოლქის უბნები და საზღვრები

**№1 საარჩევნო უბანი**
ცენტრი: 43-ე საშუალო სკოლა
მისამართი: ლადო ასათიანის ქუჩა №50
ტელეფონი: 998865
საზღვრები: ლადო ასათიანის ქუჩის კენტი ნომრები 19-35/22-ის (იაშვილის) ჩათვლით; წყვილი ნომრები 30-დან 50-ის ჩათვლით; მაჩაბლის ქუჩა მთლიანად; გ. ქიქოძის ქუჩის წყვილი ნომრები 4-დან 16-ის ჩათვლით კენტი მხოლოდ 15; ლერმონტოვის ქუჩის კენტი ნომრები 9-დან 23-ის ჩათვლით; წყვილი ნომრები 8-დან 22-ის ჩათვლით; გალაკტიონის ქუჩა მთლიანად; დადიანის ქუჩის კენტი ნომრები 1-დან 17-ის ჩათვლით; გ. ლეონიძის ჩიხი მთლიანად.

**№2 საარჩევნო უბანი**
ცენტრი: 41-ე საშუალო სკოლა
მისამართი: კოჯრის ქუჩა №1
ტელეფონი: 933347
საზღვრები: პ. იაშვილის კენტი ნომრები 11-დან 23-ის ჩათვლით (ლერმონტოვის 24, 25); იაშვილის ქუჩის ლუწი ნომრები 8-დან (ლეონიძის 20) 20-ის ჩათვლით; გერგეთის ქუჩა და შესახვევი მთლიანად; ჭონქაძის ქუჩის ლუწი ნომრები 2-დან 18-ის ჩათვლით; კენტი №1; ლადო ასათიანის ქუჩის ლუწი ნომრები 52-დან 66-ის ჩათვლით; კენტი ნომრები 37-43; გ. ქიქოძის ქუჩის კენტი ნომრები 9-დან 13-ის ჩათვლით; ამაღლების ქუჩის კენტი ნომრები 1-დან 9-ის ჩათვლით, წყვილი ნომრები 2-დან 10-ის ჩათვლით; ლერმონტოვის ქუჩის კენტი № 31.

**№3 საარჩევნო უბანი**
ცენტრი: მე-4 ბაგა-ბაღი
მისამართი: კოჯრის ქუჩა №6
ტელეფონი: 932020
საზღვრები: კოჯრის ქუჩა მთლიანად; კოჯრის გზატკეცილი; ახალი კოჯრის ქუჩა; კოჯრის გზატკეცილის I ჩიხი მთლიანად; გენერალ მუსხელიშვილის ქუჩა და ჩიხი მთლიანად; ამაღლების ქუჩის კენტი ნომრები 11-დან ბოლომდე; ლუწი ნომრები 12-დან ბოლომდე; ამაღლების გასასვლელი და შესახვევი მთლიანად; მრუდე ჩიხი მთლიანად; შხეფის ქუჩა მთლიანად; წავკისის ქუჩა მთლიანად; შესახვევი მთლიანად; სევანელის ქუჩა მთლიანად; სერგო მესხის ქუჩა და ჩიხი მთლიანად; შინდისის ქუჩა და ჩიხი მთლიანად; ოქროყანის ქუჩა მთლიანად; ამ საზღვრებში არსებული ყველა უნომრო შენობა.

**№4 საარჩევნო უბანი**
ცენტრი: 28-ე საშუალო სკოლა
მისამართი: ოქროყანა
ტელეფონი: 999563
საზღვრები: ოქროყანის დასახლება მთლიანად.

**№5 საარჩევნო უბანი**
ცენტრი: თეატრის მოღვაწეთა კავშირი
მისამართი: გ. ლეონიძის ქუჩა №11
ტელეფონი: 999914
საზღვრები: გ. ლეონიძის ქუჩის კენტი ¼ (თავისუფლების)-დან მთლიანად და ლუწი ნომრები 6-დან 18-ის ჩათვლით; ლერმონტოვის ქუჩის კენტი ნომრები 27-დან 29-ის ჩათვლით; ლუწი ნომრები 26; სულხან-საბას ქუჩა მთლიანად; ინგოროყვას ქუჩის კენტი ნომრები 1-დან 11-ის ჩათვლით; წყვილი ნომრები 2-დან 18-ის ჩათვლით; იაშვილის ქუჩის კენტი ნომრები 1-დან 9-ის ჩათვლით; წყვილი ნომრები 2-დან 6-ის ჩათვლით; ჭონქაძის ქუჩის კენტი ნომრები 3-დან 25-ის ჩათვლით; გ. ქიქოძის ქუჩის №1, 2; ჩაიკოვსკის ქუჩა მთლიანად; ვ. ბერიძის ქუჩა წყვილი ნომრები 2-დან 8-ის ჩათვლით; კენტი ნომრები 1-დან 9-ის ჩათვლით; თავისუფლების მოედანი №4.

**№6 საარჩევნო უბანი**
ცენტრი: 47-ე საშუალო სკოლა
მისამართი: ჩიტაძის ქუჩა № 9
ტელეფონი: 931591
საზღვრები: ძმები ზუბალაშვილების ქუჩის ლუწი ნომრები 2-დან 28-ის ჩათვლით; კენტი ნომრები 1-დან 21-ის ჩათვლით; მიხაი ზიჩის ქუჩა მთლიანად; პარალელის ქუჩა მთლიანად; ინგოროყვას ქუჩის კენტი ნომრები 17-დან, 25-ის ჩათვლით; წყვილი ნომრები 20-დან 30-ის ჩათვლით; არსენა ოძელაშვილის ქუჩის კენტი ნომრები 1-დან 17-ის ჩათვლით; ლუწი ნომრები 2-დან 14-ის ჩათვლით; მთაწმინდის ქუჩის ლუწი ნომრები მთლიანად, შესახვევი მთლიანად; ვ. კოტეტიშვილის ქუჩა და შესახვევი მთლიანად; ნიაღვრის ქუჩა და შესახვევი მთლიანად; ჩიტაძის ქუჩა და შესახვევი მთლიანად; ჭონქაძის ქუჩის ლუწი ნომრები 20-დან 28-ის ჩათვლით; ბესიკის ქუჩის ლუწი ნომრები 12-დან ბოლომდე; ბესიკის ქუჩის II შესახვევი მთლიანად; ჟორდანიას (პარალელის) ქუჩა მთლიანად; ფუნიკულიორის ზედა პლატო; ამ საზღვრებში არსებული ყველა უნომრო სახლი.

**№7 საარჩევნო უბანი**
ცენტრი: ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახ. დამსახურებული აკადემიური ანსამბლი
მისამართი: რუსთაველის გამზ. № 16
ტელეფონი:
საზღვრები: რუსთაველის გამზირის წყვილი ნომრები 10-დან 28-ის ჩათვლით; ბესიკის ქუჩის კენტი ნომრები 1-დან 11-ის ჩათვლით; წყვილი ნომრები 2-დან 10-ის ჩათვლით; გრიბოედოვის ქუჩის კენტი ნომრები 1-დან 17-ის ჩათვლით; წყვილი ნომრები 2-დან 16-ის ჩათვლით; მიტროფანე ლაღიძის ქუჩა მთლიანად; ძმ. ზუბალაშვილების ქუჩის კენტი ნომრები 23-დან 33-ის ჩათვლით, წყვილი ნომრები 30-დან 38-ის ჩათვლით; ალ. ჭავჭავაძის ქუჩის წყვილი ნომრები 2-დან 10-ის ჩათვლით; შევჩენკოს ქუჩა მთლიანად; ლესია უკრაინკას ქუჩა მთლიანად; ჭიჭინაძის ქუჩა მთლიანად; ამ საზღვრებში არსებული ყველა უნომრო სახლი.

**№8 საარჩევნო უბანი**
ცენტრი: ზაქარია ფალიაშვილის სახ. სამუსიკო სასწავლებელი
მისამართი: ძმ. ზუბალაშვილების ქ. № 44
ტელეფონი: 936145
საზღვრები: ალ. ჭავჭავაძის ქუჩის კენტი ნომრები 3-დან 11-ის ჩათვლით; გრიბოედოვის ქუჩის კენტი ნომრები 19-დან 37-ის ჩათვლით; წყვილი ნომრები 18-დან 32-ის ჩათვლით, გრიბოედოვის შესახვევი მთლიანად; ძმ. ზუბალაშვილების ქუჩის კენტი ნომრები 35-დან 53-ის ჩათვლით; წყვილი ნომრები 40-დან 54-ის ჩათვლით. ძმები ზუბალაშვილების მეორე ჩიხი მთლიანად; აბაკელიას ქუჩა მთლიანად; ბორბალოს ქუჩა მთლიანად; რიწის ქუჩა მთლიანად; ცხემის ქუჩა, შესახვევი და ჩიხი მთლიანად; ტარიელის ქუჩა მთლიანად.

**№9 საარჩევნო უბანი**
ცენტრი: საკალათბურთო სპორტული სკოლა
მისამართი: ალ. ჭავჭავაძის ქ. №19
ტელეფონი: 998770
საზღვრები: ალ. ჭავჭავაძის ქუჩის ლუწი ნომრები 10-დან მთლიანად; კენტი ნომრები 13-დან 23-ის ჩათვლით, ჩიხები და მეორე შესახვევი მთლიანად; არსენას ქუჩის კენტი ნომრები 19-დან 35-ის ჩათვლით; ლუწი ნომრები 16-დან 46-ის ჩათვლით; ჩაბალის ქუჩა და შესახვევი მთლიანად; ტყის შესახვევი მთლიანად; თხინვალის ქუჩა და შესახვევები მთლიანად; ვეძინის ქუჩა და შესახვევები მთლიანად; ლიხის ქუჩა მთლიანად; კოტე მესხის ქუჩა და შესახვევები მთლიანად; ყიფიანის ქუჩა, შესახვევი და ჩიხი მთლიანად; ბესიკის ქუჩის კენტი ნომრები 13-დან 27-ის ჩათვლით; მთაწმინდის ქუჩის კენტი ნომრები 1-დან მთლიანად. ამ საზღვრებში არსებული ყველა უნომრო სახლი

**№ 10 საარჩევნო უბანი**
ცენტრი: ცეკავშირი
მისამართი: თავისუფლების მოედანი № 7
ტელეფონი
საზღვრები: რუსთაველის გამზირის კენტი ნომრები 1-დან 25-ის ჩათვლით; წყვილი ნომრები 2-დან 8-ის ჩათვლით; 9 აპრილის ქუჩა მთლიანად; ლადო გუდიაშვილის ქუჩა მთლიანად; ნატო ვაჩნაძის ქუჩა მთლიანად; აბაშიძის ქუჩა და შესახვევები მთლიანად; ფურცელაძის ქუჩა – მთლიანად; ჯორჯაძის ქუჩა მთლიანად; ხაზინის ქუჩა მთლიანად; ათონელის ქუჩა 18, 20 და 31 ნომრები. პუშკინის ქუჩის წყვილი ნომრები მთლიანად; რეზო თაბუკაშვილის ქუჩის კენტი ნომრები 1-დან 9-ის ჩათვლით; წყვილი ნომრები 2-დან 36-ის ჩათვლით; ფხოვის ქუჩა მთლიანად; მანჯგალაძის ქუჩა და გასასვლელი მთლიანად; სტამბის ჩიხი მთლიანად.

**№11 საარჩევნო უბანი**
ცენტრი: ეკონომიკის სამინისტრო
მისამართი: გ. ჭანტურიას ქ. №12
ტელეფონი:
საზღვრები: რუსთაველის გამზირის კენტი ნომერები 27-დან 31-ის ჩათვლით; ვირსალაძის ქუჩა მთლიანად; ბროსეს ქუჩა ჩიხებით – მთლიანად; ჯამბულის ქუჩა მთლიანად; რეზო ლაღიძის ქუჩა - მთლიანად; შოთა მესხის ქუჩა – მთლიანად; ქუთათელაძის ქუჩა და შესახვევი მთლიანად; კვალის ქუჩა – მთლიანად; რეზო თაბუკაშვილის ქუჩის კენტი ნომრები 11-დან მთლიანად; წყვილი ნომრები 38-დან მთლიანად; რეზო თაბუკაშვილის შესახვევი მთლიანად; გ. ჭანტურიას ქუჩის წყვილი ნომრები 10-დან 14-ის ჩათვლით;

**№12 საარჩევნო უბანი**
ცენტრი: მეცნიერებათა აკადემია
მისამართი: რუსთაველის გამზირი №52
ტელეფონი: 996913
საზღვრები: რუსთაველის გამზირის წყვილი ნომრები 30-დან მთლიანად; კენტი №37; სარაჯიშვილის ქუჩა - მთლიანად; ძმები კაკაბაძეების ქუჩა - მთლიანად; გაბაშვილის ქუჩა მთლიანად; ნ. ზალდასტანიშვილის ქუჩა, შესახვევი და გადასასვლელი – მთლიანად; ფერხულის შესახვევი მთლიანად; ბარნოვის ქუჩის კენტი ნომრები 1-დან 31-ის ჩათვლით; წყვილი ნომრები 2-დან 26-ის ჩათვლით; ბარნოვის მე-3 ჩიხი მთლიანად; მაყაშვილის ქუჩის წყვილი ნომრები 6-დან მთლიანად; კენტი ნომრები 7-დან მთლიანად; ჩიხი მთლიანად; კერესელიძის ქუჩის წყვილი ნომრები 6-დან მთლიანად; ერისთავ-ხოშტარიას ქუჩის კენტი ნომრები 1-დან 19-ის ჩათვლით; წყვილი ნომრები 2-დან 22-ის ჩათვლით; გოგებაშვილის ქუჩის კენტი ნომრები 1-დან 17-ის ჩათვლით; წყვილი ნომრები 2-დან 22-ის ჩათვლით; გოგებაშვილის პირველი შესახვევი მთლიანად; გუნიას ქუჩის კენტი ნომრები 1-დან 21-ის ჩათვლით; ლუწი ნომრები 2-დან 20-ის ჩათვლით; შესახვევი მთლიანად; ამ საზღვრებში არსებული ყველა უნომრო სახლი; ზ. ბოცვაძის ქუჩა მთლიანად.

**№13 საარჩევნო უბანი**
ცენტრი: ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი
მისამართი: მიხეილ ზანდუკელის ქუჩა №16
ტელეფონი: 931044
საზღვრები: კოსტავას ქუჩის წყვილი ნომრები 2-დან 18-ის ჩათვლით; მიხეილ ზანდუკელის ქუჩა და ჩიხი მთლიანად; მაყაშვილის ქუჩის წყვილი ნომრები 2-4; კენტი ნომრები 1-დან 5-ის ჩათვლით; კერესელიძის ქუჩის ლუწი ნომერი 4; კენტი ნომრები 3-დან 5-ის ჩათვლით; ბელინსკის ქუჩის – ჭოველიძის ქუჩის, წყვილი ნომრები მთლიანად; კენტი ნომრები 15-დან ბოლომდე; ბაქრაძის ქუჩის წყვილი ნომრები მთლიანად და ჩიხი მთლიანად; შოთა მილორავას ქუჩა მთლიანად; არაგვის ქუჩა მთლიანად; ბარნოვის ქუჩის კენტი ნომრები 33-დან 43-ის ჩათვლით (ყაზბეგის 38); წყვილი ნომრები 28-დან 44-ის ჩათვლით; ბარნოვის მეორე ჩიხის კენტი ნომრები 7-9-11; წყვილი ნომრები 4-დან 26-ის ჩათვლით; გუნიას ქუჩის პირველი და მეორე გასასვლელი მთლიანად; გოგებაშვილის ქუჩის კენტი ნომრები 19-დან 37-ის ჩათვლით; წყვილი ნომრები 24-დან 38-ის ჩათვლით; გოგებაშვილის ქუჩის პირველი, მეორე გასასვლელი; გოგებაშვილის ქუჩის მეორე და მესამე შესახვევი; პირველი, მეორე ჩიხი მთლიანად; ხოშტარიას 24-დან 38-ის ჩათვლით და 21-დან 27-ის ჩათვლით;

**№14 საარჩევნო უბანი**
ცენტრი: მე-3 ბაგა-ბაღი
მისამართი: გოგებაშვილის ქუჩა №39
ტელეფონი: 223260
საზღვრები: გოგებაშვილის ქუჩის კენტი ნომრები 39-დან მთლიანად; წყვილი ნომრები 40-დან მთლიანად; მე-3 ჩიხი მთლიანად; რჩეულიშვილის ქუჩა მთლიანად; რჩეულიშვილის ჩიხი და შესახვევები მთლიანად; ზემო ვაკის ქუჩა მთლიანად; ზემო ვაკის შესახვევები, ჩიხები და გასასვლელები მთლიანად; ამ საზღვრებში არსებული ყველა უნომრო სახლი; ნინო ჟვანიას ქუჩა მთლიანად.

**№15 საარჩევნო უბანი**
ცენტრი: ჭადრაკის სასახლე
მისამართი: მერაბ კოსტავას ქუჩა №37-(ვერის ბაღი)
ტელეფონი: 997736
საზღვრები: ლეო ქიაჩელის ქუჩა მთლიანად; გ. ახვლედიანის ქუჩა და შესახვევები მთლიანად; ნიკო ნიკოლაძის ქუჩა მთლიანად; ია ეკალაძის ქუჩა მთლიანად; პ. კობახიძის ქუჩა მთლიანად; ვაშლოვანის ქუჩა მთლიანად; მ. კოსტავას კენტი ნომრები 1-დან 35-ის ჩათვლით, მ. ჯავახიშვილის ქუჩა (ელბაქიძის დაღმართი) მთლიანად, საქანელას ქუჩა მთლიანად.

**№16 საარჩევნო უბანი**
ცენტრი: მიქელაძის სახელობის ტექნიკური ბიბლიოთეკა
მისამართი: მერაბ კოსტავას ქუჩა №47
ტელეფონი: 983240
საზღვრები: ი. ნიკოლაძის ქუჩა მთლიანად და პირველი ჩიხი მთლიანად; დ. შარაშიძის ქუჩა მთლიანად; ფასანაურის ქუჩა მთლიანად; შიო მღვიმელის ქუჩა მთლიანად; ვერიკო ანჯაფარიძის ქუჩა მთლიანად; ბოცვაძის ქუჩა მთლიანად; მ. კოსტავას კენტი ნომრები 47-დან მთლიანად; 85ა (ცირკის პლატო), წყვილი ნომრები 58, 60; ანანურის ქუჩა მთლიანად; მ. კოსტავას პირველი გასასვლელი მთლიანად; II ჩიხი მთლიანად და ამ საზღვრებში არსებული ყველა უნომრო სახლი;

**№17 საარჩევნო უბანი**
ცენტრი: 183-ე საშუალო სკოლა
მისამართი: ღამბაშიძის ქუჩა №3
ტელეფონი: 225321
საზღვრები: მ. კოსტავას ქუჩის კენტი ნომრები 37-დან 43-ის ჩათვლით; წყვილი ნომრები 38-დან 54-ის ჩათვლით; მ. კოსტავას I და II შესახვევი; ღამბაშიძის ქუჩა მთლიანად; მელიქიშვილის ქუჩის კენტი ნომრები 5-დან 29-ის ჩათვლით; ქუჩიშვილის ქუჩა და შესახვევი მთლიანად; როდინის ქუჩა მთლიანად;

**№18 საარჩევნო უბანი**
ცენტრი: 51-ე საშუალო სკოლა
მისამართი: მელიქიშვილის ქუჩა №2
ტელეფონი: 996286
საზღვრები: მელიქიშვილის ქუჩის წყვილი ნომრები 2-დან 8-ის ჩათვლით; მერაბ კოსტავას ქუჩის წყვილი ნომრები 20-დან 26-ის ჩათვლით; ე. ტატიშვილის ქუჩა მთლიანად; ჭოველიძის ქუჩის კენტი ნომრები 1-დან 13-ის ჩათვლით; ბაქრაძის ქუჩის კენტი ნომრები 3-დან 23-ის ჩათვლით; ყაზბეგის ქუჩის წყვილი ნომრები 2-36 ჩათვლით; კენტი ნომრები 3-41; ბარნოვის ჩიხის კენტი №1, 3, 5; ა. ხორავას ქ. №2.

**№19 საარჩევნო უბანი**
ცენტრი: 152-ე ბაგა-ბაღი
მისამართი: ბარნოვის ქუჩა №62
ტელეფონი: 230170
საზღვრები: ბარნოვის ქუჩის წყვილი ნომრები 46-დან 62-ის ჩათვლით, კენტი ნომრები 45-დან 61-ის ჩათვლით; თარხნიშვილის ქუჩა და ჩიხი მთლიანად; ჯანაშიას ქუჩა და ჩიხი - მთლიანად; სვანიძის ქუჩა და შესახვევი მთლიანად; აკაკი ხორავას ქუჩის წყვილი ნომრები 4-დან – მთლიანად, კენტი 3-დან 15-ის ჩათვლით; აკაკი შანიძის ქუჩა მთლიანად და ამ საზღვრებში არსებული უნომრო სახლები.

**№20 საარჩევნო უბანი**
ცენტრი: 172-ე ბაგა-ბაღი
მისამართი: პეტრიაშვილის ჩიხი №5
ტელეფონი: 225842
საზღვრები: პეტრიაშვილის ქუჩა და ჩიხი მთლიანად; გალის ქუჩა და ჩიხი მთლიანად; თერგის ქუჩა მთლიანად; უმიკაშვილის ქუჩა მთლიანად; ლარსის ქუჩა მთლიანად; ლარსის შესახვევი მთლიანად; კეკელიძის ქუჩის წყვილი ნომრები 2-დან 62-ის ჩათვლით; მელიქიშვილის ქუჩის წყვილი ნომრები 16, 18; ბარნოვის ქუჩის კენტი ნომრები 63-დან 71-ის ჩათვლით; წყვილი ნომრები 64-დან 76-ის ჩათვლით; ბარნოვის I ჩიხი მთლიანად და ამ საზღვრებში არსებული ყველა შენობა.

## ცვლილებები

**№2 ვაკის საარჩევნო ოლქი**
**№37 საარჩევნო უბანი**
ცენტრი: საავადმყოფო პოლიკლინიკური გაერთიანება №2
მისამართი: ქავთარაძის ქ. №16
ტელეფონი: 304132
საზღვრები: ქავთარაძის ქუჩის №20-დან №24-ე კორპუსის ჩათვლით.

**№7 ჩუღურეთის საარჩევნო ოლქი**
**№3 საარჩევნო უბანი**
ცენტრი: მოდელების სახლი
მისამართი: საარბრიუკენის მოედანი 2/8
ტელეფონი: 954663
საზღვრები: სოსო წერეთლის ქუჩა (ყოფილი კოლხეთის ქუჩა, ყოფილი გრინევიცკის ქუჩა) მთლიანად;

**№8 დიდუბის საარჩევნო ოლქი**
**№14 საარჩევნო უბანი**
ცენტრი: 92-ე ბაგა-ბაღი
მისამართი: სამტრედიის ქ. №38
ტელ: 340492

**№19 საარჩევნო უბანი**
ცენტრი: 39 ბიბლიოთეკის ფილიალი
მისამართი: დ/მ. VIკვ. 26-ე კორპუსი
ტელ: 523956

პერსპექტივა

# სერტიფიკატი — კარგი მომავლის წინაპირობა



საქართველოზე გავლენის მოპოვების სურვილი ჩვენი დამპყრობლებისათვის რამდენიმე ფაქტორით იყო განპირობებული. მათ შორის უმთავრესი საზღვაო კარიბჭე გახლავთ. დღეს ძნელია საქართველოს სწორხაზოვნად სოფლის მეურნეობის ან მრეწველობის ქვეყანა ვუწოდოთ. თუმცა პერსპექტივა, რომ საქართველო საზღვაო ქვეყანა გახდება, ძალიან დიდია. ეს კი ნიშნავს დიდ საბიუჯეტო შემოსავლებს და გეოპოლიტიკური მდებარეობის სწორად გამოყენებას.

ეს ოპტიმისტური მოსაზრება, ბუნებრივია, მხოლოდ პატრიოტიზმის გრძნობას არ შეუქმნია. ასეთი დასკვნის კონკრეტული საფუძველი ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის გენერალურ დირექტორთან ჯამბულ ნინიძესთან საუბარმა მოგვცა. როგორც მისგან შევიტყვეთ, ახლახან მსოფლიოს უმნიშვნელოვანესმა საკვალიფიკაციო კომპანიამ „ბიურო ვერიტას ქუალითი ინტერნეიშენელმა“ დადებითად შეაფასა ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის პერსპექტივა და მას მიანიჭა ხარისხის საერთაშორისო სერტიფიკატი, რომელსაც შესაბამისი საიდენტიფიკაციო კოდი აქვს. ეს ნიშნავს, რომ საქართველო მსოფლიოს 26 განვითარებულ ქვეყანასთან ერთად საერთაშორისო ასპარეზზე სრული შესაძლებლობებით გადის. მანამდე ეს სერტიფიკატი მინიჭებული ჰქონდათ ისეთ კომპანიებს, როგორიცაა „ჯენერალ-მოტორსი“, „დაივუ“, „სონი“, „მიცუბიში“, „სიმენსი“, „მერსედეს ბენცი“, „ფორდი“, „ბრიტიშ-ტელეკომი“ და ა. შ. ეს ორგანიზაცია 17000-მდე უცხოურ კომპანიას აერთიანებს. ბიზნესმენებმა კარგად უწყიან, თუ რას ნიშნავს ასეთ პარტნიორებთან თანამშრომლობა, ასეთ სამეგობროში გაწევრიანება.

**— ბატონო ჯამბულ, როგორ მოხდა თქვენი ნავსადგურის აღიარება?**

— ჩვენი ნავსადგურის განვითარების გეგმა ისე იყო შემუშავებული, რომ დამთავრებისთანავე საერთაშორისო აღიარება უნდა მოეპოვებინა. ჩვენი ვარაუდი გამართლდა. ამ ორიოდე წლის წინათ გავაკეთეთ განაცხადი სერტიფიკატის მიღებაზე და შევადგინეთ სათანადო დოკუმენტაცია. 1200 დოკუმენტი მომზადდა რუსულ და ქართულ ენებზე და ითარგმნა ინგლისურად. უცხოელი აუდიტების ჩამოსვლას ჩვენ მზად შევხვდით, მაგრამ მაინც მივიღეთ რამდენიმე შენიშვნა, რაც დაუყოვნებლივ გავითვალისწინეთ და ჩვენი ხარისხის სამსახურის მიერ გაწეული სამუშაო წარმატებით დაგვირგვინდა. მიმდინარე წლის 12 მარტს ლონდონში საკვალიფიკაციო კომისიამ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო.

**— საერთაშორისო მაღალი ხარისხის დამადასტურებელი ეს სერტიფიკატი რა დამსახურებისთვის მოგენიჭათ?**

— სერტიფიკატში მითითებულია ყველაფერი ის, რისთვისაც იგი დავიმსახურეთ, კერძოდ, გემების და ტვირთების მაღალხარისხოვანი მომსახურება, ამასთან დაკავშირებული სხვა ოპერაციების უნაკლოდ შესრულება. უამრავმა ფირმამ და საწარმომ მოგვილოცა, მათ შორის ერთ-ერთმა ფრანგულმა ფირმამ, რომელიც 1828 წლიდან ფუნქციონირებს და კონტეინერების გადაზიდვის რაოდენობის მხრივ მსოფლიოში მერვე ადგილზეა. მან ხარისხის სერტიფიკატის მინიჭების შემდეგ ჩვენთან თანამშრომლობა ისურვა, წარმომადგენელი უკვე გამოგვიგზავნა და წელიწადში 9 ათასი ცალი კონტეინერის გადაზიდვაზე ხელშეკრულებასაც ვამზადებთ. ახლა შავ და ბალტიის ზღვებზე ტვირთის გადაზიდვის წარმომადგენლები უყოყმანოდ გვიფორმებენ ხელშეკრულებებს, იმდენად ენდობიან საერთაშორისო სერტიფიკატს.

**— რისი იმედი შეიძლება ჰქონდეს ქვეყანას, რას აპირებს თქვენი ნავსადგური?**

— საქართველო საზღვაოსნო ქვეყანაა და ნავსადგურს რომ დიდი მოგების მოცემა შეუძლია, ამაზე ორი აზრი არ არსებობს, მათ თავისი შემოსავლებით ქვეყნის ბევრი პრობლემის მოხსნა შეუძლიათ. შარშან 8 მილიონი ტონა ტვირთი გავატარეთ. თუ ამ რამდენიმე წლის წინათ 10 ჰექტარი ტერიტორია გვქონდა, აჭარის ხელისუფლების ხელშეწყობით ის 40 ჰექტრამდე გაიზარდა. ტვირთის გამტარუნარიანობას ნელ-ნელა გავზრდით. გადაწყვეტილი გვაქვს ფოთის ნავსადგურთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობა და საქმიანი ურთიერთობები ვიქონიოთ. ვფიქრობთ, რომ ჩვენი ფოთის ნავსადგურთან ურთიერთდამოკიდებულება უფრო პარტნიორული უნდა იყოს, კონკურენციას კი არა, მეგობრობას უნდა ვუწევდეთ ერთმანეთს, რადგან საერთო საქმეს, საქართველოს ეკონომიკის აღორძინებას ვემსახურებით. ერთი სტრატეგია უნდა გვქონდეს და ერთნაირად ვვითარდებოდეთ, ერთმანეთის წარმატებაში ტრაგედიას კი არა, სასარგებლოს და სასიხარულოს ვპოულობდეთ. საქმისადმი მხოლოდ ასეთი მიდგომა მოგვცემს ეფექტს.

ჩვენ ასეთი ურთიერთობა გვაქვს, მაგალითად, საქართველოს რკინიგზასთან და ტერმინალებთან. შემიძლია ვთქვა, რომ რკინიგზისა და ნავსადგურის მუშაობა შეთანაწყობილია, ჩვენ ცალ-ცალკე ერთ ტონა ტვირთსაც ვერ გავატარებთ. მომავალში საბორნე გადასასვლელების და ტერმინალების საქმიანობა კიდევ უფრო გაფართოვდება და მეტად მომგებიანი იქნება ქვეყნისათვის. ნავსადგურის საქმიანობა ისეთია, აქ დაბანდებული 1 დოლარი რამდენიმე წელიწადში ათად იქცევა. ამდენად, ნავსადგურის პრივატიზაცია არ შეიძლება, უცხოელი ინვესტორი მაშინ უნდა მოიხმო, როცა წამგებიანი საწარმოა. ჩვენ ეს პრობლემა არა გვაქვს. ნავსადგური სახელმწიფოს საკუთრება უნდა იყოს. ჩვენ მუნიციპალური გაეხდით „მეწარმეობის შესახებ“ კანონის შესაბამისად, თუმცა, კერძო სტრუქტურებთან, ექსპედიტორებთან, აგენტებთან და სხვა კომპანიებთან ეფექტურად ვთანამშრომლობთ.

**— ნავსადგურის განვითარების პროგრამის განხორციელება გრძელდება, თუ თვლით, რომ თქვენი შესაძლებლობები ამოწურეთ?**

— ნავსადგურის განვითარების პირველი ათწლიანი პროგრამის მიხედვით ჩვენ უკვე 2006 წელში ვართ. შარშან ტვირთბრუნვა 85 პროცენტით გაიზარდა, ხოლო შემოსავლები ორჯერ. სახელმწიფოსგან არავითარ დოტაციას არ ვიღებთ. ასევე ინტენსიურად იზრდება ტვირთბრუნვა. წელს პირველ კვარტალში მოგებამ 32 პროცენტით გადააჭარბა შარშანდელ მაჩვენებელს, ასევე გაიზარდა ბიუჯეტში შენატანებიც.

ბათუმში ამჟამინდელი საზღვაო-სარკინიგზო საბორნე გადასასვლელის რეკონსტრუქცია მიმდინარეობს. აღნიშნული პროექტის რეალიზაციისათვის „ტრასეკამ“ ევროკავშირის ეგიდით გამოყო გრანტი 2200000 ევროს ოდენობით. უახლოეს ხანში ბათუმიდან ავღანეთში ჰუმანიტარული დახმარების ტვირთები გავა. ეს საკითხი ბაქოში გადაწყდა და ამ ტვირთებს ბათუმთან ერთად ფოთის ნავსადგურიც დაამუშავებს.

დღეს ჩვენი ძირითადი პრობლემა ტექნიკური გადაიარაღებაა. ამჟამად ნავსადგურს აქვს ნავთობის, სამგზავრო, სატვირთო ტერმინალები, საბორნე გადასასვლელი და მრავალდარგობრივი საკონტეინერო ტერმინალი. ნავთობტერმინალის მაქსიმალური ტვირთგამტარობა 15 მლნ ტონაა, სატვირთოსი – 2,5 მლნ ტონა, საბორნე გადასასვლელისა კი 4 მლნ ტონა. ახლადაშენებული საკონტეინერო ტერმინალი, სავარაუდოდ 6 მლნ ტონა ტვირთს გაატარებს. საერთოდ, მალე ნავსადგურის სრული ტვირთგამტარობა 27,5 მლნ ტონას მიაღწევს.

ბოლო წლებში საგრძნობლად გავაუმჯობესეთ სოციალური სფერო. ახლა ნავსადგურის მუშის საშუალო ხელფასი 300 ლარამდე აღწევს. თანდათან იზრდება სამუშაო ადგილების რაოდენობაც. 2001 წლის 1 იანვარს ნავსადგურის ძალებით დამთავრდა თანამედროვე არქიტექტურული ტიპის ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა, რომელიც 140 ბავშვს ემსახურება.

ალბათ, მართალია ბატონო ჯამბული, როცა ამბობს, რომ ნავსადგურების განვითარება საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტი უნდა გახდეს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბათუმისა და ფოთის ნავსადგურების გარდა მესამე – სოხუმის ნავსადგურიც გვაქვს. ცნობილ მიზეზთა გამო სოხუმის ნავსადგურის მუშაობაზე საუბარი ძნელია, მაგრამ თუ საქართველოს სახელმწიფო ძლიერ საზღვაო სისტემას შექმნის, ეს თავისთავად გამოიწვევს რკინიგზის, ავტომაგისტრალების, კომუნიკაციის მძლავრ განვითარებას. შესაბამისად, გაძლიერდება ქვეყნის ბიუჯეტი და სოხუმის ნავსადგური თავისთავად შეუერთდება ძლიერი ეკონომიკის ჯაჭვს.

ვფიქრობთ, ამ პერსპექტივის კონკრეტული გამოხატულება სწორედ ის სერტიფიკატია, რომელიც ახლახანს მიიღო ბათუმის ნავსადგურმა.

**ნინო ჩუტკერაშვილი.**


BVQI
Certificate of Approval
Awarded to
BATUMI SEA TRADING PORT LTD.
84, Gogebashvili str., Batumi, 384504,
GEORGIA
Bureau Veritas Quality International certify that the Quality Management System of the above supplier has been assessed and found to be in accordance with the requirements of the quality standards detailed below
QUALITY STANDARDS
BS EN ISO 9002:1994
SCOPE OF SUPPLY
PROVIDING OF SAFE OPERATION, BERTHING, MAINTENANCE OF SHIPS AND SAFE RELOADING OF CARGO.
Original approval date: 12 March, 2002
Subject to the continued satisfactory operation of the supplier's Quality Management System, this Certificate is valid until
15 December, 2003
Date: 14 March, 2002
Managing Office: Bureau Veritas Quality International 11-V, A.Gorodetskogo str., Kyiv, 01001, UKRAINE
UKAS QUALITY MANAGEMENT 008
For Bureau Veritas Quality International (Holding) S.A., 2nd Floor, Tower Bridge Court 224-226 Tower Bridge Road London SE1 2TX
Certificate №: 106498

პოზიცია

## უიმედო ექსპერიმენტად მიიჩნევს

**ქვეყნის მასშტაბით ენერგოსისტემაში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებების თაობაზე გავესაუბრეთ ზუგდიდის ელექტროგადაცემებისა და დისპეტჩერიზაციის გაერთიანებული დირექციის გენერალურ დირექტორს იური გუგუჩიას.**

მისი აზრით, ენერგოსისტემაში გაუთავებელი ექსპერიმენტები სასურველ შედეგებს ვერ იძლევა. პირიქით, უფრო უარესდება მოსახლეობის ელექტროენერგიით მომარაგება.

ცხადია, ენერგოკომპანიების გაუქმების შემდეგ ცენტრში – თბილისში დაჯდება უცხოური (ირლანდიური) კომპანია, რომელიც, რა თქმა უნდა, განახორციელებს მკაცრ საგადასახადო პოლიტიკას. ბუნებრივია, ეს გარკვეულწილად ექსცესებსაც გამოიწვევს. ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენი რეგიონი ეკონომიკურად ჯერ კიდევ არაა მზად უპასუხოს უცხოური კომპანიის ყველა მოთხოვნას.

ადრე მოქმედი სამხარეო ენერგოკომპანია, ასე თუ ისე, მორგებულად ახორციელებდა ენერგობაზრის პოლიტიკას. მისი გაუქმებით კი გაქრა საშუალედო რგოლი და მოისპო ადგილობრივი მართვის ბერკეტები. საბოლოოდ, მხარე დარჩა მაკოორდინირებელი სტრუქტურის გარეშე.

ასე რომ, ეს ექსპერიმენტი ჩვენს სისტემაში არსებულ პრობლემებს ვერ მოხსნის, ამბობს იური გუგუჩია.

**ოდიკ ქუხილავა,**
„სრ“ საკ. კორ.

მეტრო

## მშენებლობა უნდა გაგრძელდეს



**დღეს თბილისში მეტროპოლიტენის 22 სადგური მოქმედებს. ეს ხელისუფლების სისტემატური ყურადღების და ზრუნვის შედეგია. საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც პრეზიდენტის 1997 წლის № 606 ბრძანებულება, რომლის საფუძველზე 2000 წლის მარტში საბურთალოს ხაზზე ამოქმედდა სადგური „ვაჟა ფშაველა“. მაგრამ ამის შემდეგ, სახსრების უქონლობის გამო, მშენებლობა შეჩერდა. თუ საბურთალოს ხაზის აღნიშნულ მონაკვეთს მხედველობაში არ მივიღებთ, უკვე 10 წელიწადია, რაც თბილისის მეტრომშენებლობა, ფაქტობრივად, შეჩერებულია. გეგმები კი დიდი გვქონდა...**

საბურთალოს ხაზზე გაყვანილია 5,5 კილომეტრი საერთო სიგრძის გვირაბები. ამჟამად მიმდინარეობს მიწისქვეშა წყლის ამოტუმბვა (რათა იგი არ მოხვდეს მოქმედ მეტროპოლიტენში), სამთო გამონამუშევრების სისტემატური დათვალიერება და შეკეთება, გვირაბების განათება და განიავება, სამახტო დანადგარებისა და მოწყობილობების მოვლა-პატრონობა და სხვა. „რუსთაველი-ვაზისუბნის“ ხაზზე გამართულია 6 სამშენებლო მოედანი და 4 საშახტო კომპლექსი, გაყვანილია ოთხ კილომეტრამდე გვირაბები. ყველა ჩამოთვლილი ობიექტების მოვლა-პატრონობაზე ყოველწლიურად იხარჯება 2 მილიონამდე ლარი. ეს ფუჭი ხარჯებია.

გვესმის, რომ ახლა ქვეყანას არა აქვს ეკონომიკური შესაძლებლობა, რათა მშენებლობა ნორმალურად დაფინანსდეს, მაგრამ მთლად ასე მიტოვებაც გაუმართლებელია: ჯერ ერთი, დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულება საბურთალოს ხაზზე შეადგენს 120 მილიონ ლარს, ხოლო „რუსთაველი-ვაზისუბნის“ ხაზზე – 80 მილიონ ლარს. ეს გაყინული თანხებია. მეორე, რაც არანაკლებ საგანგაშოა, იშლება ასე დიდი ძალისხმევით შექმნილი მეტრომშენებელთა კოლექტივი, რომელსაც 2001 წელს არსებობის 50 წელი შეუსრულდა.

თავის დროზე თბილგვირაბმშენის კოლექტივი ერთ-ერთი მოწინავე იყო საქართველოსა და საკავშირო სამინისტროების ორგანიზაციათა შორის, ითვლიდა 6000 მუშა-მოსამსახურეს, მათ შორის 2500-მდე მაღალი კვალიფიკაციის ინჟინერი, გვირაბგამყვანი, მემონტაჟე, მებეტონე იყო. ახლა ეს სახელოვანი კოლექტივი, ფაქტობრივად, დაშლილია; ჩვენი მეტრომშენებლები მუშაობენ მოსკოვში, ეკატერინბურგსა და სოჭში. თბილისში შემოგვრჩა მხოლოდ 250-300 კაცი; მათი ნაწილი დასაქმებულია მეტროპოლიტენის დაუმთავრებელი ობიექტების მოვლა-პატრონობაზე, უმეტესი ნაწილი კი უფასო „შვებულებაშია“.

ჩვენი განგაშის მიზანი მეტრომშენებელთა პოტენციალის შენარჩუნებაა. თუ დღევანდელი ვითარება კიდევ გაგრძელდება, მალე ძველი ტრადიციებიდან აღარაფერი დარჩება და როცა დრო მოვა, ყველაფრის დაწყება თავიდან მოგვიხდება. ეს ბევრად უფრო ძვირი დაგვიჯდება. მართალია, ქალაქის მერია, პირადად ბატონი ვანო ზოდელავა ცდილობს საქმის გამოსწორებას, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ სასიკეთო არაფერი ჩანს.

დაგვრჩა იმის იმედი, რომ, მიუხედავად მოუცლელობისა, ქვეყნის პრეზიდენტი გამონახავს დროს და ერთხელ კიდევ განიხილავს შექმნილ მდგომარეობას, რათა „ყინული გალღვეს“ და მეტროს მშენებლობა გაგრძელდეს.

ვეტერანი მეტრომშენებლები: **ბუღუ ფაჩულია** – მთავარი სპეციალისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი; **ალექსანდრე დათაშვილი** – ბრიგადირი, შრომის გმირი; **აბესალომ ყურაშვილი** – ინჟინერ-მეტრომშენებელი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი; **რაულ სირაძე** – ინჟინერი, ღირსების ორდენის კავალერი; **დიმიტრი ხინჭარაძე** – მეტრომშენებელი, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი; **რომან ნადარაია, ვასილ პეტრიაშვილი** – გვირაბმშენებლები და სხვ. სულ 15 ხელმოწერა.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ერი და ბერი

# ბრწყინვალე აღდგომა იესო ქრისტესი



საერთოდ, საეკლესიო დღესასწაულების დადგენა ოდითგანვე სული წმიდისა და ადამიანთა ნების გაერთიანებით ხდებოდა. „ჯერ უჩნდს სულსა წმიდასა და მერმე ჩვენც“, – ასე იწყებდნენ საეკლესიო დოგმატებისა და კანონების წერას ჩვენი წმიდა მამები მსოფლიო საეკლესიო კრებებზე, რომელიც ქრისტიანთა არსებობის მანძილზე სულ შვიდჯერ გაიმართა. პირველივე კრებაზე მიიღეს დადგენილება, რომ ქრისტიანებს აღდგომის უდიდესი დღესასწაული ებრაელთა პასექის შემდეგ, ანუ გაზაფხულის ბუნიობის, მთვარის ავსების შემდგომ პირველ კვირა დღეს უნდა ეზეიმათ. სახარებაში ნათლადაა მითითებული, რომ ქრისტეს აღდგომა მართლაც ებრაელთა პასექის შემდეგ მოხდა.

ღმრთისათვის რომ სწორედ ეს დღეა სათნო და სწორედ ამ დღეს რომ უნდა აღინიშნოს აღდგომის დღესასწაული, ამის ნიშანს თვით უფალი გვაძლევს ციდან; მართლმადიდებლების აღდგომას მადლიანი ცეცხლი იერუსალიმში ქრისტეს საფლავზე გადმოდის. პირველად ეს სასწაული IV ს-ში მოხდა, როდესაც ელენე დედოფალმა იქ ტაძარი ააგო. იმ დროიდან მოყოლებული დღემდე, მართლმადიდებლური აღდგომის დღეს უფალი ამ ცეცხლის გადმოსვლით გვამცნობს, რომ იგი მუდამ ჩვენთანაა და რომ მთავარია ჩვენ ვიყოთ მასთან.

XVII ს-ში მონოფიზიტები კიდევ ერთხელ აღუდგნენ წინ ღვთის ნებას. მათ ძალის გამოყენებით მართლმადიდებელი პატრიარქი, რომელიც ღმრთის ნებით ყოველთვის პირველი იღებდა ამ ცეცხლს, ქრისტეს საფლავის გარეთ დატოვეს, მაგრამ ცეცხლმა კედელი გახეთქა და სანთლები მაინც მართლმადიდებელი პატრიარქის ხელში აინთო. ეს სასწაულებრივი ცეცხლი რამდენიმე წუთის განმავლობაში არ წვავს, პირიქით სნეულებებს კურნავს.

აღდგომის წინ ებრაელები თავიანთ პასექს დღესასწაულობენ, რაც გამოსვლას, განთავისუფლებას ნიშნავს. ისინი ამ დღეს მოსეს მიერ ებრაელთა ეგვიპტიდან გამოყვანას, ეგვიპტელთა მონობიდან განთავისუფლებას აღნიშნავენ.

აღდგომის დღეს ჩვენც ვდღესასწაულობთ მონობისაგან განთავისუფლებას, მაგრამ უკვე ცოდვის მონობისაგან. ამ დღესასწაულს თვით უფალი გვახარებს მადლიანი ცეცხლის გადმოსვლით. ამბობენ, მეორედ მოსვლის წინ ღმერთი აღარ გამოგზავნისო ამ მადლიან ცეცხლს, რაც ნიშანი იქნება იმისა, რომ ქვეყანას თვით უფალი მოევლინება განსასჯელად.

ყოველი ქრისტიანი ხარობს აღდგომის დღესასწაულით და უფალს კაცობრიობის გამოხსნისათვის ადიდებს, რაც მხოლოდ მისი სისხლის დათხევით გახდა შესაძლებელი. სააღდგომო წითელი კვერცხებიც იმის გამომხატველია, რომ დღემდიწა მასზე დამკვიდრებულ ადამიანთა გამოხსნისათვის მაცხოვრის სისხლით შეიღება.

რომ არა იესო ქრისტეს სიყვარულით გაღებული მსხვერპლი, სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა ჯოჯოხეთიდან იმ მართალი სულების ამოყვანა, რომლებიც ადამიდან ქრისტეს აღდგომამდე ჯოჯოხეთში მკვიდრობდნენ და მაცხოვრის გამოჩენას სასოებით მოელოდნენ. ჯვარცმის შემდეგ უფალი ჯოჯოხეთში ჩავიდა და მართალი სულები ამოიყვანა. ეს იყო მისი დამდაბლების უმაღლესი ხარისხი და იმავდროულად დასაწყისიც გამარჯვებისა და ზეიმისა. ქრისტეს აღდგომამ მაცდუნებელი ეშმაკი დასცა და იმდენად დააუძლურა, რომ მას უკვე ჩვენი შეპყრობა აღარ შეუძლია. თუკი წარწყმედას არ მოვისურვებთ და ბოროტ სულს ჩვენივე ნებით არ დავემორჩილებით, მაშინ ჩვენც შევიქმნებით ღირსი სასუფეველში დამკვიდრებისა.

იმ ცოდვებიდან, რომელთა გამოც ადამიანი ეშმაკის მორჩილი ხდება, პირველი მოუნათლაობაა, რაც სახარებაშივეა მითითებული, მეორე – ცოდვების მოუნანიებლობა და უზიარებლობაა, რის მკურნალიც მხოლოდ წმინდა ეკლესიაა, შემდეგ, ვინც მკითხაობს, ჯადოქრობს და გრძნეულებას მისდევს, ის ქრისტიანისაგან დამარხვის ღირსიც კი არ არის. ეშმაკის ნების მიყოლაა ისიც, როცა კაცი წირვა-ლოცვას არ ესწრება, კვირას და უქმე დღეებს არ იცავს, წმიდა მარხვებს არ ინახავს, კაცთმოძულეა, გარყვნილ ცხოვრებას ეწევა, შურიანი, ამპარტავნებით გალაღებული და შფოთის ამტეხი, მპარავი, მემთვრალე და ნარკომანია, ანდა ყველა ამ ბილწ საქმეს ფიქრით აღასრულებს. ყოველი ცოდვა ეშმაკისათვის სიხარულის მომნიჭებელია, ხოლო ჩვენთვის – წარწყმედა და დაუსრულებელი სატანჯველი, რომლის მხოლოდ წარმოსახვაც კი თავზარს გვცემს.

ცოდვათაგან თავდახსნის ერთადერთი საშუალება ქრისტეს მიერ დაარსებული მართლმადიდებლური ეკლესიაა, რომელსაც ვერ ერევიან „ბჭენი ჯოჯოხეთისანი“.

და არა ცხვრის ქურქში გახვეული მგლების – სხვადასხვა სექტის წარმომადგენელთა მიყოლა, რომლებიც ადამიანთა სულების წარსაწყმედად ყველაფერს კადრულობენ. ამიტომ უფალი ჩვენი იესო ქრისტე თავმდაბლად გვიკაკუნებს გულის კარზე და მოთმინებით გველოდება, როდის მოვისურვებთ საკუთარი თავის გადარჩენას, რადგან მართალნი განდიდდებიან, „გამობრწყინდებიან ვითარცა მზე, სასუფეველსა მამისა მათისასა“ (მათე 13, 43) და ეს იქნება ისეთი ნეტარება, რომელსაც ადამიანი ვერც კი წარმოიდგენს, თუმცა მაცხოვრის მსგავსად ზოგიერთი წმინდანი ჯერ კიდევ ამ ქვეყნიურ ცხოვრებაში გაბრწყინდებოდა ხოლმე. მაგალითად, ღირსი სერაფიმ საროველი.

უფალი იესო ქრისტეს ვნებანი, სიკვდილი, აღდგომა და ბოლოს ამაღლება ის მოვლენებია, რომლებშიც ბოლომდე გამოიხატა მისი ქვეყნიური ცხოვრებისა და მოწოდების აზრი. მათი მეშვეობით დასრულდა ადამიანთა ხსნა, უფალი ნებით ევნო და მოკვდა. მას, როგორც ღმერთსა და უცოდველს, შეეძლო თავის დაცვა და სიკვდილის დაუმორჩილებლობა, მაგრამ იტვირთა რა კაცობრიობის ცოდვები ნებით, ცოდვის მთელი საშინელება და საზიზღრობა ისე განიცადა, რომ არ ეგიარა. იყო რა უცოდველი. უფალმა ცოდვის ფიზიკური შედეგებიც იგემა: შეურაცხყოფა, ჯვარზე ტანჯვა და სიკვდილი. უსაზღვროა მაცხოვრის სიყვარული. მისი უდანაშაულობა ზრდიდა მის მიერ ნატვირთ კაცობრიობის ცოდვათა სიმძიმეს. გოლგოთის ტანჯვა აუტანელი იქნებოდა, უფლის ჯვარი სრულყოფილი ღმრთაებრივი სიყვარულის გამოვლინება რომ არ იყოს. ფიქრობს რა იმაზე, თუ რა ნეტარებისათვის და როგორი ტანჯვით გამოგვისყიდა ქრისტემ, ყოველმა ქრისტიანმა იცის, რომ ჯვარი სიყვარულის სიმბოლოა და რომ, სადაც ჯვარია, იქ არის სიყვარულიც. ჯვარში, როგორც მზეში ნათელი, თავმოყრილია ღმრთის მთელი სიყვარული ქვეყნიერებისა და ადამიანისადმი. ქრისტეში სიკვდილი ძლეულია სიკვდილით და ამაშია ჯვრის საიდუმლო: „ჰურიათა სამე საცთურ და წარმართთა სისულელე“ (1 კორ. 1, 23).

---

25 აპრილის მიწისძვრის გამოძახილი ჯერაც არ ჩამცხრალა და დღესაც დიდ მითქმა-მოთქმას იწვევს, უფალმა დაგვსაჯაო, ამბობენ ბევრნი.

როგორც თბილისის ზღვის ღვთისმშობლის შობის ეკლესიის წინამძღვარმა, დეკანოზმა ილია წერეთელმა გვითხრა, ეს ბუნებრივი მოვლენა არამც და არამც არ უნდა აღვიქვათ სასჯელად, მით უმეტეს, რომ ეკლესიის უმთავრესი დანიშნულება დასჯა კი არა, ნუგეშისცემაა.

ქვემოთ გთავაზობთ მამა ილიას მცირე კომენტარს.

# „გვევედრებით უფალო, დააყუდე საშინელი ძრუაი ქუეყანისა“

ეს სიტყვები ამოკრეფილია მართლმადიდებელი ეკლესიის დიდი „კურთხევანის“ წიგნიდან, რომელშიც მოთავსებულია ტექსტი: „კანონი საშინელსა მიხთუის ძრუისა“. ეს არის ლოცვების კრებული მიწისძვრის შემთხვევისათვის.

დედაეკლესია განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენს მორწმუნეთა დასაცავად გარეშე ბოროტი ზემოქმედებისაგან, ბუნების მრისხანე ძალებისაგან.

საღმრთო ლიტურგიაზე მარადჟამს გვესმის ვედრება: „რათა დაიცვა ქალაქი ესე და წმინდა ტაძარი ესე, და ყოველნი ქალაქნი და სოფელნი, სიყმილისაგან, სრვისა, ძრვისა, დანთქმისა, ცეცხლისა, მახვილისა, უცხო თესლთა ზედა მოსვლისაგან მბრძოლისა, და სიკუდიდ შემოსილისა წყლულებისა...“

25 აპრილის მიწისძვრამ შეაშფოთა მთელი ქვეყანა, ჩამოინგრა მრავალი შენობა, არის ადამიანთა მსხვერპლი, საზოგადოება პანიკამ მოიცვა და ითხოვს ნუგეშს, სულიერ მფარველობას, მეოხებას. იმავე საღამოს მთელი ქალაქი გარეთ გამოეფინა, დიდი ნაწილი ეკლესიისაკენ გაემართა. ღმრთის იმედი არ დაუკარგავს ქართველ კაცს; განსაკუთრებით დღეს, როდესაც სარწმუნოების აღორძინება იქცა ჭეშმარიტ რეალობად, ცხოვრების წესად, დიდ მნიშვნელობას იძენს ეკლესიის მსახურთა მოღვაწეობა. მრავალი ტრაგედია უნახავს ჩვენს ჭაღარა დედაქალაქს. ადამიანი კატასტროფას უწოდებს გარემომცველი ბუნებრივი პირობების ექსტრემალურ ცვლილებებს, რომელიც საშიშროების წინაშე აყენებს მის სიცოცხლეს და საქმიანობას. კავკასია სეისმურად აქტიურ რეგიონს წარმოადგენს და მის ტერიტორიაზე მიწისძვრა ხშირად წარმოიშობა. საქართველოს მიწისძვრების კატალოგში დაფიქსირებულია უკანასკნელი პერიოდის ძლიერი სეისმური მოვლენები თბილისში – 1682 წელს, 1804 წელს, 1920 წელს; გუნდური რყევები 1969-70 წლებში. მხოლოდ ასეთი სიმძლავრის კატასტროფა თბილისში არ ყოფილა.

მიწისძვრამ ტაძრებიც არ დაინდო. ბზარები გაუჩნდა ქაშუეთის, დიდუბის და ზოგიერთი სხვა ეკლესიების გუმბათებს. დაზიანდა, აგრეთვე, კედლის მხატვრობა და ხატები. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, როდესაც ეს შეიტყო, აღნიშნა, რომ შესაძლებელი იყო, მიწისძვრას უფრო დიდი ზარალი და მსხვერპლი მოჰყოლოდა. ამჯერად ხატებმა და ფრესკებმა იტვირთეს ერის მზრუნველობა და გადაარჩინეს ჩვენი ქვეყანა უფრო მკაცრი განსასჯელისაგან. მართლმადიდებელი ხატების ღვთაებრივი მადლმოსილება არაერთხელ გამოვლინდა ჩვენი ტრაგიკული ისტორიის ქარტეხილებში.

ლოცვებში ვკითხულობთ: „ჩვენ ყოველთა შევსცოდეთ და ქვეყანა შიშით ღმრთისითა დაეყუდნა, რომელ ირყეოდეს, ამისთვის კაცთმოყვარე გვასწავებს ჩუენ შეძვრითა მით; რათა ჩუენ მოვიდეთ სინანულად და უზრუნვიდეთ ჩუენისა ცხოვრებისათვის“. რამდენადაც პარადოქსულად უნდა ჟღერდეს, განსაცდელი, საერთო გაჭირვება, უბედურება, კონტინენტური მეშფოთებანი ერთგვარად აფხიზლებს, მოუწოდებს ადამიანს წონასწორობისაკენ, განამტკიცებს მასში შინაგან სულიერ და ფიზიკურ ენერგეტიკულ შესაძლებლობებს.

სად არის ნუგეში, მხნეობა, სასოება, მშვიდობა, მყუდროება, სიტკბოება?

მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე ბრძანებს „მე ვარ კარი, მე ვარ ჭეშმარიტება, მე ვარ ცხოვრება“. ქრისტიანული სარწმუნოება გვასწავლის ჭეშმარიტ გზას ჩვენი ინდივიდუალური სულიერი მისიის აღსრულებისათვის და გვანიჭებს იმედს მარადიული სასუფევლის მოსაპოვებლად. „მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა“ მფარველი გვაზიარებს ზნეობრივ სიდიადეს. „მოვლინებული ვარ გარნა ცხოვართა მათ წარწყმედულთა“, დაბრკოლებულთა, სასოწარკვეთილთა, შეშფოთებულთა და ყოველთა გაჭირვებულთა. ქრისტე ჯვარს ეცვა ჩვენთვის და ჩვენი ცხოვრებისათვის.

„არა უხმს ცოცხალთა მკურნალი, არამედ სნეულთა, ...წყალობა მნებავს და არა მსხვერპლი, რამეთუ არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა სინანულად“.

რაოდენ ამაღელვებელი, შთამაგონებელი, იმედის აღმძვრელი სიტყვებია! ეკლესიაში მოსული ადამიანი შველას ითხოვს, დახმარებას, სითბოს, ტკბილ სიტყვას, ღიმილს. მან შესანიშნავად იცის თავისი ცოდვები, ვნებანი, სისუსტეები და მავნე მიდრეკილებანი.

დიდი წინასწარმეტყველი მეფე დავითი ბრძანებს, „შემწყნარებელ და მოწყალე არს უფალი, სულგრძელ და დიდად მოწყალე... არა ცოდვათა ჩვენთაებრ მიყო ჩუენ, არცა უშჯულოებათა ჩვენთაებრ მომაგო ჩუენ... ვითარცა სწყალობს მამაი შვილთა, შეიწყალნა უფალმან მოშიშნი მისნი“.

დიდი ქრისტიანი მამები უზენაესი გულისხმიერებით იზიარებდნენ თანამოძმეთა ხვედრს, სიდუხჭირეს, გვაძლევენ მოყვასის მსახურების და ერთგულების უბრწყინვალეს ნიმუშებს. თანდათან სულ უფრო იზრდება სასულიერო მოღვაწეობის პასუხისმგებლობა. მოძლვარი სამოქალაქო საზოგადოების საპატიო ადგილს იკავებს.

მორწმუნე ადამიანი ეკლესიაში ეძებს მეგობარს, თანამოაზრეს, თანამზრახველს, თავისიანს, ურთიერთობას. ერთობით უფრო მარტივდება ჭირთა თმენა.

„უფალო გუიხსენ ჩუენცა მარადის საშინელისაგან ძრუისა“, ამინ.

## საფლავზე გამსვლელთა საყურადღებოდ

რედაქციაში გვირეკავენ მოქალაქენი და გვეკითხებიან, მართალია, თუ არა, რომ აღდგომის მეორე დღეს, 6 მაისს, გიორგობა დღეს, საფლავზე გასვლა არ შეიძლებაო.

ჩვენ დავინტერესდით და გავიგეთ, რომ მიცვალებულთა საზოგადო მოხსენიება გადატანილია ბრწყინვალე შვიდეულის მომდევნო კვირის სამშაბათ დღეს, ანუ 14 მაისს.

ისე კი, მიცვალებულის საფლავზე გასვლა ქრისტიანს არასდროს ეკრძალება...

## განცხადება

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში საქართველოს კანონით „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“ გათვალისწინებული გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად შპს „ბრიქ-იარდ კომპანი“-ს მიერ წარმოდგენილია II კატეგორიის საქმიანობაზე „სამგორისა და ნორიოს სააგურე თიხების გამოვლინების დამუშავებისა და აგურის დამამზადებელი საწარმო“-ს პროექტი.

საპროექტო დოკუმენტაციების გაცნობა და წერილობითი შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარმოდგენა შესაძლებელია 2002 წ. 18 ივნისამდე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს პრესცენტრში თბილისი, კოსტავას №68 ა VI სართული და გარემოსდაცვითი ნებართვისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტში თბილისი, ფალიაშვილის №87 ტ. 25-01-19.

საჯარო განხილვა შედგება 2002 წლის 18 ივნისს 12.00 საათზე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საკონფერენციო დარბაზში.

გარემოსდაცვითი ნებართვისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტი.

---

● არიელ შარონი გარანტიებს არ იძლევა.
● ფართომასშტაბიანი ოპერაცია „სნაიპერული ცეცხლი“ ავღანეთში.
● „ირმის ნახტომიდან“ – უსასრულობაში.



# არაფატი იზოლაციიდან გამოდის



**იასირ არაფატმა ტრიუმფით დატოვა თავისი კომპლექსი და გამოვიდა ბლოკადიდან, რომელიც ერთ თვეს გრძელდებოდა ქალაქ რამალაჰის კომპლექსში, მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირზე.**

უამრავი ხალხი მიესალმებოდა პალესტინელთა ავტონომიის თავმჯდომარეს, რომელიც ლიმუზინით გავიდა ქალაქის დასათვალიერებლად.

ტანკებმა რამალაჰი ღამით დატოვეს მას შემდეგ, რაც მიაღწიეს მორიგებას და ექვსი მოთარეშე, რომელთა თავსაც მოითხოვდა ისრაელი, არაფატის შტაბბინიდან გადაიყვანეს იერიქონის საპყრობილეში, სადაც ისინი ბრიტანელი და ამერიკელი მცველების ზედამხედველობის ქვეშ იქნებიან.

### პირობა შესრულებულია

**ამ პირობის შესრულებამდე ისრაელი უარს ამბობდა, დაეტოვებინა არაფატის კომპლექსი. ჩიხიდან გამოსავალი იპოვეს რამდენიმე დღის წინ, როდესაც მხარეები მორიგდნენ მოთარეშეთა ციხეში გადაყვანის თაობაზე.**

თვითმხილველთა თქმით, ბორკილგაყრილი ტუსაღები პალესტინელთა ლიდერის შტაბბინიდან გამოიყვანეს და ჩასხეს, თითოეული ცალ-ცალკე, ისრაელის პოლიციის დაჯავშნულ ავტომობილებში.

ამ ექვსთაგან ოთხნი პალესტინის დროებითმა სასამართლომ ბრალეულად ცნო ისრაელის ტურიზმის მინისტრის რევაჰამ ზეევის მკვლელობაში და მიუსაჯა ხანგრძლივი ვადის პატიმრობა. დანარჩენი ორნი არიან ახმედ საადათი, იმ გასამხედროებული დაჯგუფების ლიდერი, თავდასხმა რომ განახორციელა, და თუად შობაკი, რომელიც, ისრაელთა თქმით, პალესტინელთა ტერიტორიებზე იარაღის კონტრაბანდული შეტანის მცდელობაში მონაწილეობდა.

საჯარისო ქვედანაყოფების გაყვანის შემდეგ, არაფატის კომპლექსის ტერიტორიის მეტი ნაწილი ნაცარტუტად არის ქცეული. ნანგრევებს შორის, რომლებსაც ისრაელი ჯარისკაცები სულ ცოტა ხნის წინ პალესტინელთა ცეცხლის საფარად იყენებდნენ, დატოვებულია ათობით დამსხვრეული ავტომობილი.

### ტკბილი თავისუფლება

**გამოვიდა თუ არა თავისი შტაბბინიდან, პალესტინელთა ლიდერმა საჯაროდ გამოაცხადა, რომ ისრაელი ჯარისკაცები არიან „ტერორისტები, ნაცისტები და რასისტები“.**

ამის შემდეგ არაფატმა შეიარა ადგილობრივ საავადმყოფოში, სადაც ახლომდებარე საფლავებთან შეკრებილ მლოცველებს მიმართა და უთხრა, რომ ისრაელთა შემოსევის დროს უამრავი ხალხი დაიხოცა. ამ დროს, გზის გაღმა შეკრებილი ბავშვები ერთხმად გაიძახოდნენ: „ჩვენ თავს გავწირავთ შენი გულისათვის, იასირ!“

როგორც ბი-ბი-სის რამალაჰელი კორესპონდენტი პიტერ ბაილსი იუწყება, არაფატი აშკარად ტკბებოდა თავისუფლების პირველი დღით, რომელიც ფაქტობრივად დაკარგული ჰქონდა გასული წლის დეკემბრიდან. პალესტინელთა ლიდერის სრული ბლოკადა ისრაელებმა დააწესეს 29 მარტს, როდესაც ჯარისკაცებმა თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარეს მისი რამალაჰის კომპლექსის მეტი ნაწილი.

ქალაქში ხანმოკლე გასეირნების შემდეგ, არაფატი კვლავ დაბრუნდა თავის შტაბბინაში.

### კონფრონტაცია ტაძართან

**აქამდე, ამერიკის ტელევიზიით გამოსვლისას, იასირ არაფატმა მოუწოდა მთელ მსოფლიოს, ხელი შეუწყოს ბეთლემის ქრისტეშობის ტაძარში კონფრონტაციის დამთავრებას.**

ღამით ამ ქრისტიანულ სალოცავთან მოხდა გააფთრებული შეტაკებანი; ისმოდა სროლისა და აფეთქების ხმა, მერე კი ტაძრის კომპლექსის სიღრმეში ხანძარი გაჩნდა, რომლის დაწყებასაც მოშუღლე მხარეები ერთმანეთს აბრალებენ.

ტაძარს უკვე თვეზე მეტია, თავს აფარებს 200-ზე მეტი კაცი, მათ შორის 30-მდე შეიარაღებული პალესტინელი, რომელთა თავსაც მოითხოვს ისრაელი.

„ის, რაც ხდება, დანაშაულია, დიდი დანაშაული“, – განაცხადა არაფატმა.

### არავითარი გარანტია!

**ისრაელის პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა უარი თქვა, მისცეს არაფატს გარანტია, რომ კვლავ ექნება დასავლეთ ნაპირზე დაბრუნების შესაძლებლობა იმ შემთხვევაში, თუ ტერიტორიიდან გავა.**

„ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, არ შემოვუშვათ იგი უკან, – განუცხადა შარონმა ამერიკის ტელევიზიას – ჩვენ არ ვიძლევით არავითარ გარანტიას, ვინაიდან წინათ, ჩვეულებრივ, ასე იყო: არაფატი მიდიოდა და ეს ხდებოდა ტერორის ახალი ტალღის აზვირთების ნიშანი“.

ამასობაში კი, როგორც ბი-ბი-სისადმი ინტერვიუში განაცხადა პალესტინელთა გასამხედროებული ჰამას დაჯგუფების ერთ-ერთმა ლიდერმა აბდელ აზიზ ალ-რანტისიმ, მის ორგანიზაციას განზრახული აქვს, სულ ცოტა ხანში განაახლოს მოქმედება ისრაელთა წინააღმდეგ. „წინააღმდეგობა კვლავინდებურად ძლიერია“, – ხაზი გაუსვა მან.

ისრაელის არმია განაგრძობს ოპერაციას დასავლეთ ნაპირზე: ქალაქ ტულკარმსა და ლტოლვილთა ერთ-ერთ ბანაკში დაპატიმრებულია ასზე მეტი პალესტინელი.



# ჩუბინები თალიბებზე ნადირობენ



**ავღანეთში დაიწყო „ალ-ყაიდასა“ და თალიბანის ბანდფორმირებათა ნაშთების ლიკვიდაციის ფართომასშტაბიანი ოპერაცია. იგი მიმდინარეობს ქვეყნის აღმოსავლეთში – მაზაის მთაგორიან რაიონში (ფაქტიას პროვინცია). ოპერაციის კოდური სახელწოდებაა „სნაიპერული ცეცხლი“. როგორც ბრიტანეთის ჯარების სარდალმა, ბრიგადის გენერალმა როჯერ ლეინმა განაცხადა, მასში მონაწილეობს მოკავშირეთა ათასამდე სამხედრო მოსამსახურე.**

ოპერაციის მიზანია, შეიპყრონ და გაანადგურონ მთაში გახიზნული მოთარეშენი, აგრეთვე უვნებელყონ „ალ-ყაიდას“ საბრძოლო ინფრასტრუქტურა. ადგილობრივ მცხოვრებთა თქმით, სწორედ ამ რაიონს შეაფარეს თავი „ალ-ყაიდას“ და თალიბანის მოთარეშეებმა, რომლებმაც თავი დააღწიეს ალყას მეორე დიდი ოპერაციის – „ანაკონდას“ დროს. ადრე გაზაფხულზე მოდიოდა აგრეთვე ცნობები, რომ ამ რაიონში უნახავთ თვით ბენ ლადენი და მისი მარჯვენა ხელი ეგვიპტელი ალ ზავაჰირი.

საბრძოლო მოქმედების ზონა მდებარეობს ძნელად მისადგომ მთაგორიან ადგილას, რომელიც პრაქტიკულად არა აქვს შესწავლილი მოკავშირეთა ძალებს. არადა, სწორედ აქ უნდა იყოს „ალ-ყაიდას“ საკვანძო ბუნკერები. ჯერ ერთი, ამ რაიონში ცხოვრობენ ზაგარანის – იმ ტომის წარმომადგენლები, რომელსაც ეკუთვნის თალიბანის მოძრაობის ერთ-ერთი ყოფილი მხედართუფროსი ჯალალუდინ ხაკანი. მეორე, ამ არემარის გამოკვლევამ, რომელიც ბრიტანელმა სპეცრაზმელებმა აპრილის შუა რიცხვებში მოაწყვეს, ყველა მოლოდინს გადააჭარბა. მზვერავებმა აღმოაჩინეს ცარიელი ბუნ-



კერი და მღვიმე-კომპლექსი, სადაც იპოვეს რადიოსადგურები, რუკები და სხვა ფრიად საინტერესო საბუთები. თვით მოწინააღმდეგე ბრიტანელებს არ უნახავთ. მაგრამ, მოკავშირეთა შტაბში ვარაუდობენ, მტერი, ალბათ, სადღაც შორიახლოს იმალება.

მაზაის რაიონში გამართული დიდი ბრძოლების შესახებ ჯერჯერობით არაფერს იუწყებიან. მაგრამ უშუალო მოწინააღმდეგესთან პირველი საცეცხლე კონტაქტი უკვე შედგა.

ავსტრალიელი სპეცრაზმელების ჯგუფი, რომელიც ტერორისტთა სამთო ბაზებსა და საწყობებს ეძებდა, გადააწყდა მოთარეშეებს. სროლის დროს ავსტრალიელმა სამხედრო მოსამსახურეებმა მოკლეს ორი მოჯაჰედი. ეს ინციდენტი საბაბი გახდა სერიოზული სპეცოპერაციის დაწყებისა. ჯერჯერობით დეტალები უცნობია, არის მხოლოდ ინფორმაცია, რომ სპეცდანიშნულების რაზმის საჰაერო მხარდაჭერას ახორციელებენ ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავები.

რაც შეეხება ოპერაცია „სნაიპერული ცეცხლის“ ვადებს, ანტიტერორისტული კოალიციის ძალების შტაბმა უარი თქვა, დაეზუსტებინა მისი დასრულების თუნდაც მიახლოებითი დრო. გენერალ ლეინის თქმით, ოპერაცია შეჩერდება მას შემდეგ, რაც მთლიანად გამოიკვლევენ იმ დიდსა და რთულ მთაგორიან რაიონს, რომელსაც სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება „ალ-ყაიდასათვის“. არემარის საგულდაგულო გაჩხრეკის შემდეგ, იგი გადაიცემა ავღანეთის გარდამავალი მთავრობისადმი ლოიალური ძალების კონტროლქვეშ. ამას ორი-სამი კვირა დასჭირდება. ხოლო თუ მთაში თალიბების მრავალრიცხოვან ფორმირებებს წააწყდებიან, ოპერაცია შეიძლება, კიდევ ერთ თვეს ან უფრო მეტ ხანს გაჭიანურდეს.



# კოსმოსი, რომელიც არ გვენახა

**ასტრონომებმა კოსმოსის ახალი შესანიშნავი ფოტოსურათები მოიპოვეს. ისინი გადაღებულია „ჰაბლ“ ტელესკოპის სრულყოფილი კამერის მეშვეობით.**

„კამერამ ფართოდ გაგვიღო სარკმელი სამყაროში, – ამბობს ჰოპკინსის უნივერსიტეტის თანამშრომელი, ასტრონომი ჰოლანდ ფორდი, ახალი ხელსაწყოს მთავარი სპეციალისტი, – ეს არის ერთ-ერთი ყველაზე ხარისხოვანი სურათები, რომლებიც ოდესმე გადაუღია კაცობრიობას კოსმოსის შორეული არეებისათვის“.

მკვლევარები აღნიშ-



ნავენ, რომ მოდერნიზაციის შემდეგ „ჰაბლი“ შესანიშნავად მუშაობს. ისინი იმედოვნებენ, რომ მაღალხარისხოვან სურათებს გადაიღებენ ტელესკოპზე დაყენებული სხვა კამერებითაც. მაგრამ ჯერჯერობით მთელი ყურადღება მიპყრობილია ძირითადი კამერით გადაღებული სურათებისადმი. „ეს აღემატება ჩვენს მოლოდინს, – თქვა დოქტორმა ლეკრონმა, „ჰაბლ“ პროექტის თანამშრომელმა, – პრობლემა ის არის, რომ ძნელია, მათი სიდიადე სრულად უჩვენო მაყურებელს ტელევიზიის მეშვეობით ან მკითხველებს ჟურნალ-გაზეთების ილუსტრაციებით“.

* * *

ერთ-ერთ ფოტოსურათზე აღბეჭდილია ჩვენგან 420 მილიონ სინათლის წელიწად მანძილზე მდებარე თავკომბალას გალაქტიკის უჩვეულო გამოსახულება. ეს გალაქტიკა, რომელსაც უგრძესი ვარსკვლავების შლეიფი მოსდევს, წარმოადგენს ჩვენი დინამიკური და მარად მოძრავი სამყაროს თვით არსის ილუსტრაციას.

თანაც, მეცნიერთა გასაოცრად, კადრში მოხვდა თავკომბალას იქეთ მდებარე უამრავი გალაქტიკა – ორჯერ მეტი, ვიდრე „ჰაბლის“ მიერ 1995 წელს გადაღებულ განთქმულ სურათზე მოჩანს.

* * *

სხვა სურათებს შორის არის თავგებად წოდებული ორი სპირალისებრი გალაქტიკის შეჯახება. შესაძლოა, სწორედ ასეთი ბედი მოელის ჩვენს ირმის ნახტომს, როდესაც რამდენიმე მილიარდი წლის შემდეგ შეენარცხება მეზობელ გალაქტიკას ანდრომედას თანავარსკვლავედში.

მიღებულ იქნა, აგრეთვე, გედის ნისლეულისა და M17 კონუსური ნისლეულის ფოტოსურათები, რომლებიც, მეცნიერთა თქმით, „მანათობელი ცისარტყელას ფერებისა და აირის მოციმციმე ღრუბლების ფანტასტიკურ სამყაროს წარმოადგენენ“.



უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა
**არჩილ მანჯგალაძემ.**

---

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამართალი

# საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში

2002 წლის 18 აპრილს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ ბესარიონ ზოიძის (თავმჯდომარე, მომხსენებელი მოსამართლე), ავთანდილ აბაშიძის, იაკობ ფუტკარაძისა და ნიკოლოზ შაშკინის შემადგენლობით (სხდომის მდივანი – დარეჯან ჩალიგავა), –

ღია სასამართლო სხდომაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ მოსარჩელეები: (1) 126-ე ნომრით რეგისტრირებულ კონსტიტუციურ სარჩელზე – ბაჭუა გაჩეჩილაძე, სიმონ თურეანდიშვილი, შოთა ბუაძე, სოლომონ სანადირაძე, (2) 129-ე ნომრით რეგისტრირებულ კონსტიტუციურ სარჩელზე – ნინელი ანდრიაძე, გურამ დემეტრაშვილი, შოთა პაპიაშვილი, (3) 158-ე ნომრით რეგისტრირებულ კონსტიტუციურ სარჩელზე – გივი დონაძე, მოპასუხე მხარის – საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელი ლილი ბეგიაშვილი, მოწმეები – საქართველოს ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე ბორის ყურაშვილი, სააქციო საზოგადოება „საქართველოს ელექტროკავშირის" წარმომადგენელი უჩა სეთური, კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრის წარმომადგენელი გრიგოლ გიორგაძე, სააქციო საზოგადოება „თბილგაზის" წარმომადგენლები სალომე დათუნაშვილი, ეკა ჯანჯღავა და მაკა ქაჯაია, სააქციო საზოგადოება „ეი-ი-ეს თელასის" წარმომადგენელი ხათუნა ძნელაძე,

გამოიტანა გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქეები – (1) ბაჭუა გაჩეჩილაძე, სიმონ თურეანდიშვილი, შოთა [illegible]

შეტანილი ცვლილებებისა და (ბ) ამავე კანონის VIII თავით „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს 1996 წლის 27 დეკემბრის კანონში მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის მე-2 წინადადების სახით შეტანილი ცვლილებების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლთან მიმართებით.

საქართველოს მოქალაქეთა კონსტიტუციური სარჩელები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში შემოტანილია (1) 2000 წლის 2 თებერვალს (რეგისტრაციის № 126), (2) იმავე წლის 15 მარტს (რეგისტრაციის № 129) და (3) 2001 წლის 24 აპრილის (რეგისტრაციის № 158).

კონსტიტუციური სარჩელები შემოტანილია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტისა და 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-2 პუნქტის, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის, მე-15 და მე-16 მუხლების საფუძველზე.

126-ე ნომრით რეგისტრირებულ კონსტიტუციურ სარჩელში მოსარჩელეები არიან ომის, სამხედრო ძალებისა და პოლიციის ვეტერანები. ისინი აღნიშნავენ, რომ „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" 1995 წლის 17 ოქტომბერს მიღებული კანონითა და „პოლიციის შესახებ" 1993 წლის 27 ივლისის კანონით მათ სახელმწიფოს მხრიდან დაუწესდათ რიგი სოციალური შეღავათები და უპირატესობანი. მათი აზრით, „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" კანონით განისაზღვრა სახელმწიფოს პოლიტიკა ვეტერანების მიმართ, რაც იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფო ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტიდან ვეტერანების სოციალური გარანტიების უზრუნველყოფისათვის გამოყოფს სახსრებს. ასევე, „პოლიციის შესახებ" კანონის 31-ე მუხლი გადმოსცემს რა პოლიციის თანამშრომლის სოციალური დაცვის ჩამონათვალს, მიუთითებს, რომ პოლიციის თანამშრომლის სოციალურ დაცვას უზრუნველყოფს სახელმწიფო. „საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" საქართველოს 1999 წლის 24 დეკემბრის კანონით აღნიშნულ ნორმატიულ აქტებში შეივიდა ცვლილებები, რითაც მოსარჩელეთა აზრით, შეილახა მათთვის ადრე მინიჭებული სოციალური უფლებები. კანონის ახალმა რედაქციამ გააუარესა ვეტერანთა მდგომარეობა, რაც განსაკუთრებით იმით გამოიხატა, რომ ელექტროენერგიით უფასო (და ფასდაკლებით) სარგებლობის უფლება გაუქმდა და დაწესდა ლიმიტები. მათი აზრით, ელექტროენერგიაზე ლიმიტების დაწესება გაუმართლებელია, ვინაიდანაც სახელმწიფომ თავის თავზე აიღო ვეტერანების სოციალური დაცვის მოვალეობანი. ასეთი დამოკიდებულებით ირღვევა „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნა, რომლის ძალითაც „დაუშვებელია ადრე მოქმედი შეღავათების, უპირატესობების, უფლებების, დახმარებების გაუქმება ან გაუარესება, თუ არ იქნა მიღებული სხვა ტოლფასი აქტები". მოსარჩელეთა მტკიცებით, მათ არანაირი საშუალება არ გააჩნიათ გადაიხადონ გახარჯული ელექტროენერგიის ღირებულება. ამიტომაც, 1999 წლის 24 დეკემბერს მომხდარი საკანონმდებლო ცვლილებებით შეილახა მათი სოციალური უფლებები და ამით დაირღვა საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელეები მოითხოვდნენ „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" საქართველოს 1995 წლის 17 ოქტომბრის კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ი" ქვეპუნქტში, მე-15 მუხლის „ი" ქვეპუნქტში, მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტსა და მე-17 მუხლის „ი" ქვეპუნქტის პირველ აბზაცში და ამავე მუხლის „გ" ქვეპუნქტში, ასევე „პოლიციის შესახებ" საქართველოს 1993 წლის 27 ივლისის კანონის 31-ე მუხლის მე-8 პუნქტში შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების არაკონსტიტუციურად ცნობას საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლთან მიმართებით.

საქმის განხილვის პროცესში მოსარჩელეებმა დააზუსტეს სასარჩელო მოთხოვნის საგანი და აღნიშნეს, რომ მათ აღარა აქვთ პრეტენზია „პოლიციის შესახებ" კანონის აღნიშნული ნორმის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით. საბოლოოდ, სასამართლოსაგან მათ მოითხოვეს „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" კანონში მხოლოდ იმ საკანონმდებლო ცვლილებების არაკონსტიტუციურად ცნობა, რომელიც შეეხება ელექტროენერგიით სარგებლობას.

129-ე ნომრით რეგისტრირებულ კონსტიტუციურ სარჩელში მოსარჩელეებია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების წევრები. საქართველოს 1996 წლის 27 დეკემბრის კანონით „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალი- [illegible]

ვერ მუშაობს. დასახელებული კანონით ცვლილება შეეხო ელექტროენერგიით უფასო მომსახურებას და იგი შეიცვალა ლიმიტირებული მომსახურებით. მოსარჩელეთა თქმით, ამით გაუარესდა მათი მდგომარეობა და, აქედან გამომდინარე, ისინი ითხოვენ ამ ცვლილების არაკონსტიტუციურად ცნობას საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლთან მიმართებით.

158-ე ნომრით რეგისტრირებულ კონსტიტუციურ სარჩელში მოსარჩელეთა ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი გივი დონაძე. იგი აღნიშნავს, რომ 1999 წლის 24 დეკემბრის კანონით, ცვლილებები შეივიდა „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა შესახებ" 1995 წლის 17 ოქტომბრის კანონის მე-14, მე-15, მე-16 და მე-17 მუხლებში, რითაც დაირღვა საქართველოში ომის ინვალიდების, მისი უშუალო მონაწილეების საყოველთაოდ აღიარებული უფლებები და თავისუფლებანი. ასეთი საკანონმდებლო ცვლილებებით, ასევე დაირღვა „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნა, რითაც აკრძალულია შეღავათების, უპირატესობების, უფლებების, დახმარებების გაუქმება ან გაუარესება. მოსარჩელის დაზუსტებული მოთხოვნით, სადავო აქტის იმ ნორმების კონსტიტუციურობა უნდა შემოწმდეს საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლთან მიმართებით, რომლებიც შეეხება ელექტროენერგიით მომსახურებაში მომხდარ ცვლილებებს, ისევე, როგორც ამას ითხოვენ 126-ე ნომრით რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელის ავტორები.

მოპასუხე მხარის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოსარჩელეთა მიერ სადავოდ გამხდარი ნორმები მას შემდეგ იქნა მიღებული, რაც საქართველოს პრეზიდენტმა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მკაცრი ეკონომიისა და ელექტროენერგიის მომჭირნეობითი ხარჯვის აუცილებლობიდან გამომდინარე, საკანონმდებლო ინიციატივით მოითხოვა აღნიშნული ცვლილებების განხორციელება. ეს მოთხოვნა წარმოადგენდა აღმასრულებელი ხელისუფლების კატეგორიულ და დეტალურად დასაბუთებულ მოთხოვნას. რამდენადაც სახელმწიფო ამ დროისათვის უკვე აღარ ახორციელებდა კონსტიტუციურ სარჩელებში დასახელებულ მომსახურებას და ის მთლიანად კერძო სამართლის იურიდიული პირების ხელში იყო გადასული, ბუნებრივია, ამოქმედდა კანონში არსებული დათქმა და სახელმწიფომ ველარ იკისრა მოხმარებული ელექტროენერგიის მთელი საფასურის სრულად დაფარვის ვალდებულება. შემჭიდროებული საბიუჯეტო სახსრების პირობებში დაწესდა ელექტროენერგიის უფასოდ მოხმარების განსაზღვრული ლიმიტები. რაც შეეხება გაზითა და ტელეფონით მომსახურებას, ამ მხრივ სადავო ნორმატიულ აქტებში 1999 წლის 24 დეკემბრის კანონის საფუძველზე რაიმე ცვლილებები არ მომხდარა. სახელმწიფო იმდენად უზრუნველყოფს ვეტერანებს სოციალური უფლებებით, რამდენადაც ეს სახელმწიფო ბიუჯეტის არსებული პარამეტრების ფარგლებშია შესაძლებელი. საამისოდ მოპასუხის წარმომადგენელმა დაიმოწმა „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის" მე-2 მუხლი. ასევე მან აღნიშნა, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტიდან გამომდინარე, ცალსახად, მხოლოდ სადავო საკანონმდებლო აქტების გაუქმება არ წარმოადგენს სრულყოფილ საშუალებას ადრე არსებული შეღავათების ავტომატურად აღდგენისათვის. საბოლოოდ მოპასუხის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა მოსარჩელეების ძველი შეღავათების აღდგენაში.

მოწმე ბორის ყურაშვილმა სასამართლოს განუმარტა, რომ თუ თავიდან, 1995-1997 წლებში ვეტერანთა მდგომარეობა კარგი იყო, შემდგომ უარესობისაკენ წავიდა საქმე. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებთან გვქონდა შეხვედრა და მოვითხოვდით, რომ ვეტერანებისათვის დაწესებული შეღავათები არ გაუქმებულიყო, მათი დაპირებების მიუხედავად აღნიშნული შეღავათები მაინც გაუქმდა. შედარებით უკეთესი მდგომარეობაა ქ. თბილისში, რაიონებიდან კი უფრო სამწუხარო ინფორმაციები მოგვდის. მოწმემ აღნიშნა, რომ საჭიროა ვეტერანებისათვის გაუქმებული შეღავათები აღსდგეს.

მოწმე უჩა სეთურმა აღნიშნა, რომ სს „ელექტროკავშირი" აბონენტებს შეღავათებით უწევდა სატელეფონო მომსახურებას. ამ საზოგადოების აქციათა 100 პროცენტი ეკუთვნის სახელმწიფოს. შეღავათებს აწესებს სახელმწიფო და არა ჩვენი ფირმა. ჩვენს საზოგადოებას არანაირი უფლება არა აქვს კანონით დადგენილი შეღავათები გააუქმოს. 1999 წლის 24 დეკემბრის კანონის მიღების შემდეგ ამ მიმართებით სადავო აქტებში არაფერი არ შეცვლილა.

მოწმე გრიგოლ გიორგაძემ სასამართლოს მოახსენა, რომ სარჩელები საფუძვლიანია და პრობლემა ეხება იმ საკანონმდებლო ცვლილებებს, რომლითაც გაუარესდა ვეტერანთა მდგომარეობა. „ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტის" თანახმად სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს ხალხის კეთილდღეობაზე, სოციალური დაცვის გაძლიერებაზე. სახელმწიფოს არ ჰქონდა საკანონმდებლო საფუძვლები ეს შეღავათები გაეუქმებინა. მას აქვს შესაძლებლობა სოციალური დახმარება გაუწიოს ვეტერანებს. სახელმწიფო გადაიხდის ელექტროენერგიით, გაზით, ტელეფონით სარგე- [illegible]

ჯანჯღავამ და მაკა ქაჯაიამ აღნიშნეს, რომ გაზით მომარაგებისას შეღავათებთან დაკავშირებით ისინი ხელმძღვანელობენ ქ. თბილისის საკრებულოსა და მერიის გადაწყვეტილებებით, ასევე საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 5 მარტის № 96-ე ბრძანებულებით. ზამთრის პერიოდში 870 კუბური მეტრი გაზით ერთჯერადი დახმარება ეხება როგორც მოსარჩელეებს, ისე სხვა კატეგორიის მოქალაქეებსაც.

მოწმე ხათუნა ძნელაძემ თავის ახსნა-განმარტებაში აღნიშნა, რომ საკანონმდებლო ცვლილებებამდე ელექტროენერგიით მომსახურებაში მოქალაქეთა ერთ ნაწილს 100-პროცენტიანი შეღავათები ჰქონდათ, სხვებს კი – 50-პროცენტიანი შეღავათები. ეს შეღავათები ბიუჯეტში იყო ჩადებული და თელასის ინტერესებში არ შედიოდა მისი გაუქმება. სს „ეი-ი-ეს თელასის" აქციების 25 პროცენტს ფლობს სახელმწიფო. რაც შეეხება კანონში ჩადებულ ფრაზას – „თუ ამ მომსახურებას ახორციელებს სახელმწიფო" – მოწმის განმარტებით, მასში იგულისხმება ის, რომ „ეი-ი-ეს თელასი" ელექტროენერგიას აწვდის შეღავათის მქონე პირებს, ხოლო საამისოდ საჭირო თანხა ირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ საქმის არსებითად განხილვის შედეგად, – კონსტიტუციური სარჩელის მონაცემების, საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილეთა გამოსვლების, მოწმეთა ჩვენებებისა და საქმეში არსებული წერილობითი მტკიცებულებების გაანალიზების საფუძველზე დაადგინა გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო გარემოებანი.

I. საქმის არსებითი განხილვის პროცესში მოსარჩელეებმა დააზუსტეს თავიანთი თავდაპირველი მოთხოვნის საგანი. „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადების საფუძველზე „მოსარჩელეს უფლება აქვს შეცვალოს თავდაპირველი მოთხოვნის საგანი და საფუძველი, გაზარდოს ან შეამციროს მოთხოვნის მოცულობა, უარი თქვას სასარჩელო მოთხოვნაზე". მოსარჩელეთა წინადადებით, 126-ე ნომრით რეგისტრირებული სარჩელიდან საბოლოოდ გამოირიცხა „საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" საქართველოს 1999 წლის 24 დეკემბრის კანონის XI თავით „პოლიციის შესახებ" საქართველოს 1993 წლის 27 ივლისის კანონის 31-ე მუხლის მე-8 პუნქტში შეტანილი ცვლილებების კონსტიტუციურობის საკითხი. სამივე (126, 129, 158) სარჩელში მოსარჩელეებმა მათ მიერ დასახელებულ სადავო აქტებში არაკონსტიტუციურად მიიჩნიეს მხოლოდ ის საკანონმდებლო ცვლილებანი, რამაც გამოიწვია ელექტროენერგიით უფასო (და ფასდაკლებით) მომსახურების გაუქმება. აქედან გამომდინარე, ყველა სარჩელში საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლთან მიმართებით სადავოდ უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ელექტროენერგიით უფასო მომსახურებასთან დაკავშირებით ლიმიტების დაწესება.

II. მოსარჩელეთა ერთი კატეგორია მიეკუთვნება ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებს, რომელთა სოციალური მდგომარეობა ძირითადად სახელმწიფო უზრუნველყოფაზეა დამოკიდებული, ვინაიდანაც ისინი თავიანთი უმწეობის გამო მოკლებულნი არიან თვითუზრუნველყოფის შესაძლებლობას. სამწუხარო ფაქტია, მაგრამ მათი რიცხვი სულ უფრო და უფრო მცირდება. მოსარჩელეთა მეორე კატეგორია მიეკუთვნება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახის წევრებს. მათი უმეტესობა აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან დევნილ პირებს წარმოადგენენ. ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს იმ მოქალაქეებთან, რომელთა სოციალური მდგომარეობა სახელმწიფოს განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.

სასამართლო კოლეგია თვლის, რომ თავის დროზე სახელმწიფომ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა კონსტიტუციურ სარჩელებში აღნიშნული კატეგორიის პირთა სოციალური დაცვის მიზნით. ამას არც მოსარჩელეები უარყოფენ და აღნიშნავენ, რომ ხელისუფლებამ მთელი რიგი შეღავათების დაწესებით დააფასა მათი ღვაწლი, თუმცა, 1999 წლის 24 დეკემბრის კანონის მიღებით გაუარესდა ძველი შეღავათები და ასე შეილახა მათი კონსტიტუციური უფლებები. ვიდრე საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელს შემოიტანდნენ, მანამდე მრავალი უწყებისათვის მიუმართავთ აღნიშნული პრობლემის მოგვარებაში ხელშეწყობისათვის, მაგრამ რეალური შედეგები ამას არ მოჰყოლია.

III. სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნები შეეხება მათი იმ კატეგორიის სოციალური უფლებების დაცვას, რაც მართალია, ცალკე არაა გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობენ მისი პრინციპებიდან. საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის ძალით „საქართველოს კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებუ- [illegible]

მოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, უზრუნველყონ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი". კონსტიტუციის მე-7 მუხლის თანახმად ასევე „სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით".

მოსარჩელეთა უფლებების საერთაშორისოსამართლებრივ და საზოგადო მნიშვნელობაზე მეტყველებს „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის" 22-ე მუხლი, რომლის თანახმადაც „ყოველ ადამიანს, როგორც საზოგადოების წევრს, აქვს სოციალური უზრუნველყოფის, ღირსების შენარჩუნების და პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, უფლება ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროებში ეროვნული ძალისხმევის, საერთაშორისო თანამშრომლობის მეოხებით და, ყოველი სახელმწიფოს სტრუქტურისა და რესურსების შესატყვისად. „ამ დეკლარაციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი: „ყოველ ადამიანს უფლება აქვს იყოს ისეთ ცხოვრებისეულ დონეზე, რომელიც გულისხმობს საკვების, ტანისამოსის, საცხოვრისის, სამედიცინო მოვლისა და სოციალური მომსახურების უზრუნველყოფას, რაც აუცილებელია თვით მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და დოვლათისათვის, ადამიანს აქვს უფლება უზრუნველყოფილი იყოს უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, სიბერეში დაუძლურების თუ, მისგან დამოუკიდებლად არსებობისათვის სხვა საშუალებების დაკარგვის შემთხვევაში". როგორც ეს დეკლარაციის პრეამბულიდან ჩანს, ხალხები და სახელმწიფოები უნდა ესწრაფოდნენ მისი დებულებების თანდათანობით შესრულებას ეროვნული თუ საერთაშორისო ღონისძიებების მეშვეობით.

„ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის" მე-2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით: „ამ პაქტის მონაწილე თითოეული სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას ინდივიდუალური წესით და საერთაშორისო დახმარებისა და თანამშრომლობის, კერძოდ, ეკონომიკურ და ტექნიკურ დარგებში საერთაშორისო დახმარებისა და თანამშრომლობის წესით, არსებული რესურსების მაქსიმალურ ფარგლებში მიიღოს ზომები, რათა თანდათან უზრუნველყოს ამ პაქტით აღიარებული უფლებების სრული განხორციელება ყველა მართებული საშუალებით, მათ შორის, კერძოდ, საკანონმდებლო ღონისძიებათა მიღებით".

საქართველოს კონსტიტუციის პრინციპებიდან და დასახელებული საერთაშორისო აქტებიდან გამომდინარე, მოსარჩელეთა აღნიშნული სოციალური უფლებები უნდა მივიჩნიოთ კონსტიტუციის 39-ე მუხლის შინაარსით გათვალისწინებულ და სახელმწიფოს მიერ აღიარებულ იმ უფლებებად, რომელთა დაცვის მძლავრი მექანიზმების შესაქმნელად სახელმწიფო ვალდებულია გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა მართებული საშუალება.

IV. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო კოლეგიას მიაჩნია, რომ ის საკანონმდებლო ცვლილებები, რაც მოსარჩელეთა ელექტროენერგიით მომარაგების სფეროში მოხდა, არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის და დასახელებული საერთაშორისო-სამართლებრივი აქტების (ნორმების) მოთხოვნებს. მათი შინაარსიდან გამომდინარე, ყოველი სახელმწიფო ვალდებულია არსებული რესურსების ფარგლებში მოსახლეობის სოციალური უფლებების დასაცავად მაქსიმალურ ძალისხმევას მიმართავდეს, რათა ამ უფლებათა დაცვის, სულ მცირე, მინიმალურად აუცილებელი დონე მაინც რომ უზრუნველყოს. სხვანაირად, აზრი ეკარგება სახელმწიფოთა საერთაშორისოსამართლებრივ ვალდებულებებს, რაც გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფოს მოქმედებანი ამ მიმართულებით სტაბილურ, ევოლუციურ ხასიათს უნდა ატარებდეს და დადებითი დინამიკით გამოირჩეოდეს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელეთა მიმართ დარღვეულია ეს მოთხოვნები. შეღავათი, რომელიც საკანონმდებლო ცვლილებებამდე ზოგჯერ სრულად ათავისუფლებდა მოსარჩელეებს ელექტროენერგიის საფასურის გადახდისაგან, გონიერულ ზღვრამდე კი არ შემცირებულა, არამედ იმდენად უმნიშვნელო გახდა, რომ მას სიმბოლურად თუ შეიძლება ეწოდოს შეღავათი. საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან, კერძოდ, სს „ეი-ი-ეს თელასის" „აბონენტების დენმიმღებების საორიენტაციო სიმძლავრისა და ამ სიმძლავრის გამოყენების საანგარიშო საათების ცხრილიდან" ჩანს, რომ ერთი 100-ვატიანი 0,1 კვტ სიმძლავრის ნათურა ყოველდღიური ხუთსაათიანი გამოყენებით თვეში ხარჯავს 15 კვტს, ხოლო 3 კილოვატი სიმძლავრის ელექტროქურა ყოველდღიური ორსაათიანი მოხმარებით ყოველთვიურად ხარჯავს 180 კვტ საათ ელექტროენერგიას. ასეთი სინამდვილის პირობებში მოსარჩელეთათვის კანონით გათვალისწინებული შეღავათები, [illegible]

ქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის თაობაზე", რომელიც თან ერთვის საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 17 დეკემბრის წერილს საქართველოს პარლამენტისადმი. მინისტრი თავის განმარტებაში მართალია მხარს უჭერს შეღავათების დროებით შენარჩუნებას, მაგრამ ამასთან აღნიშნავს, რომ „შეღავათების სისტემა საბაზრო ეკონომიკის პირობებში მთლიანად საჭიროებს გაუქმებას". სოციალური უზრუნველყოფის სისტემისადმი ასეთი დამოკიდებულება სასამართლო კოლეგიას გაუმართლებლად მიაჩნია. საბაზრო ეკონომიკის პირობებში სიკეთეთა სამართლიანი განაწილება სულაც არ გამორიცხავს გარკვეული კატეგორიის მოქალაქეთათვის ისეთი შეღავათების დაწესებას, რაც საზოგადოებრივი სოლიდარობისა და მხარდაჭერის გამოხატულებად შეიძლება ჩაითვალოს. მინისტრის განმარტებით, თუ შემცირდება ელექტროენერგიით მოხმარებასთან დაკავშირებული შეღავათები, ეს დიდ ტვირთად არ დააწვება ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს, სახელდობრ: „აღნიშნული არც ისე დიდი თანხაა და ადგილობრივი ბიუჯეტები მის დაფარვას უმტკივნეულოდ შეძლებენ..." ფინანსთა სამინისტროს ამ განმარტებების ფონზე, ნაკლებად დამაჯერებელი ხდება სადავო ნორმატიულ აქტებში ელექტროენერგიის მოხმარებისას დადგენილი შეღავათების იმ სახით შეცვლა, როგორც ამას დღესა აქვს ადგილი.

სასამართლო კოლეგიას მიაჩნია, რომ სახელმწიფო არა მარტო მაშინაა ვალდებული დაიცვას მოქალაქეთა სოციალური უფლებები, როცა ამა თუ იმ მომსახურებას უშუალოდ თვითონ ახორციელებს, არამედ მაშინაც, როდესაც ეს მომსახურება კერძო პირთა ხელშია. ქვეყანაში სოციალური საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების პროცესი, სახელმწიფოს კიდევ უფრო ვალდებულს ხდის დაიცვას მოსარჩელეთა და მათი მსგავსი კატეგორიის მოქალაქეთა ინტერესები.

VI. სასამართლო კოლეგია სამართლიანად მიიჩნევს მოსარჩელეთა პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანისას გასათვალისწინებელი იყო ამ კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის მე-2 წინადადებით დადგენილი მოთხოვნა, რომლის ძალითაც „დაუშვებელია ადრე მოქმედი შეღავათების, უპირატესობების, უფლებების, დახმარებების გაუქმება ან გაუარესება, თუ არ იქნა მიღებული სხვა ტოლფასი აქტები". მათი აზრით, არსებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა კი ვეტერანთა ზოგიერთი უფლების გაუარესება გამოიწვია, რის გამოც დაირღვა კანონის აღნიშნული მოთხოვნა. აღსანიშნავია ის, რომ მოსარჩელეთა ეს პოზიცია გაიზიარა მოპასუხე მხარის წარმომადგენელმაც. მისი აზრით, როცა ლაპარაკია ტოლფას აქტზე, აქ მხედველობაშია ნორმატიული აქტების არა ფორმალური, იურიდიული ძალის თვალსაზრისით თანაფარდობა, არამედ მათი შინაარსობრივი ურთიერთმიმართება. მოსარჩელის აზრით, უფლების დაცვის დაახლოებით მსგავს საკანონმდებლო დანაწესს შეიცავს „საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 37-ე მუხლის მე-4 პუნქტის მე-2 წინადადება, რომელშიც ნათქვამია, რომ „საბიუჯეტო ასიგნებათა შემცირება არ შეიძლება იყოს მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) და ამ კანონით გათვალისწინებული სხვა გარანტიების დაფინანსების შემცირების საფუძველი". ამასთან დაკავშირებით, სასამართლო კოლეგია აღნიშნავს, რომ მხოლოდ სტაბილური და სამართლიანი კანონმდებლობაა ადამიანის კონსტიტუციით აღიარებული უფლებების დაცვის სერიოზული გარანტი. ნორმატიულმა აქტმა მხოლოდ ასე შეიძლება შეინარჩუნოს სრულად მისთვის დამახასიათებელი ნიშანთვისებები. აღნიშნულ მოთხოვნათა უგულებელყოფით კი ირღვევა კანონთა სამართლიანობისა და [illegible]

VII. სასამართლო კოლეგია ასევე ითვალისწინებს იმ გარემოებასაც, რომ საქმეში არსებული მასალების მიხედვით, ყველა უწყება თუ თანამდებობის პირი, მათ შორის საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე და საქართველოს პრეზიდენტი, ვისთვისაც კი მიუმართავთ ვეტერანებს თავიანთი პრობლემების მოსაგვარებლად, ყველას სამართლიანად მიუჩნევია მათი მოთხოვნები. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თვით მოპასუხის წარმომადგენელმა არსებითად აღიარა მოსარჩელეთა მოთხოვნის საფუძვლიანობა. დასკვნით სიტყვაში მან აღნიშნა, რომ „საქართველოს პარლამენტი, როგორც ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, მხოლოდ მიესალმება იმ ფაქტს, რომ ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანები სრულად სარგებლობდნენ ადრე არსებული სოციალური შეღავათებით და რომ ქვეყნისა და ხალხისადმი ამ ღვაწლმოსილ ადამიანებსა და მათ ოჯახებს ჰქონდეთ მშვიდი, უზრუნველყოფილი და გარანტირებული ცხოვრება".

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობს რა საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტითა და მეორე პუნქტით, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტით, 21-ე მუხლის მე-2 პუნქტით, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტითა და მე-2 პუნქტით, 43-ე მუხლის მე-2, მე-4, მე-7 და მე-8 პუნქტებით, „სა- [illegible]

24 დეკემბრის კანონის (ა) VII თავის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებით „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" საქართველოს 1995 წლის 17 ოქტომბრის კანონში მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ი" ქვეპუნქტის მე-2 წინადადების, მე-15 მუხლის „ი" ქვეპუნქტის პირველი აბზაცის მე-2 წინადადების, მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის პირველი აბზაცის მე-2 წინადადების და მე-17 მუხლის „ი" ქვეპუნქტის პირველი აბზაცის მე-2 წინადადების სახით შეტანილი ცვლილებები და (ბ) ამავე კანონის VIII თავით „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს 1996 წლის 27 დეკემბრის კანონში მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის მე-2 წინადადების სახით შეტანილი ცვლილებები.

II. „საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" საქართველოს 1999 წლის 24 დეკემბრის კანონის (ა) VII თავის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებით „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" საქართველოს 1995 წლის 17 ოქტომბრის კანონში შეტანილი ცვლილებების არაკონსტიტუციურად ცნობილი ნაწილები – მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ი" ქვეპუნქტის მე-2 წინადადება, მე-15 მუხლის „ი" ქვეპუნქტის პირველი აბზაცის მე-2 წინადადება, მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის პირველი აბზაცის მე-2 წინადადება, მე-17 მუხლის „ი" ქვეპუნქტის პირველი აბზაცის მე-2 წინადადება და (ბ) ამავე კანონის VIII თავით „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს 1996 წლის 27 დეკემბრის კანონში შეტანილი ცვლილების არაკონსტიტუციურად ცნობილი ნაწილი – მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის მე-2 წინადადება იურიდიულად ძალადაკარგულია ამ გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან.

III. ეს გადაწყვეტილება ძალაშია საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომაზე მისი საჯაროდ გამოცხადების მომენტიდან;

IV. გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება;

V. ეთხოვოს საქართველოს პარლამენტს ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის I და II პუნქტებისა და სამოტივაციო ნაწილში აღნიშნული გარემოებების საფუძველზე, მოსარჩელეთა და შესაბამისი კატეგორიის სხვა მოქალაქეთა მდგომარეობის გათვალისწინებით, გონიერულ ვადებში მოაწესრიგოს ელექტროენერგიით სარგებლობის საკითხი „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" 1995 წლის 17 ოქტომბრის კანონში და „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს 1996 წლის 27 დეკემბრის კანონში;

VI. ამ გადაწყვეტილების პირი გაეგზავნოს მხარეებს, საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს უზენაეს სასამართლოს;

VII. გადაწყვეტილება ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნდეს 7 დღის ვადაში.

**ბესარიონ ზოიძე,**
თავმჯდომარე, მომხსენებელი მოსამართლე;
**ავთანდილ აბაშიძე;**
**იაკობ ფუტკარაძე;**
**ნიკოლოზ შაშკინი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

# სახიობა

თეატრალური გაზეთი

„საქართველოს რესპუბლიკის“ ყოველთვიური დამატება

№4 (64)


...დიდია, განუზომელია მნიშვნელობა თეატრისა ყველა ერისათვის. კულტურა თეატრისა უმაღლესი კულტურაა ერისა. იგი ჰყვავის, ჰყვავის, ფრთებს ისხამს მასთან ერთად და ეცემა, კვდება ერის სიკვდილთან ერთად.

**სანდრო ახმეტელი.**

## მოგონებანი ავტოგრაფითურთ

**რუბრიკას უძღვება ნანა ღვინეფაძე.**



# მზიან ქარში ეძებდა კაცი

გიგრძვნიათ აკაციის სუნი გაზაფხულზე?

... ანდა, მიტოვებულ ნასახლარზე მარტოდ მდგომარე ხის სევდა თუ გაგიგიათ?

ან იქნებ, არც ის ჩანახატი წაგიკითხავთ, პურის თხოვნა-თხოვნაში ბებერი ძაღლი კიბიდან რომ გადავარდა...

ეს სპექტაკლი ხომ გინახავთ, „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“!

იქნებ, მურმან ჯინორიაზეც გიფიქრიათ, სერგოდან „ჰამლეტამდე“ დიდი დრო გასულა?

არა, ერთია, როცა უყვარხარ, გისმენენ და გაღიარებენ. მეორე, როცა უბრალოდ, შენს წაკითხულ გალაკტიონზე დაფიქრდებიან, ანდა ჰამლეტის ბედზე ფიქრს საგზლად გაატანს შენს მაყურებელს.

... და მერე ხშირად გაახსენდები.

„წვიმიან ამინდში შუა ცეცხლს ჩაუჯდა, როგორც ბავშვობისას, თვალები ალმა გაიტყუა და ბებერი წლები ბოლს გაატანა“.

მურმან ჯინორია, მინიატურა

„იცით, რა პერიოდი უფრო მახსოვს? როდესაც რაღაცის შეცნობა დავიწყე, მაგრამ ეს ის შეცნობა არ არის, რაც ბავშვობას ახლავს. ეს ის შეცნობა უფროა, როცა აზროვნებას, ანალიზს, ოცნებას იწყებ. ყველაზე სანუკვარი და საინტერესო ადამიანის ცხოვრებაში სწორედ ეს პერიოდია. შეიძლება ერთმა, სულ რაღაც უმნიშვნელო მოვლენამ ბევრი რამ აგიხსნას, რაზეც მანამდე გიფიქრია.

ახლა რომ ვფიქრობ, ღმერთმა ისე განაპირობა ჩემი ცხოვრების გზა, რომ უფრო მეტად შემყვარებოდა ის, რაზეც ვოცნებობდი. კონკრეტულად არ მახსოვს, რამ განაპირობა ჩემი არჩევანი, მაგრამ რაღაც აუცილებლად იქნებოდა, ალბათ.

... მახსოვს, ბავშვობისას, როგორ მაშინებდა ორთქლმავლის მოახლოება სადგურთან და მისი დაკივლება. მას შავი ბორბლები ჰქონდა და წითლად იყო შეღებილი შიდა ნაწილი. ჩემს წარმოსახვაში ამ ორთქლმავალს თითქოს სული ედგა, ავი და საშიში, რაღაცის მომასწავებელი, მაგრამ ამ შეგრძნებამ რა განაპირობა, ეს არ მახსოვს. მერე ნელ-ნელა ამუშავებას იწყებს ქვეცნობიერში დალექილი ეს შთაბეჭდილებანი. მხოლოდ ყოფით ცხოვრებას როცა მისდევ, ამ შემთხვევაში არანაირი შეხება არა გაქვს ქვეცნობიერთან. არც ოცნებასთან, არც წარმოსახვასთან და ფანტაზიასთან.

... მის ცხოვრებაში იოლად არაფერი მოსულა. ღმერთის მიერ ბოძებულმა მიზანდასახულობის თვისებამ ბევრი წინააღმდეგობა დააძლევინა – მართალია, მშობლების სურვილით პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩააბარა, მაგრამ შინაგანად თეატრისთვის ემზადებოდა. თუმცა, სწავლა შუა გზაზე არ მიუტოვებია და დღეს ცოტამ თუ იცის, რომ მურმან ჯინორიას ქიმიკოსის და კვების ტექნოლოგიის დიპლომიც აქვს.

როცა გეპეიში ვსწავლობდი, სულ ვგრძნობდი პასუხისმგებლობას, – ახლა, მე რომ თეატრალურ ინსტიტუტში ჩავაბარო, მოვეწყობი? რომ არ მოვეწყო, რა სირცხვილი იქნება. ამიტომ სულ ვემზადებოდი საამისოდ.

ლექსებს ვკითხულობდი, რადიოთი ხშირად ვუსმენდი უშანგი ჩხეიძეს, სერგო ზაქარიაძეს, ვერიკო ანჯაფარიძეს, სპექტაკლებზე დავდიოდი, ერთ დღესაც შევიტანე საბუთები თეატრალურ ინსტიტუტში, დოდო ალექსიძე იყო კომისიის თავმჯდომარე. ჩემი დიპლომი რომ ნახა, გაოცდა, პატრონი არ გყავსო? – მკითხა. დაგიმთავრებია ინსტიტუტი, სპეციალობა გაქვს, თეატრალურში რა გინდაო? მაგრამ...

მახსოვს, აკაკი ბელიაშვილის „ბედის უკუღმართობა“ წავიკითხე, თვალი მოვკარი, რომ მიშა თუმანიშვილმა თემურ ჩხეიძეს შეხედა. მერე ტიციან ტაბიძის ლექსი წავიკითხე, ასე მიმიღეს...

გაუმართლა, ალბათ, მართლა იღბალი იყო, რომ სწორედ მისი ჯგუფი აიყვანა იმ წელს მიხეილ თუმანიშვილმა, – დიდმა პედაგოგმა და რეჟისორმა... და დაიწყო თეატრალური გაკვეთილები, განუმეორებელი, თუმანიშვილისეული ხიბლით. მერე პირველი სპექტაკლი იყო „გზაჯვარედინზე“, შემდეგ კი იღბლიანი „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“. იყო დიდ მსახიობებთან და რეჟისორებთან მუშაობის ბედნიერება, რომლის შედეგად, იქმნებოდა მისი როლები, საინტერესო, სხვადასხვაგვარი, მაგრამ ყოველთვის ინდივიდუალური, მხოლოდ მისეული ხელწერით გამორჩეული.

ყოველთვის მაინც ვცდილობდი, მაშინაც კი, როცა პიონერთა სასახლის დარბაზში დავდიოდი, ის არ გამემეორებინა, რასაც სხვა აკეთებდა. როდესაც უშანგი ჩხეიძის ჩანაწერებს ვუსმენდი, „ვეფხვისა და მოყმის“ ბალადას, ან მონოლოგებს „ჰამლეტიდან“, ის მოქმედებდა ჩემზე, იმ იმპულსს ტოვებდა, რაც შემდეგ ფანტაზიას აღვივებს. ამას მნიშვნელობა არა აქვს, შენ კომედიას თამაშობ თუ ტრაგედიას. „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ ვოდევილია, მაგრამ ხომ შეიძლება იქ რომეო ითამაშო, შეიძლება გუდიაშვილის ნახატები წარმოიდგინო თვალწინ, მათი პლასტიკა. უკვე გამოდის არა მხოლოდ ვოდევილი, არამედ რომეოც, ანუ, ამ შემთხვევაში, ახალგაზრდა გოგოსი და ბიჭის სიყვარული და პლასტიკური ნახატი გუდიაშვილისა. ამიტომ გამოდის როლი ინდივიდუალური და არა ისეთი, ვინმეს რომ უთამაშია. ეს ოსტატობა იმის დამსახურებაა, რომ მე მიხეილ თუმანიშვილის კლასი დავამთავრე. მისმა პედაგოგიურმა მიდგომამ მე ის მხარე გამილვივა, რაც ინდივიდუალურ მსახიობად გაყალიბებს.

დღეს რომ ვფიქრობ, მართლაც იღბლიანი ვარ, ძალიან კარგი პედაგოგები მასწავლიდნენ, კარგ რეჟისორებთან ვმუშაობ, რუსთაველის თეატრში რობერტ სტურუასთან ვარ, პარალელურად ერთი მსახიობის თეატრში ვმოღვაწეობ, მხატვრული კითხვის კათედრაზე ვასწავლი სტუდენტებს, მიმუშავია ისეთ პარტნიორებთან, როგორებიც არიან ვასო გოძიაშვილი, ეროსი მანჯგალაძე, სოფიკო ჭიაურელი, გოგი გეგეჭკორი, გურამ საღარაძე, რამაზ ჩხიკვაძე, კოტე მახარაძე... ყველაზე დიდი ბედნიერება ის არის, ამ ურთიერთობებიდან ლამაზი მოგონებები რომ გრჩება!

... მაგრამ წარმატებას მარტო იღბალი როდი განაპირობებს. რისკი, ბრძოლა, კატორღული შრომა, ახალი ფორმების გამუდმებული ძიება და გულწრფელი ემოცია. ასე იქმნება მისი როლები. ის მაყურებელს თავს არ აწონებს, არამედ ცდილობს უკვე ნაფიქრალის თანაზიარად აქციოს იგი. ხან დონ ჟუანია, ხანაც კენტი – „მეფე ლირში“, ანდა სოსიკო – სინემაში, ხან შინაგანი მდგომარეობის სხვანაირი გამოხატვით გიპყრობთ, სულ სხვაგვარად



წაკითხული გალაკტიონით, ოცდაათამდე კინოროლი, თამაზ ენგური რობაქიძის „ჩაკლულ სულში“, მაგრამ თავისებურად დანახული ბარათაშვილი, ტერენტი გრანელი, ყველა მათგანში საკუთარი სულის ნაწილი ჩადო, დიდხანს ცდილობდა ამოეხსნა რაღაც უცნობი, რიტმიული...

მურმან ჯინორიას გალაკტიონი მაყურებელმა მიიღო.

გალაკტიონი ასე რომ დამენახა და წამეკითხა, ამისთვის დიდი დრო დამჭირდა. მე სულ ფორმების ძიებაში ვარ, ჩემი შინაგანი მდგომარეობის გამოხატვის ძიებაში. ლექსებს სულ ვკითხულობდი, მაგრამ ეს ფორმა მოგვიანებით მოვიდა. ლექსში იმ ემოციას ვხედავ, რაც ჩემთვის ძალიან ახლობელია. საოცარი სიტყვათა თანამიმდევრობა აქვს გალაკტიონს. მაგალითად, „მზიან ქარად იქ-ცა ცე-რა, ქარ-ის ბგე-რა იქცა ქნა-რად, წუნარად, წყნარად, მწამს და მჯე-რა, ბედის წე-რა, გვიხსნის მარად“. თუ ამ სიტყვების უკან შენს სიუჟეტს ვერ ხედავ, ე. ი. შენი წასაკითხი ლექსი არ არის. ასოციაციით უნდა იგრძნო, რას ნიშნავს მზიან ქარად ყოფნა. მე მზიანი ქარი არ მიყვარს. ამ დროს ყვითელ ფერს ვხედავ, გასვენებას, მჟავე ყვავილების სუნს ვგრძნობ, ამ ყველაფრის გაფიქრებაც უნდა მოასწრო. „მირბის, მიმაფრენს, უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი“, – ასე უბრალოდ ამ სტრიქონს ვერ წაიკითხავ, თუ არ გამოყავი ჩემი მერანი. აქ მეზეა ლაპარაკი, იმ სულიერ სამყაროზე, რომელსაც უნდა, ასტრალში გავიდეს... თუ შენ შენებურ ახსნაში მართალი ხარ, მაშინ შემოქმედი ხარ, არ შეიძლება მაყურებელმა არ გაგიგოს.

მაგალითად, სერგო ზაქარიაძე ჩემთვის არ არის მხოლოდ მსახიობი, ის შემოქმედია! შეიძლება იყო ნიჭიერი მსახიობი, მაგრამ არა-შემოქმედი, სერგო ზაქარიაძის ცრემლის მოწმენდა „არ დაიდარდოში“, მიტაცებს, რადგან მის უკან სხვა რამეს ვხედავ, რომლის ახსნასაც შემოქმედებითად ვუდგები.

ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ თბილისში კოტე მახარაძის ერთი მსახიობის თეატრი შეიქმნა. მშვენიერი და საოცრად მყუდრო. მურმან ჯინორიას შინაგანი მდგომარეობის გამოხატვის კიდევ ერთი შესაძლებლობა მიეცა, ყველა საოცნებო როლი ერთად შეკრიბა, მან ამ თეატრში სამი საავტორო სპექტაკლი დადგა: „და სიმღერით ვკვდები“... ქართველ პოეტთა ლექსების მიხედვით, „ზღვა ძალიან ღელავს“ გურამ რჩეულიშვილის ნაწარმოებთა მიხედვით და „დროთა კავშირი დაირღვა“... შექსპირის „ჰამლეტისა“ და სონეტების მიხედვით. თავად არის ინსცენირების ავტორიც, რეჟისორიც, სცენოგრაფიც და მუსიკალური გამფორმებელიც, ეს იშვიათად ხდება! ეძიებდა, ნიადაგ ეძიებდა და „ჰამლეტთან“ მივიდა. მაყურებელმა უკვე ნახა მისი ჰამლეტი. ვინც ნახა, მან უსათუოდ განიცადა. ეს ის განცდაა, შენდაუნებურად მსახიობის თანაშემოქმედად რომ გაქცევს.

ჰამლეტის გმირი მაძიებელია, სწორედ ეს მინდოდა წარმომეჩინა. აქ ორი საწყისი ებრძვის ერთმანეთს, ღმერთი და ეშმაკი, მატერიალური და სულიერი. ჰამლეტის გმირი გამუდმებით ორჭოფობს, მას უნდა, როგორმე იპოვოს ღმერთისკენ სავალი გზა, გამუდმებით კითხულობს „ეშმაკის მსახური ვარ თუ ღმერთის“? სწორედ ეს მომენტია ჩემთვის საინტერესო. ამ კუთხით არის დანახული ჩემი ჰამლეტი.

რა იქნება „ჰამლეტის“ მერე? „ჰამლეტმა“ იმდენი ახალი კარი გაუხსნა, სულ მოლოდინშია, სად მიიყვანს ეს ძიება... ჭეშმარიტი ხელოვნების აზარტიც ამაშია. „მაყურებლამდე ეს ყველაფერი ისე უნდა მიიტანო, რომ ის შენ გხედავდეს, მაგრამ შენი გმირის ამბავს გრძნობდეს. აყვავებული ალუბლის ხე, რომელიც ობოლ სახლთან დაგამახსოვრდა, შეიძლება რაღაც შენეულის განმსაზღვრელად და გამღვივებლად იქცეს. ამიტომ მთელი ცხოვრება მაძიებელი ხარ. მინდა, ადამიანებს სულიერი ზეიმი მოვუწყო და არა შოუ! ახლა თითქოს ყველაფერი გამარტივდა. ეს შემოქმედებასაც ეტყობა. ხელოვნება ერთი დღისათვის ხომ არ არის, ახალ თაობას მეტი სიღრმე სჭირდება. სიყვარული უნდა იყოს მამოძრავებელი ძალა. სადაც სიყვარული არ არის, იქ არც შემოქმედებაა!

... გინდა დაუსრულებლად უსმინო. ემოცია შენზეც გადმოდის, ამ საუბარშიც კი გრძნობ, როგორ უყვარს, უყვარს ის, რასაც ქმნის... და რაც არ უნდა დაწერო მასზე, ფერები მაინც არ გეყოფა.

**პატარა განმარტება:**

როცა გაახსენდება „მამა სასხლავით ხელში“, ანდა აყვავებული ხე ნასახლართან, შეიძლება დაჯდეს და დახატოს, ან რაღაც დაწეროს, თუნდაც, „ბებო! ბებო! – შენ, რომ მოკვდები, მერე ხომ კიდევ მოხვალ? ბებოს სიხარულის ცრემლი მოადგა, მის სიკვდილს აზრი მიეცა“. ანდა: სალვადორ დალის ნახატზე დაფიქრდება, სიცხისაგან დაღვენთილ საათზე, – იქნებ დროთა კავშირი დაირღვა? ან სულაც იტყვის, „აკაციის სუნი თუ არ შეიგრძენი, აბა, რა აზრი აქვს ცხოვრებას“?

**ანა ჯანიკაშვილი**

P. S. „დადიოდა გულგახსნილი
და ეძებდა,
ეძებდა სულმოუთქმელად,
ეძებდა ყველგან.
– ე, ბიჭო, რას დაეძებ ასეთს?
– თუ ვიპოვე, მიხვდებითო,
– გაიღიმა და გააგრძელა“...
მურმან ჯინორია, მინიატურა.

## მიძღვნა

# სული სპეტაკი, შეუბღალავი

**ზინა კვერენჩხილაძეს**

დიდებულია დღე დღევანდელი! —
ეს რა ნათელი შემომაშუქეთ!
მოვდივარ, მომაქვს ოქროს ვარდები.
ო, ქალბატონო,
თქვენ რომ მაჩუქეთ!
თქვენი ხმა, მზერა
(თქვენი ღიმილიც!)
მომდევს და სულში
რეკავს ზარივით,
სწორედ თქვენა ხართ ჩვენი კუმირი,
სცენის მშვენება, მადლი, მარილი...
მე უნდა მემღერა ოქროს კალათა,
მაგრამ რა ძალუძთ
ჩემს მწირ სტრიქონებს!
დედავ, დობილო, ლელავ, სანათავ,
სულო გიზგიზა, ო, ანტიგონე!
ზინა! — რა დიდი ხალვთო ნიჭია!
მერე როგორი თბილი, ქართული!
ხელთ თითქოს თქვენი
სული მიჭირავს,
მღუარ ვარდებში გარდასახული.
ნაზ ბილილებში მზე დაფათურობს,
როგორც მთრთოლვარე ლოცვა,
სურვილი...
ვარდებსაც, თითქოს
ფიქრში გართულებს,
ჩუმად აჟრჟოლებს, სიყვარულივით.
წამიყვანთ დმანისს?
თქვენ ხომ ხმალიც ხართ,
და საბრძოლველად
ხართ შემართული!
ქართული სიტყვის ამაგდარი ხართ
მარად საქვეყნო
ფიქრში გართული.
მზად ხართ, ლხინია თუ განსაცდელი,
ზოგჯერ ღრუბლებშიც
გიდგათ კარავი,
მოდიხართ, მოგაქვთ
წმინდა სახელი,
სული სპეტაკი, შეუბღალავი.

**მზია ჩხეტიანი.**

2001 წ. 23 მაისი.



ზინა კვერენჩხილაძე.
ავტორი ნათელა იანქოშვილი.


გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 107-108, შაბათი, 4 მაისი, 2002 წელი.

პრემიერა

# სცენაზეა ჩინური ყოფა



**კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა ახლახან მორიგ პრემიერაზე მიიწვია მაყურებელი. სცენაზე გათამაშდა ჩინური ლიტერატურული ნაწარმოები, რომელსაც სული შთაბერა რეჟისორმა მედეა კუჭუხიძემ, ამ შემთხვევაში იგულისხმება არა მარტო რეჟისურა, არამედ ისიც, რომ ქალბატონმა მედეამ ლიტერატურული პირველწყარო თვითონ თარგმნა რუსულიდან, გადაამუშავა და თვითონვე აქცია იგი პიესად, ფაქტობრივად შექმნა ახალი მხატვრულ-სცენური ნაწარმოები.**

ეს არჩევანი რეჟისორისათვის შემთხვევითი არ ყოფილა. აღმოსავლური ლიტერატურისადმი ინტერესი, როგორც თავად ამბობს, ლამის ბავშვობიდანვე გაუჩნდა და მხოლოდ 1981 წელს მიეცა საშუალება სცენაზე გაეცოცხლებინა შუა საუკუნეების იაპონური ლიტერატურის უდიდესი დრამატურგისა და პოეტის ჩიკამაცუს პიესა „შეყვარებულთა თვითმკვლელობა ციურ ბადეთა კუნძულზე“, რომელიც ცნობილმა მთარგმნელმა ჯემალ აჯიაშვილმა თარგმნა. ეს დადგმა იღბლიანი აღმოჩნდა მთელი შემოქმედებითი კოლექტივისათვის. მან წარმატებით მოიარა მრავალი სცენა და რაც მთავარია, იგი საკუთარ სამშობლოში, იაპონიაშიც გულმხურვალედ მიიღეს.

და აი რეჟისორმა კვლავ მიმართა აღმოსავლეთს. ამჯერად მან ჩინური ლიტერატურა აირჩია. ჩინური ყოფა უცხოა ქართული სცენისათვის და ცხადია, ქართული თეატრის ცხოვრებაში იშვიათი ფაქტია.

რეჟისორმა სცენაზე აამეტყველა მე-18 საუკუნის განმანათლებლის ძი იუნის ჩანაწერები ქოხიდან „დიადი მცირეში“. მედეა კუჭუხიძე თავისებური მსოფლმხედველობის რეჟისორია და როგორც ჩანს, ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი საგანმანათლებლო ტენდენციები, რაც მამხილებელი პროზის სახით გაჩნდა ჩინეთში, უფრო კონკრეტულად კი ამ ნაწარმოების პრობლემატიკა და თემატიკა რეჟისორის მხატვრული პოზიციისათვის ახლობელი აღმოჩნდა. აკი თვითონვე ამბობს: „ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ თეატრის ფუნქცია გასართობის გარდა შემეცნებაა, ამას დიდი ილიაც ბრძანებდა. ეს ნაწარმოები იმის საშუალებას იძლევა, რომ ნაწილობრივ მაინც გავიცნოთ უაღრესად საინტერესო ჩინური მსოფლშეგრძნება და აღქმა, ამ თვალსაზრისით ამ ქმნილებაში ყველაზე საინტერესოა ჩინელთა მთლიანობის კატეგორიებით აზროვნება. ყოველი არსის, ცოცხალისა და გარდაცვლილის, ბუნებისა და ადამიანის ურთიერთშერწყმა.

და მართლაც, ორმოქმედებიან წარმოდგენაში მარადიულ თემათა (სიყვარულის, გრძნობების) გვერდით მკაფიოდ იკითხება თანაარსებობა ცოცხალი ადამიანისა გარდაცვლილთა სულებთან, მაქციებთან. არის ისეთი მომენტები, რითაც ეს დადგმა აქტუალური ხდება ქართველი კაცისათვის, მაგალითად ჩინოვნიკების სამყაროთი, მექრთამეობის პრობლემით, რაც იმის დასტურია, რომ სამყაროში ყველაფერი ურთიერთკავშირშია. წარმოდგენის ყოფით თუ დრამატულ ეპიზოდებში ჩინური სიბრძნე და ფილოსოფია გამოსჭვივის. სტილიზებული დადგმით რეჟისორიც და დასიც მათი თვალით დანახულ ჩინეთს წარმოგვიდგენენ, რაშიც რეჟისორს მრავალრიცხოვან პერსონაჟთა განმსახიერებელი როგორც ძველი, ისე ახალგაზრდა თაობის მსახიობები ეხმარებიან: გურანდა გაბუნია, ზურაბ სტურუა, ქეთი ჩხეიძე, სოსო გოგიჩაიშვილი, მარლენ ეგუტია, ჯემალ მონიავა, გივი ჩუგუაშვილი, მაია ტატიშვილი, ეკა მჟავანაძე, ზურაბ ბერიკაშვილი, ონისე ონიანი...

სპექტაკლის ზოგი სცენა შინაგანად დამუხტულია, რასაც ვერ ვიტყვით ბევრ სხვა ეპიზოდზე. ზოგიერთი დიალოგი სჭარბობს მოქმედებას, რაც აჭიანურებს და ანელებს რიტმს და უშუალო კონტაქტსაც მაყურებელთან. სასურველია, ახალგაზრდა ნიჭიერი მსახიობის ზაზა იაკაშვილის მთავარი გმირი უფრო შთამბეჭდავი იყოს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სპექტაკლი ისეთი გამოცდილი და გაბედული რეჟისორის ხელში, როგორც მედეა კუჭუხიძეა, თანდათანობით კიდევ უფრო დაიხვეწება და მსახიობებიც უფრო გაითავისებენ ახალ როლებს.

ის თეატრალური გარემო, სადაც ჩინური ყოფა თამაშდება, მხატვარ მამია მალაზონიას ჩინებულად წარმოუჩენია. გამოცდილი სცენოგრაფის მიერ სიმბოლური ელემენტებით გამდიდრებული სცენური სამყარო უთუოდ ეფექტური და კოლორიტულია.

ქვეყნებს შორის ურთიერთობისა და კულტურული პროგრამების გაცვლის თვალსაზრისით სპექტაკლის ჩანაწერები ქოხიდან „დიადი მცირეში“ უთუოდ სასურველი და გაბედული ნაბიჯია, – იმედია, ამ მხრივ იგი კეთილ ნაყოფს გამოიღებს.

**რუსუდან მუხიგულაშვილი.**

**სურათზე: სცენა სპექტაკლიდან ჩანაწერები ქოხიდან „დიადი მცირეში“.**

**ჯავარ ლომაძის ფოტო.**

# შეხვედრა ცნობილ ზღაპართან



ყოველი საბავშვო თეატრალური წარმოდგენა კარგი საჩუქარია პატარებისთვის, განსაკუთრებით მაშინ, თუკი სცენაზე ჯადოსნური ზღაპარი სპექტაკლის იერ-სახეს იძენს და თანაც გაცოცხლებულ გმირებსა თუ ახალ პერსონაჟებს იტევს. საერთოდ, საინტერესოა ნორჩი თაობის თვალით ამგვარი მხატვრული გამონაგონის დანახვა და ასევე არარეალისტური ლიბრეტოს ფანტასტიკურად აღქმა, მაგრამ მაინც, ბავშვური ცნობიერებისთვის ზღაპარი უახლოვდება მათივე ფანტაზიის სამყაროს, სადაც მარადიული ოცნება ბედნიერ მომავალზე აისახება და სადაც კეთილი მუდამ ამარცხებს ბოროტს და დაჩაგრული საბოლოოდ გამარჯვებული რჩება. ამდაგვარი და მრავალნაირი რწმენა-წარმოდგენით, გამძაფრებული სიუჟეტითა და კონფლიქტებით მოზღვავებული შარლ პეროს ჯადოსნური ზღაპრის მიხედვით ინსცენირებული მიუზიკლი „კონკია“ ახლახან გაათამაშეს რუსთავის სახელმწიფო საბავშვო და ახალგაზრდულ თეატრში, რომელიც სადიპლომო სპექტაკლად წარმოგვიდგინეს დამდგმელმა რეჟისორებმა ლალი თაბაგარმა და ვაჟა ძიგუამ. თუკი ლალი თაბაგარისათვის ეს დადგმა დებიუტია რეჟისურაში, ვაჟა ძიგუა უკვე „სტაჟიანი“ რეჟისორია – ათიოდე სპექტაკლის ავტორია, რომელთაგან ზოგიერთი დადგმა პრემიებითაც კი აღინიშნა.



ფერადოვანი სცენოგრაფიის (მხატვარი ლომგულ მურუსიძე) ფონზე, დინამიურად მიმდინარე ლიბრეტოს (ავტორი ვაჟა ძიგუა) განვითარებას ერწყმის ჰარმონიული, ლირიკული და რომანტიკული მუსიკა (კომპოზიტორი ნუნუ გაბუნია) შესაბამისად დადგმული ქორეოგრაფიული მონახაზითა და შესრულებით (ქორეოგრაფი ბექარ მონავარდისაშვილი). ვიზუალურად ეფექტური და სახასიათო კოსტიუმები კი ზღაპრის გმირთა უკეთ შეცნობისათვის გამიზნულა მხატვარ მანანა გუნიას მიერ.

„კონკიას“ უკიდეგანოდ ჯადოსნურ სამყაროში თავბრუდახვეული სიცოცხლის სიყვარულით აღსავსე ნორჩი გოგონა (მაია გელიაშვილი) და მისი რჩეული უფლისწული (ზურაბ ფიროსმანიშვილი) ფინალში სიყვარულის გვირგვინით მშვენიერდებიან, რაც ყმაწვილური სიწრფელით ცოცხლდება სცენაზე. თავისებურად საინტერესო და სახასიათო სახეებით გვეხმაურებიან ზღაპრის სხვა დანარჩენი პერსონაჟები – დიდებული ხელმწიფე (თემურ ნაცვლიშვილი) და მშვენიერი დედოფალი (ნანი ფერაძე), უსამართლო და ბოროტი დედინაცვალი (ციალა გურგენიძე) და კეთილშობილი ფერია მელიუზინა (ნინო ჯამალაშვილი), უფროს-უმცროსი დები – ანჩხლი ჰორტენზია (ლეილა ტაბატაძე), და ირონიული ქავოტა (მარინა ჩხიკვაძე), მართლაც სასაცილო მასხარა (ქეთევან მაღრაძე) და ერთგული ვეზირი (ლეონტი შიოშვილი).

და მაინც როგორ ჩაიარა ნაცნობი და საყვარელი ზღაპრის თეატრალურმა ვერსიამ?

– მე დიდი გულშემატკივარი ვარ რუსთავის საბავშვო თეატრის და თითქმის ყველა პრემიერაზე ვახერხებ ჩამოსვლას. ძალიან მიხარია, რომ ესოდენ დიდი მზრუნველობით ექცევიან ბავშვებს და ასეთი ჯადოსნური ზღაპრებით ანებივრებენ. ძალიან კმაყოფილი ვიყავი არაჩვეულებრივი სპექტაკლით, ნუნუ გაბუნიას მიუზიკლით „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“, რომლის რეჟისორია ვაჟა ძიგუა. ახლა ახალი სპექტაკლი-ზღაპარი ვიხილე და არ შემიძლია არ აღვნიშნო ახალგაზრდა მხატვრის მანანა გუნიას, მართლაც, ზღაპრული კოსტიუმები. ბატონი ვაჟა და ქალბატონი ლალი გიგა ლორთქიფანიძის სახელოსნოს დიპლომანტები არიან, რომლებმაც წარმოგვიდგინეს ლამაზი ზღაპარი და მინდა მივულოცო მათ ეს მშვენიერი სპექტაკლი. არაჩვეულებრივად ჟღერს ნუნუ გაბუნიას მუსიკა, ცოტა გული მეთანადრება ლიბრეტოზე. მსახიობებიდან კონკიას როლის შემსრულებელს გამოვყოფდი. საერთო ჯამში თეატრის დასმა დღესასწაული მოუწყო ბავშვებს, – აზრს გვიზიარებს რეჟისორი ნანა დემეტრაშვილი.

მანანა კორძაია – მუსიკისმცოდნე: ამ ლამაზ, მდიდრულად გაფორმებულ სპექტაკლზე, სადაც მხატვრებმა მანანა გუნიამ და ლომგულ მურუსიძემ თავიდანვე მომხიბვლელი, ნახევრად ზღაპრული, ნახევრად რეალური სამყარო წარმოგვიდგინეს, ბავშვებით სავსე დარბაზის რეაქციიდან გამომდინარე მინდა ვისაუბრო.

პირველ ყოვლისა, კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს მათთვის „თავისი“ თეატრის არსებობას და კიდევ ერთხელ მაგრძნობინა, რა მკრეხელობა იყო თავის დროზე თბილისში მოზარდ მაყურებელთა თეატრის ფაქტობრივი დახურვა თუ გაუქმება. გამახსენა ის პატარა სიხარულიც, რომელიც აღმიძრა ამ ცოტა ხნის წინათ „მოზარდის“ გადარჩენის მიზნით ჩატარებულმა აქციამ.

იგრძნობოდა, როგორ მოენატრათ პატარებს რომანტიკული სული და ის სილამაზე, რომელიც ასე უპირისპირდება დღეს (თუნდაც მულტფილმებში) გაბატონებულ ძალადობას და აგრესიას. სულგანაბულნი უსმენდნენ მსახიობების მიერ შესანიშნავად წარმოსახულ გმირებს, ნუნუ გაბუნიას ასევე რომანტიკულად ნათელ და შთამბეჭდავ მუსიკას ოსტატურად რომ ასრულებდნენ როგორც ვოკალურად, ისე პლასტიკურად. მაგრამ წარმოუდგენელი იყო ის, რაც მოხდა, ვიდრე სიყვარულმა იზეიმა! ბავშვები ადგილზე ველარ ჩერდებოდნენ, სკამებიდან ბევრმა კიბეზე გადმოინაცვლა, რათა უკეთ დაენახათ თავისი რჩეული გმირები. ღელავდნენ, შეძახილებით თანაუგრძნობდნენ კონკიას.

რეჟისორებმა ლალი თაბაგარმა და ვაჟა ძიგუამ, როგორც ჩანს, თავიდანვე გაითვალისწინეს და მთელი სპექტაკლი წარმართეს ლირიკულ-იუმორისტულ პლანში, სადაც კონკიას მეტოქე ბანაკი – დედინაცვალი და მისი ქალიშვილები უფრო კომიკური პერსონაჟები არიან, ვიდრე ბოროტების სიმბოლოები, ამდენად თვით კონკიაც არ არის ტრაგიკული მსხვერპლი ბოროტებისა – არც ტრადიციულად დაკონკილი კაბა აცვია და არც ნაცრითაა მოთხუპნული. იგი დასაწყისშივე მხიარულად ცეკვავს და მღერის იმის შესახებ, თუ რა კარგია ცხოვრება, როგორ უყვარს სიცოცხლე და იმედი ასულდგმულებს, რომ ბედნიერი იქნება.

ეს თავისებურად ახალი ხედვაა ამ ყველასათვის ნაცნობი ზღაპრისა, სადაც ჯადოქარი არც გოგრის ეტლით მოდის და არც უცნობი ქალბატონია. იგი კონკიას ბებიაა, რითაც კიდევ უფრო ხაზგასმულია სპექტაკლში ყოფითი სითბო, რამაც ასე აალელვა პატარები.

რუსუდან ქუთათელაძე – მუსიკისმცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი: ჩემთვის ყველაზე მგრძნობიარე შემფასებელია გოგო-ბიჭებით სავსე დარბაზი – ალალი, წრფელი გრძნობებით რომ რეაგირებენ ყმაწვილები წარმოდგენის თითოეულ ნიუანსზე. სპექტაკლი ბევრის თქმის საშუალებას იძლევა: სცენური მოქმედება დინამიკურია, მიზანსწრაფული, ყველაფერი ვერცხლისწყალივით ცქრიალებს – ეს რეჟისორული გადაწყვეტის დამსახურებაა: ძალზე სანახაობრივია, ფერადოვანია სცენოგრაფია, კოსტიუმები ისეთი, დიდების სპექტაკლებისთვისაც სანატრელი რომაა. ყველაფერ ამას მუსიკა ამთლიანებს – ლაღი, უშუალო, მხიარულ, მელოდიას შინ რომ გაიყოლებს მსმენელი. ჩემს მიერ ნანახი რუსთაველთა ეს უკვე მესამე წარმოდგენაა („ფიფქია და შვიდი ჯუჯა“, „დაკარგულ გრძნობათა მღვიმე“, „კონკია“) (მოლოდინი ყოველ ჯერზე არათუ მართლდება, წინასწარ აჭარბებს. სიკეთეს, სილამაზეს მოკლებული ჩვენი ბავშვებისთვის (მე ყოფასაც ვგულისხმობ და მხატვრულ შთაბეჭდილებებსაც), ეს, მართლაც რომ, საჩუქარია. ასეთ საჩუქარს დანატრებულნი არიან ჩვენი მოზარდები. არც მსახიობური თამაში შეიძლება გამოვტოვო. სპექტაკლის საერთო განწყობას ისინი ასხამენ ხორცს და ბავშვების თანაგრძნობას იწვევენ. ეს დიდი მონაპოვარია.

**მზეხა მახარაძე.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 107-108, შაბათი, 4 მაისი, 2002 წელი.



ბიზნესი და ხელოვნება

# დიდი ქველმოქმედი — გუჯა ბუბუტეიშვილი



„გაფხულია, ცხელა-ცხელა, ბული აღის ქალაქს“, და მე, „კრასავიცა“ დოდო ჭიჭინაძე, ჩემი შვილი, ისიც მსახიობი მაია ტატიშვილი და ყოვლად ოხერი და ღვთის ფეხის მკვნეტელი ჩემი შვილი წლის შვილთაშვილი — ნიკა მითაიშვილი ერთ გაქუცულ, გახრიკულ და ნახევრად დამლილ 11 ნომერ ტრამვაიში ვსხედვართ და ავჭალაში მივხრიგინობთ.

— გენაცვათ... ტრამვაიში ვილა ჯდება ახლა.

ტრამვაიში კი არა, ტროლეიბუსში და ავტობუსში აღარავინ კადრულობს ასვლას — „მარშრუტკებმა“ გადაჯეგა თბილისი.

ცარიელია ტრამვაი, სამიოდე დებაბერი თელემს, „კრასავიცა“ დოდო ჭიჭინაძის დანახვაზე ბებრებს სახეები გაებადრათ, გამოცოცხლდნენ, დოდოს შემოეხვივნენ და ერთი ამბავი შექმნეს.

— ამას ვის ვხედავთო... შენ კი გენაცვალეთო... თავზე შემოგევლეთო... და ჩვენო სილამაზე და ემხოვო...

ერთ-ერთ გაჩერებაზე გარეთ უსაქმოდ მდგომმა ხალხმა იფიქრა: არიქა, ვაგონში კაი რამეს არიგებენო, ეგება ჩვენც რაიმე შეგვხვდესო და გაქუცული ვაგონი ხალხით გაივსო.

...მაგრამ ამ დედაბრების მოფერების სიცილ-ხარხარში „კრასავიცა“ დოდო შერჩათ ხელში. მგზავრებმა ქართული შნო და მარიფათი გამოიჩინეს, და საწყალი დოდო ამ მოფერებაში კინაღამ დაბღლნეს. მოგვიანებით მეც შემამჩნიეს... უი, უი, ეს ჯღანი მსახიობი გოდერძი ჩოხელის კუდიანი კომბლე არ არისო?!. არისო, სწორედ ის არისო... და ახლა მე გამგლიჯეს სიყვარულით. ამასობაში შვილი წამომეშველა, ახლა მაიას დაადგეს თვალი... ქაა, ქააა. ეს კიდენა იეთიმ გურჯს რომ უყვარდა, მისი ჯეელი „ნაშა“ არ არისო? არისო მაშა, დაუდასტურეს სხვებმა.

ვატმანმა ამ გნიასში და რია-რიაში ტრამვაი გააჩერა, სალონში გამოვიდა და დოინჯშემოყრილი გაჯგიმული დადგა... ხალხი მისწი-მოსწია და დაიღრიალა... რა ამბავია აქა, აა?.. რა თეატრი გამიმართეთ ააა? სად არის იეთიმ გურჯის „ნაშა“, რომელია, აა? მომეცით აქა...

ამასობაში ჩემმა შვილმა — იეთიმ გურჯის „ნაშამ“ მაია ტატიშვილმა დრო იხელთა, ნიკას ხელი დაავლო, მე და დოდო წინ გაგვიგდო და ტრამვაიდან სულ ჯიკავჯიკავით ჩამოგვაბრძანა.

ტრამვაიმ მხიარული მგზავრებიანა შლეგიანივით ჩაგვიქროლა, დოდოს ჰაეროვანი კოცნა გამოუგზავნეს, თან მღეროდნენ, „ვისია, ვისიააა.... ქალი და ლამაზი ჰე... ჰე...“ მეორე წყება მომღერლები მაიას ხელს უქნევდნენ და მღეროდნენ სიყვარულით დამწერის ჰანგებს: „კარგი იყოო... არ გამეცან თავიდან“...

ვიცინით და რას ვიცინით, სულს ველარ ვიბრუნებთ — მე და დოდო. ჩემი შვილი მეცა — ეს სულ შენი ბრალია... ყველას უცინი, ყველას ესალმები, ეფერები და აჰა შენი უტაქტო საქციელის გამო, შენ კუდიანი გიწოდეს, საწყალი დოდო კინაღამ გაბდღვნეს და მეც ზედ მიმაყოლეს.

ასე მხიარულად მივადექით ბატონ გუჯა ბუბუტეიშვილის სამფლობელოს — ავჭალის კონიაკის ქარხანას.

რკინის მშვენიერი ჩუქურთმებიანი ფართო კარები მოკრძალებით შევაღეთ. შესასვლელში ქარხნის დაცვის ჭაბუკები დგანან.

— ვინ გნებავთ ქალბატონებო, ვისთან მიბრძანდებით?

— ბატონ გუჯასთან ვაართ.

კონიაკების პრეზიდენტთან მისვლა ასე ადვილი არ იყო. საქმეში ბუბუტეიშვილის მოადგილე ჩაერია, ბატონი ზნაურ კოკოევი.

კოკოევი „ქართული ფილმის“ ყოფილი თანამშრომელია. ქართული კინოს ვარსკვლავი დოდო ჭიჭინაძე რომ დაინახა, დიდად გაიხარა, წინ წაგვიძღვა, ქარხნის ეზოში გავედით.

იხ. მე-10 გვ.

სხვა გაზეთებიდან

# ...როგორ მოხდა, რომ ამ დონის მომღერალს დასავლეთში ასე ნაკლებად იცნობენ?

დღეს უკვე არავის უკვირს ქართველ ხელოვანთა წარმატება მსოფლიო ასპარეზზე. მათი მიღწევები კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენი ხელოვნების მაღალ დონეს. ქართული საფორტეპიანო სკოლა ერთ-ერთი საყოველთაოდ აღიარებული სკოლაა. წინა თაობას კარგად ახსოვს საბჭოეთის ყველაზე საინტერესო და მკაცრი კონკურსები — ჩაიკოვსკის სახელობის კონკურსები, სადაც გამარჯვებულთა შორის არა ერთი ქართველის სახელი გაბრწყინებულა; მათ რიცხვშია ეთერ ანჯაფარიძე, რომელიც თავის მოღვაწეობას და შემოქმედებით წინსვლას ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში განაგრძობს. დიახ, ახალ თაობას, მათ ნიჭს, მეტი გასაქანი და ნიჭის რეალიზაციის საშუალება აქვს, რასაც წინა თაობა ასე მოკლებული იყო და ვინ იცის, რამდენი ქართველი ხელოვანის სახელს შეეძლო მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში თავისი სახელის ჩაწერა და რამდენი სათქმელი თუ სიმღერა დაჰკლებია მსოფლიო სცენას. მათ რიცხვშია ზურაბ ანჯაფარიძე. ეს მარტო ჩვენი აზრი როდია, ეს აღიარებული ტენორის **პლასიდო დომინგოს** აზრიც არის.

„როგორ მოხდა, რომ ამ დონის მომღერალს დასავლეთში არ იცნობენ?“ — ამბობს იგი. ასეთი სინანული გამოთქვა მომღერალმა, როდესაც ზურაბ ანჯაფარიძის ქალიშვილმა ეთერ ანჯაფარიძემ მას მამის ჩანაწერები გააცნო. აი, ნაწყვეტი ეთერ ანჯაფარიძის ინტერვიუდან, რომელიც მას გაზეთ **„ნოვოე რუსკოე სლოვოს“** — ნიუ-იორკის კორესპონდენტისთვის მიუცია:

„თქვენი გვარი ცნობილია, თქვენ ხართ გამოჩენილი ტენორის ზურაბ ანჯაფარიძის ქალიშვილი, რომელიც ძალიან უყვარდათ, ჰქონდა ბრწყინვალე ხმა და დიდხანს მღეროდა დიდ თეატრში, რამდენად დაგეხმარათ ეს შემოქმედების, ხელოვნების თვალსაზრისით თქვენი ოფიციალური სტატუსის მოპოვებაში კარიერის მხრივ?

— რასაკვირველია, როდესაც ასეთი გვარი გაქვს, ეს თავისთავად ბევრს ნიშნავს, — ძირითადად ნათესაური კავშირი აინტერესებთ ხოლმე, რაც შეეხება შემოქმედებას... მე ძალიან პატარა ვიყავი, როდესაც ჩემი მშობლები დაშორდნენ ერთმანეთს, მაგრამ მამასთან ურთიერთობა მქონდა და იგი ჩემზე დიდ გავლენას ახდენდა რაღაც გენეტიკურად, შეუცნობლად... ეს იყო სცენისადმი ბუნებრივი მისწრაფება, კულისებისადმი და საერთოდ, თეატრისადმი სიყვარული, სცენაზე გამოსვლის სურვილი. მე თეატრის კულუარებში გავიზარდე, რამაც მომცა თეატრის, მუსიკის ცოდნა. ჩემში თავიდანვე ოპერის ბაცილა მოხვდა და ჩაინერგა, და ამან კი მუსიკალური შეგრძნება გამიმდიდრა.

მამა თავისუფალი იყო თავის თეატრალური სახეების წარმოსახვაში. იგი იყო არა მარტო ბრწყინვალე მომღერალი, ვოკალისტი, არამედ გამოჩენილი მსახიობიც, შექმნა უმშვენიერესი სახეები — ხოსესი, რადამესის. მისი გერმანი „პიკის ქალში“ ეტალონად ითვლება. მან გაახმოვანა ფილმი „პიკის ქალი“. 60-იან წლებში რუსეთში შეიქმნა ოპერის ეკრანიზაცია; მასში გერმანის როლს ოლეგ სტრიჟენოვი ასახიერებდა, მამა კი მღეროდა. ფილმის ვიდეოკასეტა ჩემმა მეგობარმა სერგეი ლეიფერკუსმა პლასიდო დომინგოს უჩვენა, როდესაც იგი გერმანის პარტიას ამზადებდა მეტროპოლიტენ ოპერისათვის. შემდგომ მაესტრო დომინგოს თხოვნით მე მისთვის მთლიანი ოპერა გადავიწერე, მივაწოდე მრავალი ფოტო და მამაჩემის გერმანის პარტიასთან დაკავშირებული სხვა მასალები. დომინგო სულ განიცდიდა და ამბობდა: „როგორ მოხდა, რომ ასეთი დონის მომღერალს დასავლეთში ასე ნაკლებად იცნობენ“?

უბრალოდ, დრო იყო ასეთი. ეს იყო დიდი თეატრის ოქროს ხანა, მაგრამ დასავლეთმა ეს არ იცოდა.

ამერიკის კონტინენტზე მამაჩემის დროს დიდი თეატრი მხოლოდ ერთხელ იმყოფებოდა მთელი თანავარსკვლავედის შემადგენლობით. არქიპოვა, მილაშკინა, პეტროვი, მაზურიკი, ანჯაფარიძე... მაგრამ ეს ერთადერთხელ მოხდა. მას გაგრძელება არ ჰქონია“.

დიახ, მაშინ გაგრძელება არ ჰქონია. შეიძლება ახლა ჰქონდეს...

თავად ეთერი კი აგრძელებს შემოქმედებით ზრდას. იგი არის ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი, გამოდის კონცერტებით, და მთლიანად თავის პროფესიისთვის იხარჯება.

„ამერიკელი ქართველებისათვის“ დიდი სიხარული, იმედი და რწმენაა იქ, შორეულ მიწაზე, ქართველთა სახელებთან შეხვედრა და ამ სიხარულის ჩვენთვის გაზიარება. ეს მასალაც ამის დასტურია.

**ნათელა ლუდუშაური.**

**სურათებზე: ეთერ ანჯაფარიძე; ზურაბ ანჯაფარიძე — გერმანი, („პიკის ქალი“); ზურაბ ანჯაფარიძე.**







გამოიცა

# გულში მოზღვავებული მელოდიები



სცენაზე გიტარით ხელში 5 წლის გოგონა იდგა და მღეროდა. გაოცებული დარბაზი გულისყურით უსმენდა... ასე დაიწყო ეთერ ჭელიძის კარიერა ესტრადაზე.

გავიდა დრო, მან უკვე ნიჭიერთა ათწლედი დაამთავრა წარმატებით და რამდენიმე მელოდიის ავტორიც გახლდათ. განსაკუთრებული შინაგანი მღელვარებით ასრულებდა ლირიკულ სიმღერებს, რომლებიც იმდენად ახლოს იყო ქართულ სულთან და ქართულ გონთან, რომ ყურადღების ქვეშ ადვილად ექცეოდა.

შემდეგ დაიწყო გასტროლები. ... „ეთერი მღეროდა, მე პულტთან ვიდექი და ჯოხს ვიქნევდი, მაგრამ ისე ვიყავი გატაცებული სიმღერით, რომ ვფიქრობ, მომღერალი უფრო დირიჟორობდა, ვიდრე მე. შემოქმედმა დამიმორჩილა და ჯადოსნური ჯოხიც თითქოს მის ხელში აღმოჩნდა“, — იხსენებს მოსკოვის მაშინდელი საკავშირო რადიოს სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი ა. მიხაილოვი.

ცნობილი სიმღერების ავტორის შემოქმედება, არტისტიზმი, უცხოელ მსმენელზეც საოცარ ზემოქმედებას ახდენდა. მას თავი უსახელებია გერმანიაში, საფრანგეთში და ყოფილი საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ქვეყანაში. კონცერტებს თურმე ყოველთვის „სულიკოს“ ან „ციცინათელას“ შესრულებით ამთავრებდა. იგი კვლავ წერდა და წერდა სიმღერებს, ხელმძღვანელობდა თვითმოქმედების ჯგუფებს და არაერთი ნიჭიერი მუსიკისმოყვარული გამოუვლენია. მრავალი საღამოს მოწყობის თაოსანი და ორგანიზატორი იყო. მანვე გამართა საღამო დევიზით — „ექიმები ხელოვნებაში“. ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება. დიდი მწერლების საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით სკოლებში მუსიკალურ კომპოზიციებს აწყობდა; წერდა სიმღერებს ანსამბლ „მზიურისათვის“. მისივე იდეა იყო თ. გვერდწითელის, მ. ჯაბუასა და ე. კახიანის ტრიოს შექმნა.

ბავშვების სიყვარულით შექმნა მთელი ციკლი: „საქართველოს სადიდებლად“, „ყვავილების სიყვარული ვიცი“, „ცისფერი ფარდა“ და მრავალი სხვა.

კომპოზიტორ ქალს კინოხელოვნებაშიც შეუტანია თავისი წვლილი, საკუთარი სიმღერით გაახმოვანა ნატო ვაჩნაძის როლი ფილმში „უკანასკნელი ჯვაროსნები“. რეჟისორ ს. დოლიძის ფილმში „გაქცევა განთიადისას“ თავადის ქალის ვარინკა წერეთლის ეპიზოდურ როლს თამაშობს. რამაზ ჩხიკვაძესთან ერთად იმღერა რომანსი „მხოლოდ შენ ერთს“ ფილმში „მოიტაცეს თამარ ქალი“.

ეთერ ჭელიძე მრავალმხრივი, ფართო ინტერესების მქონე პიროვნება გახლდათ. ალბათ ამიტომ არ მოძველებულა მისი სიმღერები და ჩვენში დღესაც ნოსტალგიას, ძლიერ სულიერ განცდებს იწვევს. ამიტომაც შეიქმნა წიგნი „გულიდან ამოხეთქილი მელოდიები“, რომლის ავტორია ალისა ცინცაძე.

ქალბატონი ალისა სიყვარულით აღწერს მომღერალი ქალის შემოქმედებით გზას, საუბრობს მის საუკეთესო სიმღერებზე „ლურჯი აპრილი“, „ვენაცვალე მაგ შენს თვალებს“, „იას სინაზე მოვსტაცე“, აღნიშნავს რომ „ჭაღარა თბილისი“, რომელიც ირაკლი აბაშიძის ლექსმა შთააგონა ეთერს, XX საუკუნის 20 საუკეთესო სიმღერათა შორის ითვლება.

ფოტოები ეხმარება მკითხველს ამ შესანიშნავი საესტრადო მომღერლის პორტრეტის აღდგენაში. სასიამოვნოა ის, რომ შემოქმედს ჰყოლია მემკვიდრეც, მისი შვილიშვილია — ანა სირაძე, რომელსაც ბებია არ მოსწრებია, მაგრამ გენები კი გამოჰყვა მისი.

... სრულიად ახალგაზრდა წავიდა ჩვენგან ეთერ ჭელიძე (1938-1990), მაგრამ დროთა განმავლობაში მისი ღვაწლი უფრო დაფასდება ალბათ... წიგნს ახლავს ბიოგრაფიული ცნობარი და ეთერ ჭელიძის მნიშვნელოვან სიმღერათა ნუსხა.

აღსანიშნავია, რომ ქალბატონ ალისა ცინცაძის წიგნი გამოიცა ბატონ ნუგზარ ფოფხაძის შემწეობითა და მხარდაჭერით.

**თამარ ანდრიაძე.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 107-108, შაბათი, 4 მაისი, 2002 წელი.

ბიზნესი და ხელოვნება

# დიდი ქველმოქმედი — გუჯა ბუბუტეიშვილი

(მეცხრე გვერდიდან)

ეზო კი არა, სამოთხის წალკოტში შევდგით ფეხი, გეგონებათ უდაბნოს შემდეგ ზღაპრულ ოაზისში მოვხვდით. სურნელოვანი ლალანა ყვავილებით სავსე მოვლილი გაზონები, საპატიო ადგილზე ეზოს გულისგულში სარაჯიშვილის ქანდაკება დგას. ქანდაკება ისე დიადია — გინდა არ გინდა მის წინ მოწიწებით ვჩერდებით, თვითონ გიბიძგებს რაღაც შინაგანი ინტუიცია წუთით შეჩერდე, მოკრძალებით მოეფერო დიდ მამულიშვილს. ეს წუთით... ირგვლივ კი შემინულ საამქროებში სიწყნარე და იშვიათი წესრიგი სუფევს. კონიაკის დამზადების დიდი ოსტატები ყველა თავის ადგილზე დგას და თავის საქმეს უხმაუროდ აკეთებს. ისეთი სიჩუმე და სიწყნარეა, გეგონება წარმოება დღეს ისვენებს. არადა, მუშაობა დუღს.

ღმერთო, ძლიერო! ამ არეულ-დარეულ დროში, ამ ქაოსში, ამ განუკითხაობასა და ძარცვა-გლეჯაში, ამ უწესრიგობაში თუ ვიქნმე ახერხებს თავდადგმულად საქმის კეთებას, აფერუმ მის ვაჟკაცობას!

და სწორედ ამ დაწესებულების ალაყაფის კარებიდანვე იგრძნობა, რომ აქაურობას თავიანი კაცი უდგას სათავეში. აქ თითქოს სულ სხვა სამყაროა.

დიახ, ეს თავიანი კაცი — უჭკვიანესი, წინგახედული, ალღოიანი, ორგანიზატორი და ქველმოქმედი, დიდი ეროვნული სულისკვეთებით ალსავსე უნიკალური პიროვნება გუჯა ბუბუტეიშვილია, ჰოდა ჩვენც მასთან მივდივართ...

ფართო სადღესასწაულო-საზეიმო კიბეები პატივისცემით განგაწყობთ მასპინძლების მიმართ. მეორე სართულის ბაქანზე ბატონი გუჯას მოადგილე შემოგვეგება, კაბინეტის კარები ფართოდ გაალო და პირდაპირ პრეზიდენტის წინაშე წარგვადგინა. ჩვენ კი უჩვეულო ვითარებაში შევესწარით მხატვარ გოგი გეგეჭკორის (შვილის) ფერწერული ნახატის პრეზენტაციას.



ფერწერული ტილო იყო დიდებული, უნიჭიერესად შესრულებული ყველა ვარიანტში; სულკურთხეულ სარაჯიშვილთან ერთად ალბეჭდილი იყვნენ ნიკო ნიკოლაძე და აკაკი ხოშტარია.

— სრულყოფილ ჰარმონიას ქმნიდა ფერთა გამა, კომპოზიცია და დინამიკურობა. იმდენად შთამბეჭდავი იყო და ცოცხალი ეს ტილო, რომ მომინდა მივსალმებოდი ამ დიდებულ მამულიშვილებს;

— გამარჯობათ, ბატონებო!..



ერთხანს ამ ფერწერული შედევრის ტყვეობაში ვიყავით. მხატვარს გამარჯვება მივულოცეთ, მასპინძლებს კი ამ განძის შეძენა. არც მე მივსულვარ ცარიელი ხელებით გუჯასთან. ჩემი წიგნი — „უშანგი“ მივართვი. თვითონაც გული გადაგვიშალა, — გაგვაცნო, რა ფიქრი და მიზნები ჰქონდა დაგეგმილი საიუბილეოდ ამ წელიწადში. მერე გაგვიღიმა და გვკითხა: — ამსიმორეს მარტო ჩემი ქარხნის სანახავად არ ჩამოხვიდოდით ალბათ, რით შემიძლია დაგეხმაროთ?..

მე გავშალე ჩემი თხოვნის არზა წერილობით და სიტყვიერად, თორემ დოდო ჭიჭინაძეს ხმა არ ამოუღია და არც დახმარება უთხოვია, ისე იღიმებოდა კეთილი ანგელოზივით.

ბატონი გუჯა, რა თქმა უნდა, დაგვეხმარა კიდეც და სტიპენდია-პენსიაც დაგვინიშნა მე და დოდოს. დაგვასაჩუქრა კიდეც თავისი ქარხნის ჩამოსხმულ-გამოშვებული კონიაკებით. ისე ლამაზად იყო შეფუთული, რომ მე უშანგის მუზეუმის ექსპოზიციაში საპატიო ადგილზე მაქვს გამოდგმული, — ესეც რეკლამაა!

ახლა ყოველ თვეში მე და დოდო დავსკუპდებით იმ ხრიგინა 11 ნომერ ტრამვაიზე და იალაჰ, მივგრიალებთ ავჭალაში — დახმარების მისაღებად.

— ისე, უსინდისო ხარ შენ, ნინიკო ჩხეიძე, მეუბნება გზაში ჩემი შვილი მაია.

— რაშია ჩემო ერთადერთო ნუგეშო საქმე აა? რა შემეშალა, აბა მითხარი?

— დაგავიწყდა დედა! რამხელა დახმარება გაუწია მარჯანიშვილის თეატრს 90-იან წლებიდან მოყოლებული ბატონმა გუჯამ?

— ამის დავიწყება როგორ შეიძლება შვილო... როცა მარჯანიშვილელთა ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგა და თეატრს დოტაცია აღარ ჰქონდა, რომ ახალი პიესები დაედგა ან 200 თანამშრომლისათვის ხელფასი ეძლია, ყოველგვარი თხოვნის გარეშე თვითონ გუჯა ბუბუტეიშვილი მივიდა ჩვენი თეატრის ხელმძღვანელობასთან და უთხრა:

— მე თქვენი თეატრის ზღაპრულ რეპერტუარზე ვარ გაზრდილი, და თუ ჩემი შვილები ვერ ნახავენ თქვენს უბადლო სპექტაკლებს, — რად მინდა მე ჩემი ქარხნის დიდი შემოსავალი? დაგეხმარებით!

ეს იყო დიდი სენსაცია მაშინ. ეს იყო უდიდესი მოვლენა! დიდხანს, ძალიან დიდხანს გვინახავდა ბუბუტეიშვილი ორასკაციან თეატრალურ დასს, ახალ დადგმებსაც აფინანსებდა.

1993 წელს ძალზე ავად გავხდი... ჩემი უშანგის დაბადების დღე იყო 28 ნოემბერი, მოღუშული წვიმიანი დღე, უპერსპექტივო და არაფრის მოლოდინით გულმოკლული — მე სიცხით გათანგული, მწოლიარე ჩემი სამზარეულოს ჭერს შევცქეროდი და ვოცნებობდი: ღმერთო მაღალო! რა იქნება, ჰქმენ სასწაული... ცა გაიხსნას და პირდაპირ გულზე დამეცეს ტუზი 100-თუმნიანთან ერთად... მომეცი რა, ღმერთო, ასი თუმანი!.. და მოხდა სასწაული... სამზარეულოს კარი გაიღო და თავზე ორმეტრიანი ბიჭები დამადგნენ, — ჩემი თეატრის დირექტორი გაიოზ კანდელაკი, ადმინისტრატორი ანზორ ურიდია და გუჯა ბუბუტეიშვილი. მომეფერნენ, უშანგის დაბადების დღე მომილოცეს (90 წლისთავი), გუჯამ „პაჭკით“ მილიონი კუპონი მაჩუქა, ჭაღარა თმები დამიკოცნეს და დამაიმედეს, კიდევ მოვალთო.

მილიონით?.. სად გაქრა ჩემი ავადობა და სიცხე. ფეხზე წამოვხტი, დავლური დავუარე. ვცეკვავ, თან ხელში მილიონიან „პაჩკას“ ვაბურთავებ და ვმღერი, ვაშაა... მილიონის პატრონი ვარ — მილიონის. მერე რა, რომ კუპონია... ერთხელ ხომ მაინც მაქცია გუჯა ბუბუტეიშვილმა მილიონერად, აა? შენ გენაცვალე ბიჭო... გზა და მომავალი დაგელოცოს, ბუბუტეიშვილო...

და მართლაც, დალოცვილია დღეს ბატონი გუჯა, ღმერთივით მუშაობს პრეზიდენტი ბუბუტეიშვილი: აფხაზეთიდან ლტოლვილ კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის თეატრსაც ინახავს და ჩემისთანა უმწეოებსაც დახმარების ხელს უწვდის.

თქვენ ჰეი, მავანნო და მავანნო, კევილეჭია, ფულიანო, ახლად გამომცხვარო ბიზნესმენებო, ხარბო მომხვეჭელებო, ისწავლეთ ბუბუტეიშვილისგან კაი კაცობა, ერის მომავლის გადარჩენის ნიჭი! დაეხმარეთ საქართველოს ამ ძნელბედობის დროს.

შეხედეთ ბუბუტეიშვილს — თქვენსავით დაცვით არ დადის, დაცხრილვით არავინ ემუქრება, არჩევნებში არ იქაჩება, „ზაგრანიცაში“ სახლებს არ ყიდულობს, ანტალიაში არ დადის, სასახლეებს არ იშენებს — საირმეზე და მთაწმინდაზე, და არც შვეიცარიის ბანკში შეაქვს მილიონები — შენ გაგიმარჯოს, შენ კაი ბიჭობას და კაცობას გაუმარჯოს, დიდო მემულიშვილო, ბატონო გუჯა!

უდიდესი პატივისცემით
**ნინო ჩხეიძე.**
**საქართველოს სახალხო არტისტი.**

**სურათებზე: დოდო ჭიჭინაძე და ნინო ჩხეიძე; მსახიობი მაია ტატიშვილი.**

თაობა

# სულით და გულით ამღერებული



**სადღეისოდ ჩვენს მუსიკალურ ცხოვრებაში მწვავედ დგას საბავშვო მუსიკის პრობლემა. მაშინ, როცა ქართულ ესტრადაზე პატარა „ვარსკვლავების“ უზომო მოჭარბებაა, სიმღერათა ნიაღვარში ძალიან ჭირს ჭეშმარიტად ღირებულის, სრულფასოვანის გამორჩევა. სიმღერას, ამ მცირე ფორმის ჟანრს, ბევრი ეტანება, სამწუხაროდ, ისინიც, ვისაც გემოვნებიანი, სახოვანი მელოდიური აზროვნება არ ხელეწიფება. რას მღერიან და როგორ ასწავლიან, ამაზე საუბარი სამომავლოდ გადავდოთ. ამჯერად ერთ ახალგაზრდა შემოქმედს გაგაცნობთ, რომელიც სწორედ ამ მუსიკალურ ჟანრში ცდის ბედს.**

ხატია დათუნაშვილი საკომპოზიციო ნიჭით არის დაჯილდოებული, წერს საბავშვო სიმღერებს, — უმეტესად საკუთარ ლექსებზე. პოეზიისა და მუსიკის სიყვარულმა 17 წლის გოგონას უკვე ორმოცამდე სიმღერა დააწერინა. ამ სიმღერებს სიამოვნებით ასრულებენ მაგალითად თბილისის 49-ე საშუალო სკოლასთან არსებული ხელოვნების სტუდიისა (პედაგოგი მაია ნებიერიძე) და საერო სკოლის „ბინულის“ მოსწავლეები. ხატიას სიმღერებს ბავშვები ხალისით ასრულებენ ალბათ იმიტომაც, რომ მათში არ იგრძნობა უცხოურისადმი ბრმა მიმბაძველობა, ისინი გამოირჩევიან მელოდიურობითა და რაც მთავარია, ქართული ინტონაციებით.

ამას წინათ ხატია დათუნაშვილის ლექსები და სიმღერები აჟღერდა მოსწავლე-ახალგაზრდობის რესპუბლიკურ სასახლეში, სადაც ქართული ლიტერატურის კაბინეტის (პედაგოგი ქეთევან არზიანი) თაოსნობით მისი შემოქმედებითი საღამო გაიმართა. ყმაწვილებმა დიდი მონდომებით აახმიანეს სიმღერები „ფოთლების ვალსი“, „თოჯინა“, „პეპლები“, „ჯადოსნური ღამე“, „მღუმარე საღამო“, „სიმღერები თბილისზე“... შთამბეჭდავად გაიჟღერა ხატიასა და თბილისის მუსიკალური თეატრის სოლისტთან, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტ ანზორ ნებიერიძესთან (ხატიას ბაბუა) ერთად შესრულებულმა სიმღერამ „შენმა სიყვარულმა“.

საღამოს ესწრებოდნენ სტუმრებიც. აი მათი აზრი:

**დავით ტურიაშვილი,** კომპოზიტორი: მადლობა ხატიას, მადლობა ბავშვებს, რომლებმაც ალალად მოიტანეს ამ საღამოზე ნიჭი, ემოცია, სიყვარული, ვისურვებდი ასეთი ლამაზი და მშვენიერი დღეები ბევრი ჰქონოდეთ.

**მაია დათუნაშვილი,** მუსიკათმცოდნე: ხატიას სიმღერებს არაჩვეულებრივი სილაღე და ინტონაცია გამოარჩევს, ჩემი რჩევაა, იგი არ აჰყვეს მოდას, ფეხის ხმას და შეინარჩუნოს მისთვის დამახასიათებელი თვისებები.

**მერაბ მერაბიშვილი,** კომპოზიტორი: მადლობა იმათ, ვინც ახალგაზრდა შემოქმედის სიმღერები მოგვასმენინა. ეს იყო სულით და გულით ამღერებული ქართული სიტყვა.

**რუსუდან მუხაძე.**

**სურათზე: ხატია დათუნაშვილი.**

მუსიკა

# მიეძღვნა ღირსშესანიშნავ თარიღებს

**ქართული მუსიკის ისტორიის ღირსშესანიშნავ თარიღებს — ზაქარია ფალიაშვილის დაბადების 130 წლისთავსა და თბილისში საოპერო თეატრის გახსნის 150 წლისთავს მიეძღვნა სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც ამ დღეებში გამართა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში მუსიკის ისტორიის კათედრამ.**

კონფერენცია წარმოდგენილი იყო სამი თემატიკური რუბრიკით: ზაქარია ფალიაშვილი და ქართული მუსიკისმცოდნეობა, საოპერო და საბალეტო სპექტაკლების ქრონიკიდან და შემოქმედებითი პორტრეტები.

კონფერენცია გახსნა კონსერვატორიის პრორექტორმა რუსუდან წურწუმიამ, ხოლო შესავალი სიტყვა წარმოთქვა მუსიკის ისტორიის კათედრის გამგემ მარინა ქავთარაძემ.

მოხსენებით „ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“ ქართულ მუსიკისმცოდნეობაში“ მსმენელთა წინაშე წარსდგა რუსუდან ქუთათელაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ დიდი კომპოზიტორის შესახებ არსებული ცნობილი წიგნების მიუხედავად, მისი მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობა კვლავაც მოითხოვს ღრმა კვლევას. აღინიშნა ცნობილი ლიტერატორის ილია ზურაბიშვილის — ფალიაშვილის ოპერის პირველი სერიოზული მკვლევარის — როლი.

კვლევის სიღრმითა და საინტერესო დაკვირვებებით გამოირჩეოდა მ. ქავთარაძის მოხსენება — „აბესალომ და ეთერის“ მითოსური არქეტიპი“.

საინტერესო პარალელები ქართველ მწერალთა და ფალიაშვილის შემოქმედებაში ტრაგედიის რომანტიკულ კონცეფციებს შორის გაავლო მუსიკისმცოდნე გვანცა ღვინჯილიამ თავის მოხსენებაში.

ყურადღებით იქნა მოსმენილი თამარ წულუკიძის, მარა კირაკოსოვას, დოდო ხურცილავას, ეკა ბუჩუკურის, ნატო ელენტის მოხსენებები, რომლებიც მიეძღვნა ჩვენი თეატრის საოპერო და საბალეტო სპექტაკლების დადგმების ისტორიას.

გულბათ ტორაძემ თავისი გამოსვლა მიუძღვნა გამოჩენილ მომღერალს ბათუ კრავეიშვილს. მან აღნიშნა, რომ მისი წიგნი „Незабываемое“ (1970) სცილდება საკუთრივ ავტობიოგრაფიულ ფარგლებს და ფაქტობრივად წარმოადგენს ჩვენი საოპერო თეატრის თავისებურ ისტორიულ მატიანეს (30-60-იან წლები).

ინფორმაციით მდიდარი და საინტერესო მასალა წარმოადგინა სოლო სიმღერის კათედრის დოცენტმა ვალერი აჩბამ, რომელიც შეეხო ქართველი მომღერლების წარმატებულ მოღვაწეობას საზღვარგარეთის თანამედროვე საოპერო სცენებზე. ლალი კაკულიამ ისაუბრა დიდი დამსახურების მქონე, მაგრამ, სამწუხაროდ დღეს უკვე თითქმის მივიწყებული მომღერლის — თამარ ლაპიაშვილის შესახებ.

თემატიკურად მდიდარმა და შინაარსიანმა კონფერენციამ მსმენელთა მოწონება დაიმსახურა. სასურველი იქნებოდა გვენახა დაბეჭდილი სახით მისი მასალები.

კონფერენციის დასასრულ კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართა საიუბილეო თარიღებისადმი მიძღვნილი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ჩვენმა ცნობილმა მუსიკოსებმა და კონსერვატორიის სტუდენტებმა.

**ეკატერინე დიასამიძე,**
**თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკისმცოდნეობა-საკომპოზიტორო ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი.**

ღირსეული

# არქივარიუსის გზა



**რატომ გამახსენდა ამ გაზაფხულზე ქალბატონი ნათელა ლაშხია?**

**მე იგი ახალგაზრდა და ნათელღიმილიანი მახსოვს, საქართველოს თეატრის, მუსიკისა და კინოს 2002 წლის კალენდარში კი მისი საიუბილეო თარიღი — 80 წელია აღნიშნული!**

მართალია, მან შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი დაამთავრა, მაგრამ სცენაზე მეტად მის მოწოდებად სამეცნიერო-კვლევითი სამუშაო იქცა, — ჯერ თეატრალური ინსტიტუტის თეატრმცოდნეობის კაბინეტში მუშაობდა (50-იანი წლები), 1957 წლიდან კი საქართველოს თეატრის, მუსიკისა და კინოს სახელმწიფო მუზეუმშია თავიდან როგორც არქივარიუსი, შემდგომ კი მეცნიერ-თანამშრომელი და თეატრის განყოფილების ხელმძღვანელი, ავტორია არაერთი თეატრალური რეცენზიისა, ბუკლეტისა და წიგნისა („მსახიობის თეატრი“ 1968 წ.) გ. ბუხნიკაშვილთან და („ცხინვალის თეატრი“ 1980 წ.) თ. მეშველდესთან ერთად. გარდა ამისა, დაინტერესებულ პირთ შეუძლიათ მუზეუმში გაეცნონ მის სამეცნიერო შრომებს „ცხაკაიას თეატრი“, „თბილისის წითელი თეატრი“, „თბილისის მუშათა თეატრი“, „თბილისის მუშა-ახალგაზრდობის თეატრი“, ქალბატონი ნათელა ხელმძღვანელობს მუზეუმის ყოველწლიური „საიუბილეო თარიღების“ შედგენას. თბილისისა და საქართველოს სხვა თეატრების რეპერტუარის ნუსხაც მისი შედგენილია — ეს კი შრომატევადი, მაგრამ უხმაურო საქმეა.

... უხმაურო საქმეც ფასდება თურმე, — იგი ღირსების ორდენოსანია.

**ნანა ღვინეფაძე.**

სარედაქციო კოლეგია:
გურამ გოგიაშვილი, ნანა ღვინეფაძე (რედაქტორი),
რუსუდან მუხიგულაშვილი, ზურაბ ოიკაშვილი, ვაჟა ძიგუა.

...იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

# პაციენტის უფლებები

შაბათი, 4 მაისი, 2002 წელი.

საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს ბიოეთიკისა და ჯანმრთელობის დაცვის სამართლებრივი საკითხების შემსწავლელი საზოგადოების გაზეთი

№4

## პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და კონფიდენციალობა - საექიმო საქმიანობის სამართლებრივი ნორმა

ჩვენი ქვეყნის უზენაეს კანონში – საქართველოს კონსტიტუციაში გაცხადებულია, რომ „ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან ... არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი, თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად“ (მუხლი 41.1).

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონის 42-ე მუხლის თანახმად, მედიცინის მუშაკი და სამედიცინო დაწესებულების ყველა თანამშრომელი მოვალეა დაიცვას სამედიცინო (საექიმო) საიდუმლო.

კანონში „პაციენტის უფლებების შესახებ“ მითითებულია, რომ „სამედიცინო მომსახურების გამწევი ვალდებულია პაციენტის შესახებ მის ხელთ არსებული ინფორმაციის კონფიდენციალობა დაიცვას როგორც პაციენტის სიცოცხლეში, ისე მისი სიკვდილის შემდეგ (მუხ. 22).

ამრიგად:

⇒ ნებისმიერმა მოქალაქემ ყოველგვარი ყოყმანის გარეშე შეუძლია მოსთხოვოს ექიმს, ისევე, როგორც სხვა სამედიცინო პერსონალს, საიდუმლოდ შეინახონ ყველაფერი, რაც კი ამ უკანასკნელთათვის გახდა ცნობილი მისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევისას;

⇒ საექიმო საიდუმლოების შენახვა ექიმის არა მარტო ზნეობრივი, არამედ კანონმდებლობით გათვალისწინებული მოვალეობაა.

## ვის და რა შემთხვევაში შეიძლება გაუმჟღავნდეს ინფორმაცია პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ?

[illegible]

... ლი, მეგობარი, თუ მეზობელი, თავს მოვალედ თვლის მიიღოს ექიმისაგან ეს ინფორმაცია. როგორც წესი, ასეთ შემთხვევებში პაციენტს არავინ ეკითხება, სურს თუ არა მას ამ ინფორმაციის გამჟღავნება, ხომ არ თვლის ამას იგი თავისი ღირსებისა და პატივის შეურაცხმყოფელად. იმავდროულად, ... მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

აქვე იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ (მუხლი 42) საქართველოს კანონის მიხედვით პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება პაციენტის ... სამედიცინო მომსახურების გამწევის მიერ სამედიცინო მომსახურებაში მონაწილე სხვა პირებისათვის პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებაზე პაციენტის თანხმობა ნაგულისხმევად უნდა ჩაითვალოს“ (მუხლი 28, პუნქტი 2).



## კიდევ რას გულისხმობს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა?

[illegible]

... ლი პაციენტისათვის სამედიცინო დახმარების გაწევასთან. „პაციენტის უფლებების შესახებ“ კანონის 30-ე მუხლში მითითებულია, რომ „სამედიცინო მომსახურების გაწევისას დასაშვებია მხოლოდ მასში უშუალოდ მონაწილე ...

ბ) საფრთხე ექმნება პაციენტის ოჯახის წევრთა ჯანმრთელობას ან/და სიცოცხლეს.

პაციენტის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან დაკავშირებული კიდევ ერთი ზედმიწევნით მტკივნეული საკითხია ...

ამასთან პაციენტს შეუძლია წინასწარ დაასახელოს პირი, რომელიც მისი უგონო მდგომარეობაში აღმოჩენის შემთხვევაში მიიღებს გადაწყვეტილებას მისთვის სამედიცინო მომსახურების აღმოჩენის შესახებ.

## სპეციფიკური კონტინგენტის უფლებები



კანონი იცავს სპეციფიკური, მოწყვლადი ჯგუფების უფლებებს. აქ იგულისხმებიან ორსული და მეძუძური დედები, არასრულწლოვანები, აგრეთვე პატიმრები. ამ ჯგუფების წარმომადგენლები სარგებლობენ ყველა ზემოთ ნახსენები უფლებებით, მაგრამ მათ აქვთ გარკვეული დამატებითი უფლებებიც.

### ორსული და მეძუძური ქალის უფლებები

*მუხლი 131. (კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“)*

1. შრომითი საქმიანობის იმ სახეების ჩამონათვალს, რომლითაც არ შეიძლება იყოს დაკავებული ორსული ქალი და მეძუძური დედა, აგრეთვე შრომითი საქმიანობის შეწყვეტის ვადებს მშობიარობამდე და მშობიარობის შემდეგ, განსაზღვრავს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დაცვის, შრომის და დასაქმების სამინისტრო.

2. აღნიშნული ვადების განმავლობაში ანაზღაურება უნდა განხორციელდეს დადგენილი წესის მიხედვით.

*მუხლი 132.*

1. სახელმწიფო ხელს უწყობს უსაფრთხო დედობას, საწარმოებსა და დაწესებულებებში ბავშვთა მოვლისათვის საჭირო პირობების შექმნისა და დაფინანსების კანონმდებლობით უზრუნველყოფას, დედათა და ბავშვთა უფლებების დაცვის აუცილებლობის შესახებ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას;

2. ორსული ქალების სამედიცინო მეთვალყურეობას, მშობიარობის და მშობიარობის შემდგომი სამედიცინო დახმარებას უზრუნველყოფს სახელმწიფო სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის გზით. კერძო სექტორში ორსული ქალების მეთვალყურეობა და მშობიარობის ფინანსური უზრუნველყოფა შეიძლება განხორციელდეს კერძო სამედიცინო დაზღვევის მეშვეობით.

## ინფორმირებული თანხმობა პაციენტის სასწავლო ობიექტად გამოყენებისას

უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების სტუდენტების განსწავლისათვის კლინიკურ დისციპლინებში (თერაპია, ქირურგია და ა.შ.) აუცილებელია მათი აქტიური მონაწილეობა პაციენტის გამოკვლევისა და მკურნალობის პროცესში. იგივე ეხება უკვე დიპლომირებულ ექიმებს, რომელნიც კვალიფიკაციის ასამაღლებლად (ამა თუ იმ სამკურნალო თუ სადიაგნოზო მეთოდის ასათვისებლად, ცოდნის გასაღრმავებლად, უნარ-ჩვევების სრულყოფისათვის) სათანადო სასწავლო კურსს გადიან (ე.წ. „ექიმთა დახელოვნება“, ამჟამად – „უწყვეტი სამედიცინო განათლება“). ოდითგანვე ითვლებოდა და დღესაც ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ მედიცინა ავადმყოფის საწოლთან ისწავლება. მომავალი ექიმის განსწავლის, აგრეთვე, დიპლომის უკვე მქონე სპეციალისტის შემდგომი დახელოვნებისა და ცოდნის გაღრმავების აუცილებელი პირობაა საგანმანათლებლო პროცესში პაციენტის „გამოყენება“, განსასწავლის უშუალო კონტაქტი პაციენტთან, აქტიური მონაწილეობა სხვადასხვა სახის სამედიცინო ჩარევაში. ცხადია, ასეთ შემთხვევებში პაციენტი სწავლების ობიექტად გვევლინება, რაც მისთვის ზოგ შემთხვევაში გარკვეულ უხერხულობასთან ან დისკომფორტთან შეიძლება იყოს დაკავშირებული. მაგალითისათვის საკმარისია გავიხსენოთ სიტუაცია, როდესაც მკურნალი ექიმის მიერ პაციენტის გასინჯვას ესწრება სტუდენტი ან სტუდენტები. ეს უკანასკნელნი ექიმთან ერთად ისმენენ პაციენტის გულს, ფილტვებს, სინჯავენ მუცლის ღრუს ორგანოებს, მონაწილეობენ ამა თუ იმ გამოკვლევის ჩატარებაში, სამკურნალო ჩარევის განხორციელებაში.

არის კი ყოველთვის მისაღები პაციენტისათვის უცხო პირების დასწრება სამედიცინო ჩარევის დროს? ცხადია, არა. ამავე დროს ჩვენში დამკვიდრებული ტრადიციის შესაბამისად, ითვლებოდა, რომ პაციენტის თანხმობა სწავლების პროცესში მონაწილეობაზე უპირობო უნდა იყოს. პაციენტის აზრს, შემთხვევების დიდ უმრავლესობაში ანგარიშს არ უწევდნენ ხოლმე, რის არგუმენტად ზემოთ მითითებული გარემოებები დასახელდებოდა ხოლმე.

სადღეისოდ ბიოსამედიცინო ეთიკაში და ჯანმრთელობის დაცვის სფეროს კანონმდებლობაში სრულიად განსხვავებული პრინციპია დამკვიდრებული. სასწავლო პროცესმა არ უნდა შელახოს პაციენტის უფლებები. ტაქტიანი, პაციენტის მიმართ კეთილგანწყობილი ექიმი ყოველთვის მოახერხებს პაციენტთან გასაუბრებისას მისი ნებაყოფლობითი თანხმობის მოპოვებას სასწავლო პროცესში მონაწილეობაზე, მისთვის სადიაგნოზო თუ სამკურნალო პროცედურის ჩატარებისას სტუდენტებისა თუ მსმენელების დასწრებაზე. პაციენტი ასეთ შემთხვევებში ერთგვარი „მოხალისე“, პროცესის თანამონაწილე უნდა იყოს და არა ექიმის იმპერატივს დამორჩილებული სასწავლო ობიექტი.

ზემოთ მოხსენიებულ შემთხვევებშიც (პაციენტის გამოყენება სასწავლო ობიექტად) აუცილებელია პაციენტის ინფორმირებული თანხმობა (კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“, მუხლი 26, პუნქტი 1). თანხმობა არ არის საჭირო მხოლოდ მაშინ, თუ სასწავლო მიზნით გამოიყენება პაციენტის სამედიცინო დოკუმენტაციაში არსებული ინფორმაცია, რომელიც არ იძლევა პაციენტის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას, ან თუ გამოიყენება მკურნალობისა და დიაგნოსტიკის პროცესში მიღებული მასალა (შარდი, სისხლი, სხვა ბიოლოგიური მასალა) და უზრუნველყოფილია პაციენტის ანონიმურობა.

კიდევ ერთი გარემოება, რომელსაც ხაზი უნდა გაესვას ის არის, რომ სამედიცინო სამეცნიერო პერიოდულ გამოცემებში ხშირად ქვეყნდება მონაცემები იშვიათი დაავადებების მქონე პაციენტების, ან დაავადებათა თავისებურებების, საცვლილებებისა და ა.შ. შესახებ. ამ სახის პუბლიკაციების საგანმანათლებლო და სამეცნიერო მნიშვნელობა და, შესაბამისად, მათი საჭიროება აგრეთვე არ იწვევს ეჭვს; ეს აუცილებელი პირობაა მედიცინის პროგრესისათვის, სპეციალისტთა პროფესიული დონის ამაღლებისათვის. ასეთ შემთხვევაში კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“ (მუხლი 28, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „გ“) ნებას აძლევს ექიმს, საზოგადოებას გააცნოს კონკრეტული პაციენტის ან პაციენტთა ჯგუფის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მასალა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „...მონაცემები ისეა წარმოდგენილი, რომ შეუძლებელია პიროვნების იდენტიფიკაცია“. წინააღმდეგ შემთხვევაში ისევ და ისევ პაციენტის თანხმობაა აუცილებელი.

## პატიმრების უფლებები

წინასწარ პატიმრობაში ან სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში მყოფი პირისათვის სამედიცინო დახმარება, მათ შორის შიმშილობის დროს, დასაშვებია მხოლოდ მისი ინფორმირებული თანხმობის შემთხვევაში (კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, მუხლი 13).

ექიმი მოვალეა წინასწარ პატიმრობაში ან სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში მყოფ პირს სამედიცინო დახმარება გაუწიოს მხოლოდ მისი ინფორმირებული თანხმობის მიღების შემდეგ, გარდა გადაუდებელი და სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობისა, როცა თანხმობის მიღება შეუძლებელია პაციენტის მძიმე მდგომარეობის გამო. ექიმი, აგრეთვე, მოვალეა უარი თქვას ისეთ ჩარევაზე, რომელიც ეწინააღმდეგება სამედიცინო და ეთიკურ ნორმებს (კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, მუხლი 44). კანონი უკრძალავს ექიმს ისეთ ჩარევაში მონაწილეობის მიღებას, რომელიც ეწინააღმდეგება სამედიცინო და ეთიკური ნორმებს.

აკრძალულია სისხლის და სისხლის კომპონენტების აღება წინასწარ პატიმრობაში და სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში მყოფი პირისაგან (კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ მუხლი 129.1).

## სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევა

სამედიცინო მეცნიერების განვითარების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა ადამიანის კვლევა. ამავე დროს, სამეცნიერო კვლევის ჩატარება ადამიანზე ამ უკანასკნელისათვის ზოგ შემთხვევაში რისკთან, ხშირად კი მეტ-ნაკლებად გამოხატულ დისკომფორტთან არის დაკავშირებული. როგორ უნდა შეფასდეს ასეთი კვლევის ჩატარების საჭიროება? სად გადის ზღვარი მეცნიერებისა და პიროვნების ინტერესებს შორის? მათ შორის რომელია უპირატესი? რა ეთიკური პრინციპებით უნდა იხელმძღვანელოს მკვლევარმა? მკვლევარისა მეცნიერისა და კვლევის სუბიექტის ურთიერთობის როგორი მოდელი მიესადაგება ღია, სამოქალაქო, დემოკრატიულ საზოგადოებას?

ჩვენი საუკუნის მეორე ნახევარში ამ პრობლემებს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო. ამისი მიზეზი გახდა მეორე მსოფლიო ომის დროს ნაცისტი ექიმების მიერ საკონცენტრაციო ბანაკებში ტყვეებზე წარმოებული სამედიცინო ექსპერიმენტები. 1947 წელს ნიურნბერგში საერთაშორისო ტრიბუნალმა ნაცისტი დამნაშავეები გაასამართლა. 1946-47 წლებში ჩატარებული პროცესების ერთ-ერთი შემადგენელი იყო ე.წ. „ექიმების სასამართლო“, რომელზეც გამომზეურებული ფაქტები შემზარავი იყო. ათასობით ტყვე დაიღუპა ნაცისტი ექიმების მიერ სამედიცინო ექსპერიმენტების წარმოებისას. მნიშვნელოვანწილად სწორედ ეს ფაქტები გახდა სტიმული იმისათვის, რომ კაცობრიობას ახლებურად მოეაზრებინა ექიმისა და პაციენტის, მკვლევარისა და კვლევის სუბიექტის ურთიერთობასთან დაკავშირებული სირთულეები და საშიშროებანი, ამ ურთიერთობის ეთიკური და სამართლებრივი რეგულირების აუცილებლობა. საერთაშორისო საზოგადოებრიობამ, აგრეთვე, მთავრობებმა გაიცნობიერეს, რომ ადამიანზე წარმოებული სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევისას ადვილად შეიძლება შეილახოს ადამიანის ძირითადი, ბუნებითი უფლებები – უფლება სიცოცხლეზე და ჯანმრთელობაზე, აგრეთვე, მისი ღირსება და ავტონომია. სწორედ ამისი შედეგი იყო სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები, დეკლარაციები, კონვენციები, აგრეთვე, განვითარებულ ქვეყნებში მიღებული საკანონმდებლო ნორმატიული აქტები. სწორედ ჩვენი საუკუნის მეორე ნახევარში გამოჩნდა დოკუმენტები, რომელთაც ფუძემდებელი როლი შეასრულეს ადამიანზე ჩატარებული სამეცნიერო კვლევის ეთიკური სტანდარტების ჩამოყალიბებაში, შესაბამისი ნაციონალური კანონების მომზადებაში.

პირველი ასეთი დოკუმენტია „ნიურნბერგის კოდექსი“, რომელიც 1947 წლის აგვისტოში შეიქმნა ნიურნბერგში „ექიმების სასამართლოს“ დროს. მის ავტორები არიან ლეო ალექსანდერი (ავსტრიელი წარმოშობის ამერიკელი ექიმი), ვერნერ ლაიბრანდი (გერმანელი ფსიქიატრი და მედიცინის ისტორიკოსი და ენდრიუ ივი – ფიზიოლოგი, რომელმაც ამერიკის სამედიცინო ასოციაციის თხოვნით მანამდე მოამზადა დოკუმენტი „ადამიანზე ექსპერიმენტების ჩატარების ეთიკური პრინციპები“. პირველი ორი ექიმების სასამართლოში მონაწილეობდა როგორც სამედიცინო ექსპერტები. კოდექსის მომზადების სტიმულად ის გარემოება იქცა, რომ ნაცისტი ექიმების დამცველთა (ადვოკატების) ძირითადი არგუმენტი ის იყო, რომ ბრალდებულებს არ დაურღვევიათ გერმანიის მაშინდელი კანონმდებლობა. ამასთან, ხაზი ესმებოდა იმ გარემოებასაც, რომ არ არსებობდა არც ერთი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრული იქნებოდა ადამიანზე ჩატარებული სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევის წესები.

ნიურნბერგის კოდექსის პირველივე მუხლში აღნიშნულია:

„1. ადამიანის ნებაყოფლობითი თანხმობა აუცილებელია.

ეს ნიშნავს, კვლევაში ჩართული პირის თანხმობის აუცილებელი პირობაა მისი ქმედუნარიანობა; ამასთან, ძალმომრეობის, თაღლითობის, მოტყუების, თავისუფლების აღკვეთის, ეშმაკობის ან იძულების, ან ძალდატანების სხვა ფორმებს მოკლებული გარემო მას თავისუფალი არჩევანის საშუალებას უნდა აძლევდეს. გაცნობიერებული გადაწყვეტილების მისაღებად კარგად უნდა იცოდეს და გააზრებული ჰქონდეს კვლევაში მონაწილეობის არსი. ეს უკანასკნელი გულისხმობს, რომ კვლევის სუბიექტს მის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა ეცნობოს ექსპერიმენტის ბუნების, ხანგრძლივობის და მიზნების, მეთოდების და საშუალებების, კვლევასთან დაკავშირებული მოსალოდნელი დისკომფორტის და საშიშროების, ექსპერიმენტში მონაწილეობის შესაძლო გავლენის შესახებ მის ჯანმრთელობაზე და პიროვნებაზე.“

მიუხედავად იმისა, რომ ნიურნბერგის კოდექსი არც ერთ ქვეყანაში არ არის აღიარებული, როგორც კანონი ან ეთიკური კოდექსი, მან დიდი გავლენა მოახდინა ბიოსამედიცინო სფეროში ადამიანის უფლებების ამსახველი კანონმდებლობისა და სამედიცინო ეთიკის პრინციპების ჩამოყალიბებაზე. ამ დოკუმენტის გარდა მომზადდა და გამოქვეყნდა საერთაშორისო ორგანიზაციების სხვა დოკუმენტებიც, სახელდობრ: მსოფლიო სამედიცინო მეცნიერებების საერთაშორისო ორგანიზაციების საბჭომ 1982 წელს გამოაქვეყნეს ერთობლივად მომზადებული „საერთაშორისო რეკომენდაციები ადამიანზე ჩატარებული სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევისათვის“. ამავე ორგანიზაციების მიერ 1991 წელს მომზადდა „საერთაშორისო სახელმძღვანელო პრინციპები ეპიდემიოლოგიური კვლევებისათვის“. და ბოლოს, 1997 წელს გამოქვეყნდა ევროპის საბჭოს კონვენცია „ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ“. ისიც აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი ოფიციალური საერთაშორისო დოკუმენტი რატიფიცირებული იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ და ძალაში შევიდა ჩვენს ქვეყანაში 2000 წლის პირველი მარტიდან. მკითხველს შესაძლოა ახსოვს, რომ მოხსენიებული კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმის სრული ტექსტი გამოქვეყნდა ჩვენი საზოგადოების პუბლიკაციების სერიაში (იხ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2001 წლის 21 ივნისი).

რა არის გაცხადებული საქართველოს კანონმდებლობაში ადამიანზე ჩატარებული სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევის თაობაზე?

ჩვენში 1997 წლამდე არ არსებობდა არავითარი სამართლებრივი მექანიზმი კვლევის ობიექტის უფლებების დაცვისათვის, გარდა ახალი სამკურნალწამლო პრეპარატების გამოცდასთან დაკავშირებული საკითხებისა, რომლებსაც არეგულირებს 1995 წელს მიღებული კანონი „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“. ზოგადად სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევის საკითხებს პირველად შეეხო საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ (მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 1997 წლის დეკემბერში). მის ერთ-ერთ თავში (XIX, „სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევა“) გაცხადებულია ადამიანზე ჩატარებული სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევის ძირითადი პრინციპები.

კანონში მითითებულია, რომ „კვლევის ობიექტის ინტერესები და კეთილდღეობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მეცნიერებისა და საზოგადოების ინტერესები. კვლევის რისკი შემცირებული უნდა იქნეს მინიმუმამდე. რისკი არ უნდა აჭარბებდეს კვლევის ობიექტისათვის მოსალოდნელ სარგებლიობას და/ან კვლევის მიზნების მნიშვნელობას (კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, მუხლი 108).

ეს დებულება გარკვეულწილად დეკლარაციულ ხასიათს ატარებს, მაგრამ სრულად ასახავს სამედიცინო-ბიოლოგიურ კვლევაში კვლევის ობიექტად ადამიანის მონაწილეობის კონცეფციურ საფუძველს:

ამრიგად სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევა უნდა ჩატარდეს დადგენილი წესით. კვლევა უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს, რომელთა მიზანია კვლევის ობიექტის უფლებების და ღირსების დაცვა, მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ეს წესები განსაზღვრულია საქართველოს კანონით „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“.



სახელდობრ რა წესებზეა საუბარი?

1. ადამიანზე წარმოებული სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევის მიზნები, ამოცანები, მეთოდები, მოსალოდნელი შედეგები და კვლევის რისკი მითითებული უნდა იყოს კვლევის სამეცნიერო გეგმაში. ნებისმიერი კვლევა უნდა ჩატარდეს ამ გეგმის ფარგლებში (მუხლი 108).

2. კვლევის სამეცნიერო გეგმა განხილული და რეცენზირებული უნდა იქნეს მკვლევარისა და დამფინანსებლისაგან დამოუკიდებელი სპეციალური კომისიის და ბიოეთიკის კომიტეტის მიერ (მუხლი 107).

3. ისევე, როგორც ნებისმიერი სამედიცინო ჩარევისას, სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევის ჩატარების აუცილებელი პირობაა მასში მონაწილე პირის ინფორმირებული თანხმობა. ეს ნიშნავს, რომ კვლევის დაწყებამდე „სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევის ობიექტს წინასწარ უნდა მიეწოდოს სრული ინფორმაცია კვლევის მიზნების, მეთოდების, მოსალოდნელი შედეგების, კვლევის რისკის და მასთან დაკავშირებული შესაძლო დისკომფორტის შესახებ. სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევა არ უნდა ჩატარდეს მასში მონაწილე პირის წერილობით გაფორმებული ინფორმირებული თანხმობის გარეშე. ადამიანს, როგორც სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევის ობიექტს, აუცილებლად უნდა ეცნობოს მისი უფლების შესახებ უარი თქვას კვლევაში მონაწილეობაზე კვლევის ნებისმიერ ეტაპზე, მიუხედავად მის მიერ წინასწარ გაცხადებული თანხმობისა“ (კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ (მუხლი 109);

4. ქმედუუნარო ან გაცნობიერებული გადაწყვეტილების უნარის მოკლებული პაციენტის ჩართვა სამეცნიერო კვლევის პროცესში დასაშვებია მხოლოდ მისი წინასწარ გაცხადებული ნების (როცა მას ჰქონდა გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი) გათვალისწინებით, ხოლო ამ უკანასკნელის არარსებობისას – მისი ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობით (მუხლი 110).

გათვალისწინებულია კვლევისას ორსულების და მეძუძური დედების უფლებებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა. „ამ კონტინგენტის წარმომადგენელი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევის ობიექტი, თუ მოსალოდნელია, რომ კვლევის შედეგები ამ პირისთვის პირდაპირი და მნიშვნელოვანი სარგებლობის მომტანი იქნება ან მოსალოდნელია, რომ კვლევის შედეგები ამ პირის ჯანმრთელობისთვის პირდაპირი სარგებლობის მომტანი არ იქნება, მაგრამ სარგებლობას მოუტანს ამავე კატეგორიის სხვა პირებს და როცა მსგავსი მეცნიერული შედეგების მიღება შეუძლებელია სხვა კატეგორიის პირების გამოკვლევისას (მუხლი 111)“. ცხადია, რომ ამ შემთხვევებშიც კანონი ითვალისწინებს კვლევის ობიექტისაგან ინფორმირებული თანხმობის მიღების აუცილებლობას.

სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევაში პატიმრების გამოყენების გადაწყვეტილების მიღებისას შედარებით ადვილია მათზე ზემოქმედების მოხდენა კვლევაში მონაწილეობაზე დასათანხმებლად. სწორედ ამიტომ აქვს დათმობილი კანონში განსაკუთრებული ყურადღება ამ კატეგორიის პირების უფლებების დაცვას. სახელდობრ, აღნიშნულია, რომ სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში მყოფი პირები სარგებლობენ კანონში გაცხადებული ყველა უფლებით (ინფორმაციის მიწოდება, ინფორმირებული თანხმობა და ა.შ.), გარდა ამისა, კანონში მოცემულია მნიშვნელოვანი დათქმა, რომლის მიხედვითაც მათი მონაწილეობა სამედიცინო-ბიოლოგიურ კვლევაში დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ კვლევის შედეგები ამ პირების ჯანმრთელობისთვის პირდაპირი და მნიშვნელოვანი სარგებლობის მომტანი იქნება (მუხლი 112).

ამრიგად, პატიმარი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გახდეს სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევის ობიექტი, როცა არსებობს იმისი გარანტია, რომ ეს კვლევა სასარგებლო იქნება მისი ჯანმრთელობისათვის.



## არასრულწლოვანთა უფლებები

საქართველოს კანონმდებლობა კრძალავს არასრულწლოვანისაგან ორგანოს ან ქსოვილების აღებას სხვა პირისათვის გადანერგვის (ტრანსპლანტაციის) მიზნით. გამონაკლისი დაშვებულია ისეთი ორგანოს აღებისას, რომელსაც რეგენერაციის, ანუ აღდგენის უნარი გააჩნია და რომლის აღებაც საფრთხეს არ შეუქმნის დონორის ჯანმრთელობას. ასეთ ქსოვილებს განეკუთვნება ძვლის ტვინი, სისხლი და სისხლის კომპონენტები. თუმცა ამ შემთხვევაშიც დაცული უნდა იქნეს გარკვეული პირობები. არასრულწლოვანისაგან (გარდა მცირეწლოვანისა) ძვლის ტვინის აღება სხვა ადამიანისათვის გადასანერგად დასაშვებია, თუ „ძვლის ტვინის აღება არ იმოქმედებს დონორის ჯანმრთელობაზე, რასაც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად დაადასტურებს ორი სათანადო ლიცენზიის მქონე ექიმი და ძვლის ტვინი გადასანერგად განკუთვნილია დონორის პირველი ან მეორე რიგის გენეტიკური ნათესავისათვის, რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობა სიცოცხლისათვის საშიშია და არ არსებობს მკურნალობის სხვა საშუალება“ (კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ მუხლი 117.1). ცხადია, ასეთ შემთხვევებში აუცილებელია „არასრულწლოვანის, მისი მშობლების (მშობლის), ხოლო მშობლების მზრუნველობას მოკლებული არასრულწლოვანის შემთხვევაში, კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობა, დადასტურებული მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების მიერ“ (კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ მუხლი 117.2). არის კიდევ ერთი დათქმა, რომლის მიხედვით ზემოხსენებული შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ძვლის ტვინი განკუთვნილია დონორის პირველი ან მეორე რიგის ნათესავისათვის, რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობა სიცოცხლისათვის საშიშია და არ არსებობს მკურნალობის სხვა საშუალება.

არასრულწლოვანისაგან სისხლის და სისხლის კომპონენტების აღება დასაშვებია მხოლოდ გადაუდებელი მდგომარეობის დროს და ალტერნატიული მკურნალობის შესაძლებლობის არარსებობისას. ამ შემთხვევაში აუცილებელია არასრულწლოვანის, მისი მშობლების (მშობლის) ან კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობა (კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ მუხლი 125). მცირეწლოვანისაგან სისხლის და სისხლის კომპონენტების აღება ნებისმიერ შემთხვევაში დაუშვებელია.

## დასკვნის მაგიერ

სადღეისოდ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სფეროს კანონმდებლობაში სრულად არის ასახული პაციენტის ინდივიდუალურ უფლებებთან დაკავშირებული ყველა ის პრინციპი თუ დებულება, რომლებიც გაცხადებულია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებულ დოკუმენტებში და/ან მიღებულია განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობით.

[illegible]

[illegible]

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 107-108. შაბათი, 4 მაისი, 2002 წელი.

# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
## ელექტროენერგიის ბაზრის მხარდამჭერი პროექტი მოწვევა ინტერესების გამოსახატავად

საქართველოს მთავრობა ამზადებს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის მხარდამჭერ პროექტს, რომლის მიზანია საქართველოში, როგორც მაღალი ძაბვის გადამცემი სისტემისათვის პრიორიტეტული სარეაბილიტაციო ზომების განხორციელება, მისი გამზომი, დისპეტჩერიზაციისა და საკომუნიკაციო სისტემების მოდერნიზაცია, ასევე გადაცემის და დისპეტჩერიზაციის კომპანიებისა და ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის ხელმძღვანელობის თანამედროვე მმართველობითი მეთოდების დანერგვა.

პროექტის ბენეფიციარები არიან შპს „ელექტროდისპეტჩერიზაცია-2000", სს „ელექტროგადაცემა" და კავშირი (ასოციაცია) „საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი".

საქართველოს მთავრობამ პროექტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოების დასაფინანსებლად საერთაშორისო განვითარების ასოციაციასთან (IDA) და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკთან (KfW) ხელი მოაწერა საკრედიტო ხელშეკრულებებს. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) ამ პროექტის ფარგლებში გამოყო გრანტი საბითუმო ბაზრის მენეჯმენტის ნაწილის დასაფინანსებლად.

მსოფლიო ბანკის განვითარების საერთაშორისო ასოციაციამ საქართველოს მთავრობას გამოუყო ელექტროენერგიის ბაზრის მხარდამჭერი პროექტის მოსამზადებელი საავანსო თანხა (Q227-0 GE) პროექტის მოსამზადებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად.

პროექტის მომზადებისა და მისი განხორციელების უზრუნველსაყოფად საქართველოს ფინანსთა და საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროებმა დააფუძნეს საჯარო სამართლის იურიდიული პირი „ელექტროენერგიის ბაზრის მხარდამჭერი პროექტის მომსახურე ორგანიზაცია" (შემდგომში „ორგანიზაცია"). ამჟამად დანიშნულია ორგანიზაციის დირექტორი.

მოცემულ ეტაპზე „ორგანიზაცია" მოელის შესაბამისი კვალიფიკაციის კანდიდატთა განაცხადებს შემდეგი ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად:

- კომპონენტების მენეჯერი/დირექტორის მოადგილე (1-ერთეული)
- ენერგოკომპანიებთან მუშაობის მენეჯერი/დირექტორის მოადგილე (1-ერთეული)
- ფინანსების მენეჯერი (1-ერთეული)
- შესყიდვების მენეჯერი (1-ერთეული)
- თარჯიმანი (1-ერთეული)
- ოფისის მენეჯერი (1-ერთეული)

სამუშაოთა მოცულობის მოკლე აღწერა და კანდიდატების მიერ დასაკმაყოფილებელი საკვალიფიკაციო მოთხოვნები მოცემულია ქვემოთ:

### 1. კომპონენტების მენეჯერი/დირექტორის მოადგილე

კომპონენტების მენეჯერი პასუხისმგებელია პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებულ ყველა ტექნიკურ ასპექტზე, როგორიცაა: პროექტის კომპონენტების ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი, ტექნიკური დავალებების და ტექნიკური სპეციფიკაციების მომზადება; კომპონენტებისათვის განსაზღვრული სახსრების მიზნობრიობის განხილვა/შეფასება, დაზუსტება; პროექტის განხორციელების გეგმის დაზუსტება; სამუშაოების დაგეგმვა; პროექტის გრაფიკების შედგენა; შესყიდვების დაგეგმვა და შესყიდვის დოკუმენტების ტექნიკური სპეციფიკაციების დაზუსტება; წინასაკვალიფიკაციო და/ან პოსტსაკვალიფიკაციო კრიტერიუმების შემუშავება; წინადადებების ტექნიკური შეფასება; საკონტრაქტო მოლაპარაკებებში მონაწილეობა; საპროექტო დოკუმენტაციის ეფექტურად გამოყენების მონიტორინგი; პროექტის განხორციელების მენეჯმენტის ანგარიშების ფორმების, კრიტერიუმებისა და ინდიკატორების მომზადება; პროექტის განხორციელების დროს წარმოშობილი შესაძლო პრობლემების იდენტიფიკაცია; კომპონენტების განსახორციელებლად დადებული კონტრაქტების მენეჯმენტი; კონტრაქტების შესწორებების მენეჯმენტი; კომპონენტების განხორციელების ხარისხის კონტროლი; სამუშაოების მიღების (ტესტირება, შუალედური, ოპერირებაში გადაცემის, დასრულების) ორგანიზება და კონტროლი; სადაო საკითხების დარეგულირებაში ხელშეწყობა; კოორდინაცია სხვადასხვა სამინისტროებთან და უწყებებთან; პროექტის კომპონენტების განხორციელებასთან დაკავშირებული შეხვედრების ორგანიზება;

კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

- ტექნიკური საუნივერსიტეტო განათლება ადექვატური განხრით.
- მინიმუმ 5 წლის მუშაობის სტაჟი ელექტროენერგეტიკის სექტორში.
- მინიმუმ სამი (3) წლის მუშაობის გამოცდილება ტექნიკური ექსპერტის ან კონტრაქტების მენეჯერის თანამდებობაზე პროექტებში, რომლებიც ფინანსდებოდა საერთაშორისო სააგენტოების მიერ.
- საერთაშორისო საფინანსო სააგენტოების შესყიდვების წესებისა და მეთოდების ცოდნა (განსაკუთრებით მისასალმებელია მსოფლიო ბანკისა და KfW-ს შესყიდვების წესებისა და პოლიტიკის წარმოების სათანადო გამოცდილება).
- საკონტრაქტო მოლაპარაკებების წარმოების გამოცდილება პროექტებში, რომლებიც ფინანსდებოდა საერთაშორისო სააგენტოების მიერ.
- კომპიუტერულ საოფისე სისტემებთან (ტექსტური რედაქტორი, ელექტრონული ცხრილები, მონაცემთა ბაზები და ა. შ.) მუშაობის გამოცდილება.
- ქართული და ინგლისური ენების ფლობა.

### 2. ენერგოკომპანიებთან მუშაობის მენეჯერი/დირექტორის მოადგილე

ენერგოკომპანიებთან მუშაობის მენეჯერი პასუხისმგებელია შექმნას და შეინარჩუნოს მონაცემთა ბაზები, რომლებიც მოიცავენ შემდეგ ინფორმაციას: ელ. სადგურების გამომუშავება; გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლები; სადისტრიბუციო ენერგოკომპანიების მიერ მოხმარებული და მოთხოვნილი ელ. ენერგიის ნაკადები; ტექნიკური და კომერციული დანაკარგები; მოხმარებული ენერგიის საფასურის ანაზღაურების (მ.შ. ნაღდი, ჩათვლა, ბარტერი) მაჩვენებლები; და სხვა ტექნიკური და კომერციული მაჩვენებლები.

აღრიცხოს და გააანალიზოს: ელექტრული და ფინანსური ნაკადების მოძრაობა (მ.შ. პირდაპირი მომხმარებლების); ავარიებისა და მომხმარებლისათვის ენერგიის მიუწოდებლობის მიზეზები; ტექნიკური და კომერციული დანაკარგების ხასიათი და დინამიკა; დარგების, ქალაქების მიხედვით მოხმარებული და მოთხოვნილი ელ. ენერგიის და ფინანსური ნაკადები; და ა.შ. მოამზადოს და გამოსცეს ელექტროენერგეტიკული სექტორის ფუნქციონირების ამსახველი ყოველთვიური ანგარიშები.

ზედამხედველობა გაუწიოს ელექტროგადაცემა/ელექტროდისპეტჩერიზაციის და საბითუმო ბაზრის მმართველობითი კონტრაქტების განხორციელების მიმდინარეობას.

კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

- ადექვატური ტექნიკური საუნივერსიტეტო განათლება;
- მინიმუმ 5 წლის მუშაობის სტაჟი სამრეწველო და/ან ადმინისტრაციული მმართველობის სფეროში (მისასალმებელია მათ შორის ელექტროენერგეტიკის სექტორში);
- ელექტრული და ფინანსური ნაკადების დიდი რაოდენობის მონაცემთა სწრაფი დამუშავების და ანალიზის უნარი;
- კომპიუტერულ საოფისე სისტემებთან (ტექსტური რედაქტორი, ელექტრონული ცხრილები, მონაცემთა ბაზები და ა. შ.) მუშაობის გამოცდილება;
- ქართული და ინგლისური ენების ფლობა;

### 3. ფინანსური მენეჯერი

ფინანსური მენეჯერი პასუხისმგებელია პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებულ ყველა ბუღალტრულ და ფინანსურ ასპექტზე. მართავს ფინანსური მენეჯმენტის სისტემას (ადექვატური პროგრამული უზრუნველყოფის ჩათვლით), რომელიც შეესაბამება მსოფლიო ბანკის და ადგილობრივი კანონმდებლობის მოთხოვნებს ბუღალტრულ აღრიცხვასთან, ანგარიშგებასთან და შიდა კონტროლთან მიმართებაში. იცნობს პროექტების ფინანსურ მენეჯმენტთან დაკავშირებულ მსოფლიო ბანკის ყველა ნორმატიულ დოკუმენტს. ორგანიზაციას უკეთებს და წარმართავს ყველა ზოგად საბუღალტრო ღონისძიებას. ამზადებს საბუღალტრო და ფინანსურ ანგარიშგებას. ასევე უზრუნველყოფს საბუღალტრო სისტემისა და ჩანაწერთა წარმოების სიზუსტეს, თანხების მოხსნასა და თანადაფინანსების ფონდების განკარგვაზე დადგენილი პროცედურების შესრულების მონიტორინგს.

აწარმოებს ძირითად საბუღალტრო წიგნს და ყველა დაკავშირებულ ანგარიშს, ახორციელებს ყველა საბანკო ანგარიშზე ბრუნვების და ნაშთების შესაბამისობის დადგენას ბუღალტრულ მონაცემებთან; ამოწმებს ბანკის ამონაწერების სამართლიანობას.

ურთიერთობს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან, საგადასახადო ინსპექციასთან, საბაჟოსთან და სხვა მსგავს სამთავრობო უწყებებთან.

პასუხს აგებს საგადასახადო დავალებების დროულად მომზადება-წარდგენაზე ბანკებისთვის, საბანკო ჩეკების გამოწერაზე და ანგარიშსწორების სხვა ფორმების გამოყენების ადექვატურობაზე.

უზრუნველყოფს ყოველწლიური აუდიტის ჩატარების კოორდინირებას.

პასუხისმგებელია პროექტის ფარგლებში წარმოქმნილი საგადასახადო ვალდებულებების სათანადო მართვაზე სახელმწიფო ბიუჯეტთან და არასაბიუჯეტო ფონდებთან.

კოორდინაციას უწევს სპეცანგარიშის შევსებაზე მოთხოვნების მომზადებას და მსოფლიო ბანკისთვის გაგზავნას.

კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

- საუნივერსიტეტო განათლება ადექვატური განხრით.
- მინიმუმ სამი (3) წლის მუშაობის გამოცდილება ფინანსისტად პროექტებში, რომლებიც ფინანსდებოდა საერთაშორისო სააგენტოების მიერ.
- საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, საბანკო და სხვა საფინანსო საქმიანობის ინსტრუმენტების პრინციპების ცოდნა.
- ფინანსური დაგეგმვის, საბიუჯეტო და ფულის ნაკადების მიმოქცევის პროცესების მართვის ცოდნა მსოფლიო ბანკის და საქართველოს მთავრობის მოთხოვნათა შესაბამისად (განსაკუთრებით მისასალმებელია მსოფლიო ბანკის ფინანსური მენეჯმენტის და აღრიცხვიანობის პოლიტიკის წარმოების სათანადო გამოცდილება).
- კომპიუტერიზირებულ ფინანსურ სისტემებთან მუშაობის გამოცდილება.
- კომპიუტერულ საოფისე სისტემებთან (ტექსტური რედაქტორი, ელექტრონული ცხრილები, მონაცემთა ბაზები და ა. შ.) მუშაობის გამოცდილება.
- ქართული და ინგლისური ენების ფლობა.

### 4. შესყიდვების მენეჯერი

შესყიდვების მენეჯერი პასუხისმგებელია განახორციელოს პროექტთან დაკავშირებული საქონლის და მომსახურების შესყიდვები საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების სახელმძღვანელო მოთხოვნების შესაბამისად, მათ შორის ადგილობრივი სამეურნეო შესყიდვები.

უწევს კოორდინაციას ტენდერების გამოცხადებას, სატენდერო დოკუმენტაციისათვის მასალების შეგროვებას და შეასრულოს ყველა საჭირო პროცედურები შესყიდვების პროცესის სამართლიანად ჩატარების უზრუნველსაყოფად.

აწარმოოს მომწოდებლების შეფასება და შეადგინოს მომწოდებელთა შერჩევის სისტემა, რაც, აგრეთვე, მოიცავს ფასზე მოლაპარაკებას და მოწოდების პირობებს. მოამზადოს და გამოსცეს შესყიდვების ორდერები. აწარმოებს მომწოდებლების წინადადებების შეფასებას ხარისხისა და გამოცდილების მიხედვით. ამასთანავე ასრულებს შესყიდვების და მოწოდების შემოწმებასთან დაკავშირებულ ყოველგვარ მოვალეობებს.

კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

- საუნივერსიტეტო განათლება.
- მინიმუმ სამი (3) წლის მუშაობის გამოცდილება შესყიდვების სპეციალისტად პროექტებში, რომლებიც ფინანსდებოდა საერთაშორისო სააგენტოების მიერ.
- საერთაშორისო საფინანსო სააგენტოების შესყიდვების წესებისა და მეთოდების ცოდნა (განსაკუთრებით მისასალმებელია მსოფლიო ბანკისა და KfW-ს შესყიდვების წესებისა და პოლიტიკის წარმოების სათანადო გამოცდილება).
- საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის პრინციპების ცოდნა.
- საერთაშორისო სავაჭრო პალატის (INCOTERMS) წესების ცოდნა.
- კომპიუტერულ საოფისე სისტემებთან (ტექსტური რედაქტორი, ელექტრონული ცხრილები, მონაცემთა ბაზები და ა. შ.) მუშაობის გამოცდილება.
- ქართული და ინგლისური ენების ფლობა.

### 5. თარჯიმანი

თარჯიმანი ვალდებულია: განახორციელოს პროექტთან დაკავშირებული ყოველგვარი დოკუმენტაციის წერილობითი თარგმანი ინგლისურიდან ქართულზე და პირიქით; შეხვედრების და მოლაპარაკებების თარგმნა ინგლისურიდან ქართულზე და პირიქით; პასუხისმგებელია თარგმნის სისწორეზე.

- საუნივერსიტეტო განათლება ადექვატური განხრით.
- ინგლისური, ქართული და რუსული ენების ბრწყინვალე ფლობა.
- სამივე ენაზე წერილობითი და ზეპირი თარგმანის ბრწყინვალე უნარი.
- საუკეთესოდ ფლობდეს Microsoft office-ს.
- შეეძლოს სწრაფი ტემპით და ინტენსიური მუშაობა;
- გააჩნდეს გამოცდილება და შესაძლებლობა იურიდიული ან ეკონომიკური ხასიათის ტექსტების თარგმანში (კანონები, დადგენილებები, ბრძანებულებები და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია);
- გააჩნდეს გამოცდილება და შესაძლებლობა ტექნიკური ხასიათის ტექსტების (განსაკუთრებით ელექტროენერგეტიკულ სფეროში) თარგმნაში.
- გააჩნდეს ოფიციალურ დონეზე შეხვედრების თარგმნის გამოცდილება;

### 6. ოფისის მენეჯერი

ოფისის მენეჯერი ვალდებულია აწარმოოს ჩანაწერები შემოსული და გასული კორესპონდენციის შესახებ; შესაბამისად რეგისტრაციაში გაატაროს, გაავრცელოს და არქივებში განათავსოს შემოსული და გასული კორესპონდენციები; საჭიროების შემთხვევაში თარგმნოს კორესპონდენციები და შეასრულოს ზეპირი თარგმანი; უპასუხოს ყოველდღიურ კორესპონდენციას და ზედამხედველობა გაუწიოს დირექტორის მითითებების დროულ შესრულებას; გაუგზავნოს დოკუმენტები საქართველოს სამთავრობო დაწესებულებებს თუ ორგანიზაციებს, მსოფლიო ბანკს, უცხოურ ორგანიზაციებსა თუ კომპანიებს; უზრუნველყოს ორგანიზაცია საკანცელარიო თუ მისი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი სხვა სახის მომარაგებით; თვალყური ადევნოს ორგანიზაციის ძირითადი საშუალებების მუშაობის გამართულობას და მათი დაზიანების შემთხვევაში უზრუნველყოს შესაბამისი ქმედებანი აღდგენის მიზნით; ორგანიზაცია გაუწიოს სატელეფონო კავშირებს, უპასუხოს სატელეფონო ზარებს, მიიღოს ტელეფაქსები და ა.შ.; აწარმოოს კრებებისა თუ კონფერენციების ოქმები და დირექტორის მითითების შესაბამისად შეადგინოს მათი ასლები, გაანაწილოს და არქივებში განათავსოს პროტოკოლები; დახმარება გასწიოს ოფიციალური ღონისძიებების გამართვის საქმეში; დირექტორის დავალებით განახორციელოს სხვა ადმინისტრაციული ღონისძიებები.

კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

- საუნივერსიტეტო განათლება
- საუკეთესოდ ფლობდეს Microsoft office-ს
- შეეძლოს სწრაფი ტემპით და ინტენსიური მუშაობა
- ინგლისური და ქართული ენების ფლობა (სასურველია დამატებით გერმანული ენის ფლობა)

დაინტერესებულმა პირებმა განაცხადთან ერთად ქართულ და ინგლისურ ენებზე უნდა წარმოადგინონ მოთხოვნილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი ინფორმაცია (საქმიანი ბიოგრაფია, დიპლომის და შრომის წიგნაკის ასლები და სხვა).

კანდიდატთა შერჩევა განხორციელდება მსოფლიო ბანკთან შეთანხმებული პროცედურების შესაბამისად.

დაინტერესებულ კანდიდატებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10[00]-დან 16[00]-მდე ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

დაინტერესებულ კანდიდატთა განაცხადები უნდა გადაიგზავნოს ქვემოთ მითითებულ მისამართზე 2002 წლის 18 მაისამდე.

**თეიმურაზ ჯულელი,**
დირექტორი.

ელექტროენერგიის ბაზრის მხარდამჭერი პროექტის მომსახურე ორგანიზაცია.

თბილისი, 380005, ვ. ვეკუას ქ. №1,
სსიპ „ენერგოგენერაციის" შენობა
მე-4 სართული, ოთახი №428.
ტელ: (995 32) 923483,
ფაქსი: (995 32) 923482
ელ-ფოსტა: **feppia@global-erty.net**

## შაბათი
### 4 მაისი

**1 არხი**

08.00 მოამბე 08.15 მულტსერიალი "პრინცესა პოკაჰონტასი" 08.40 მხიარული კარუსელი 09.05 ფრანგული პროგრამა "საუკუნის გიგანტები" 10.00 დილის პაემანი 11.00 გინდ დაიჯერეთ, გინდ არა 11.25 ქართული ენის გაკვეთილი 12.00 საინფორმაციო პროგრამა ინგლისურ ენაზე 12.25 კვალი 12.50 საწინდარი 13.20 ტელე-სინე-ვიდეო 14.00 ჟიზელი 14.35 50-50 15.00, 23.40 მოამბე 15.15 ვიცი 15.45 მრავალჟამიერი 16.15 საქართველო და გარე სამყარო 16.40 ტელე ზღაპარი 17.00 ფეხბურთი. **"დინამო"** (თბილისი) - **"ლოკომოტივი"** (თბილისი) (რეპორტაჟი ბ.პაიჭაძის სახელობის სტადიონიდან) 19.00 ვესტნიკი 19.35 მთელი ეს ტელევიზია 20.00 ტაიმაუტი 21.00 მესტრო "ამბობენ" 21.40 ენა დედაა ერისა 22.05 დიდების ზღაპარი 22.35 ქიმერიონი 23.20 დოკ.ფილმი **"ქართული ზარი"** 23.50 ქართული საგალობლები 00.00 ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულისადმი მიძღვნილი ლიტურგიის ტრანსლაცია

**2 არხი**

19.00, 22.00 მოამბე 19.10 ორატორი 19.30 შვიდეული 20.30 ენერგია 21.00 ინტერნიუსი 21.15 ვარსკვლავები გვამცნობენ 21.30 ახლო ხედი 22.10 ჰიტ-პარადი 22.20 მხ.ფილმი **"ათი მცნება"**

**რუსთავი 2**

08.00 მუსიკა 09.00 კურიერი 09.50 "ვის უნდა ოცი ათასი" 10.50 მულტსერიალი 12.30 მუსიკა 12.40 სერიალი **"ნიკიტა"** 13.35 მხ.ფილმი 15.35 სიმღერები 15.55 კუსტოს წყალქვეშა ოდისეა 16.50 მხ.ფილმი 18.00, 01.00 კურიერი 18.20 მხ.ფილმი 20.00 ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა 21.00 **კურიერი P.S.** 22.00 **ფილმ.** მხ.ფ. **"ალპტრიკის სინდრომი"**, რეჟ. ალექსანდრე ჭორიძე, **"ვინ არის სოფია"**, ნატო ბობოხიძე. 01.15 მხ.ფ. **"მენამული მოსასხამი"**. რეჟ. რიჩარდ ბარტონი 03.20 ღამის ჯაზი

**იბერია**

**მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია** 08.00, 20.00 ანონსი, მულტფილმი 08.15, 20.15 აღსავალი 08.20, 10.00, 11.55, 20.20, 21.55, 23.50 მუსიკა 08.25 მხ.ფ. **"მხიარული აღდგომა"** 10.10 მხ.ფ. **"კიტი ტიელი"** 20.25 მხ.ფ. **"სამი ქალი და მამაკაცი"** 22.05 მხ.ფ. **"კლუბი"**

12.00 მხ.ფ. **"ბუბსი"** 13.50 მხ.ფ. **"გოძილა"** 16.15 დოკ.ფილმი "ნაციზმი, ისტორიის შენარჩუნება" (ნაწილი 1) 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 19.15 საბავშვო პროგრამა 19.30 მულტფილმი 21.00 მხ.ფ. **"დიდი ფსონი"** 23.30 მხ.ფ. **"ჩიში"** 00.20 მხ.ფ. **"უსიშ. დაბარნება"**

**ევრიკა**

10.00 მხ. ფილმი **"შემდეგი პარასკევი"** 12.00 პროგრამა "სალონი" 13.30 ექიმი გვირჩევს 14.30 მუსიკა 15.00, 21.00 ვესტი 15.30 მულტფილმი 16.00 ლაბირინთი 16.30 სერიალი **"ბანკოჟ-პილგრიმი"** 17.30 თქვენი ადვოკატი 18.30 რუსული ენის ტელეგაკვეთილი 19.00 ინგლისური ენის ტელეგაკვეთილი 19.30 ცეროდენა ვარსკვლავები 20.00 თიხიერთი 21.25 "ზერკალო" 22.00 და ღმერთმა შექმნა ქალი 22.40 თეატრალური შეხვედრები 23.40 მხ. ფილმი **"ზენ გური"**

**IST**

07.30 "ცხოვრება სიტყვაში" 09.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოოლოა" 12.00 მხ.ფილმი 14.00 კლიპ-მიქსი 19.00 ლოტო-მაესტრო 19.30 მუსიკა 20.00 "Co.მედია" მხ.ფ. **"პრინცესა კადრიბიების სადღესლო"** 22.00 "პაპარაცები" 23.00 პრეს-პრესი 00.00 "ბრავო" მხ.ფ. **"მარბის არჩილიში"**, **"ყირაპალა"**, **"ბოლო ცეკვა ჩემზეა"** 02.00 "ღამურა" მხ.ფ. **"ნაწილ - ნაწილ"**. მთ. როლებში ვუდი ალენი, ჯიფერ სამეფერდი 03.30 ნონ-სტოპი

**9 არხი**

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 "დღის ამბები" 09.20, 14.10, 19.50, 00.20 მუსიკა 09.40 მულტფილმი "სამყაროს შექმნა" 10.00, 15.00 საინფორმაციო შემეცნებითი მუსიკალური გადაცემა "დილა" 11.20 ლიმონი და ლიმონიადა 12.20 გადაცემა "ლიმონი და ლიმონიადა" 12.35 მხ. ფილმი **"ერთ მშვენიერ დღეს"** მთ. როლში მიშელ ფაიფერი. 13.30, 17.05 დისნეი 14.00 მუსიკალური გადაცემა "ბელისიმო" 14.45, 17.45 მულტფილმი "ტომი და ჯერი" 16.20 მთავარი თემა 18.00 დოკ. ფილმი "გრიფიტ-კინოს მამა" 19.00 გადაცემა "ჭკვის კოლოფი" 20.00 ეკრანის სტიქიონებზე 21.10 მხ.სერიალი **"ვი. აი. პი. ვალერი აირონის დაცვის სამსახური"** 22.00 მხ. ფილმი **"მრბოლელი"**. მთ. როლში სილვესტერ სტალონე 00.40 მხ.ფ. **"ბრწყინვალე გოგება"** მთ. როლში რასელ კროუ.

**იმედი**

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 მულტსერიალი 10.20 კომედია **"პოლიციელი ბიჭუნა"** 12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება 12.10 "მზე აქ შემოჩერება" 12.15 კომედია **"საქალაქთაშორისო ციებცხელება"** 13.40 სათავგადასავლო ფილმი **"მარტო ფრენა"** 15.15 დოკუმენტური ფილმი 16.10 მულტფილმი "სკუბი დუ პოლიციელი მემატდოა" 17.05 კომედია **"ივან ვასილის ძე იცვლის პროფესიას"** 19.10, 22.20, 00.20 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.20 "პრეს დაიჯესტი" (განმეორებითი ჩვენება) 19.30 მელოდრამა **"რებეკა"**1 სერია 21.05 დოკუმენტური ფილმი 22.35 "პერსონა" 23.00 **"პრესს-პაპპა"** 23.10 დოკუმენტური ფილმი 00.35 კომედია **"წვრილმანი თაღლითები"** 02.05 დოკუმენტური ფილმი 03.30 მელოდრამა **"ქალებს რომ საუბარი შეეძლოს 2"** 05.10 მუსიკა

**VII არხი**

18.00, 21.45,23.00,01,55 ანონსი 18.40,21.50 ამინდის პროგნოზი 18.55 აფიშა 18.30 მუსიკალური ტაიმაუტი 19.00 "აჩიკუდა" 19.25 "ბედნიერი ერი" ილიას პუბლიცისტური წერილების მიხედვით. 19.30 მხ.ფ.ჟანრებში - მხ.ფ. **"ადგილების შეცვლა"** 21.40 კალათბურთი. ნბა. 22.30 გერმანიის ჩემპიონატის საფეხბურთო მიმოხილვა. 23.00 ფეხბურთი. ინგლისის თასის ფინალი. **"არსენალი"** - **"ჩელსი"** 01.00 პრესის მიმოხილვა.

## კვირა
### 5 მაისი

**1 არხი**

08.00 "მოამბე" 08.20 მულტსერიალი "პრინცესა პოკაჰონტასი" 08.45 დოკ.ფილმი **"ქართული ზარი"** 09.05 ფრანგული პროგრამა "გემრიელად მიირთვით, ბავშვებო" 09.20 მხიარული კარუსელი 10.00 დილის პაემანი 11.00 დპკ.ფილმი **"რწმენის აღორძინება"** 12.00 მსოფლიოს ახალი ამბები 12.15 სპა 12.40 თბილისი და თბილისელები 13.10 მეტრო 13.40 გლობუსი 14.10 საკვირაო გამოფენა 14.25 არათბილისური ამბები 14.50 მხ. ფილმი **"ლუკას სახარება"** 16.00 ამბები ჩვენზე 16.25 მათეს სახარება 18.15 ბავშვთა უფლებების კონვენცია 18.35 ჩვენი მშვიდობა 19.00 საფეხბურთო პროგრამა "ჟილეტი" წარმოგიდგენთ 19.25 ჩვენი მისამართია 20.00, 00.20 მოამბე 20.25 საქართველო არის ესე 20.55 ფორტუნა 21.35 შენამდე მოვედი (თემურ თათარაშვილი) 22.55 ჩვენი ენა ქართული 23.00 სატელევიზიო კინოდარბაზი – "პილიგრიმობა ევროპიდან იერუსალიმში" 00.35 მხ.ფ. **"საბუდარელი ჭაბუკი"**

**2 არხი**

19.00 საბ.ფილმი **"ატლანტიდა – დაკარგული ქვეყანა"** 20.30 ვიცი 21.00 საქართველოს მატიანე 21.35 ამბიონი 22.00 შვიდეული 23.00 მხ.ფილმი **"ათი მცნება"**

**რუსთავი 2**

08.00 მუსიკა 09.00 კურიერი 09.15 მულტსერიალი 10.45 **"ოქროს ვარდის გამოძიება"** 11.15 მუსიკა 11.25 სერიალი **"ნიკიტა"** 12.25 მხ.ფილმი 14.20 სიმღერები 14.50 სერიალი **"კუსტოს წყალქვეშა ოდისეა"** 15.40 მხ.ფილმი 18.00, 21.00, 23.40 კურიერი 18.20 ქართული ფილმი 20.00 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 21.20 ჩვენი ეზო 21.40 "ჯეოსელის კინოკლუბი". **"ტკბილი ნოემბერი"**, **"როგორ გავხდე პრინცესა"**, **"ცირკების ადამიანი"** 23.50 მხ.ფ. **"იოჯე ფორესტერი"**. მთ. როლებში: შონ კონერი 01.30 კლასიკა

**იბერია**

**მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია** 08.00, 20.00 ანონსი, მულტფილმი 08.15, 20.15 აღსავალი 08.20, 09.55, 11.55, 20.20, 22.00, 23.55 მუსიკა 08.25 მხ.ფ. **"სამი ქალი და მამაკაცი"** 10.05 მხ.ფ. **"კლუბი"** 20.25 მხ.ფ. **"ვალის გადახდა ტეხასურად"** 22.05 მხ.ფ. **"ტკბილი ნოემბერი"**

12.00 ინდ. მხ.ფილმი 14.30 მხ.ფ. **"დიდი ფსონი"** 16.15 მხ.ფ. **"ჩიში"** 17.50 დოკ.ფილმი "ნაციზმი, ისტორიის შენარჩუნება" 20.20 "ჯამ – პარნასი" 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 21.00 მხ.ფ. **"კლეარკები"** 22.30 მხ.ფ. **"ბრალდებულნი"** 00.20 მხ.ფ. **"კარძო გაკვეთილები"**

**ევრიკა**

11.00 ცისკრის ზარები 11.05 მუსიკალური კოლაჟი 12.00 თეატრალური შეხვედრები 13.25 თბილისური ოჯახები 14.10 მუსიკა 15.00 ვესტი 15.30 დოკ. ფილმი "თანამედროვე ევროპა" 16.00 სოლარი პრიმიდა 17.00 სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობა ილია მეორის ქადაგება 17.20 საეკლესიო კალენდარი 17.35 საუბრები ბიბლიაზე 19.00 თქვენი აზრით 19.20 ჩვენი თაობა 20.00 თავისუფალი მიკროფონი 20.15, 20.45 მოგზაურობა ბავშვობაში 20.30 იქ, სადაც სიყვარულია 21.00 მხ. ფილმი **"იესო"** 23.00 "იდენ ტვ" 23.30 სააღდგომო კონცერტი

**IST**

07.30 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა" 09.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოოლოა" 12.00 მხ. ფილმი 14.00 "Co.მედია" მხ.ფ. **"კასპარი მოჩვენებათა შოუა"** 19.00 ლოტო-მაესტრო 19.30 მუსიკა 20.00 ვიდეო-რადიო 22.00 მიჟ-20 00.00 "ბრავო" მხ.ფ. **"ატეკემის მზე"**. მთ. როლში მორიც ბლაიბტროი 01.55 ღამურა **"ტოტალური დაცვა"**. მთ. როლში დოლფ ლუნდგრენი 03.15 ნონ-სტოპი

**9 არხი**

09.00 დღის ამბები 09.20 მულტფილმი "სააღდგომო ზღაპარი" 10.00, 15.00 საინფორმაციო შემეცნებითი მუსიკალური გადაცემა "დილა" 11.20 ჭკუის კოლოფი 11.55 ევროპის სტადიონებზე 12.30 საუბრები სტუდიაში 13.35 მხ.ფ. **"25 ცენტი"**. მთ. როლში ალ პაჩინო. 16.20 მხ.ფ. **"გურჯაანის თავგადასავალი"**. 18.35 დისნეი. 19.00 მაცაცრია 19.10, 20.50, 22.00, 00.00 მუსიკა 19.30 მსოფლიო ფეხბურთი 20.00 ინტელექტუალები "რა? სად? როდის?" 21.10 მხ.სერიალი **"ვი. აი. პი. ვალერი აირონის დაცვის სამსახური"** 22.15 მხ.ფ. **"მუშკეტერი"**. მთ. როლში კეტრინ დენევი. 00.20 მხ.ფ. **"ახალი პარადიზო"**. მთ. როლში ფილიპ ნუარე.

**იმედი**

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 მულტსერიალი 10.15 საბავშვო კომედია **"სამი ნინძა"** 11.50 **"პრესს-პაპპა"** (განმეორებითი ჩვენება) 12.00, 16.00, 19.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება 12.10 მხატვრული ფილმი **"ფლიუში"** 13.40 "პერსონა" 14.05 კომედია **"იტალიელების საოცარი თავგადასავალი რუსეთში"** 16.10 მულტფილმი "ლედი და მაწანწალა" 17.25 თრილერი **"მეფუშლეები"** 19.10, 04.55 მუსიკა 19.30 მელოდრამა **"რებეკა"** მე-2 სერია 21.00 დოკუმენტური ფილმი 22.00 "ეს კვირა" 22.40 "ნოვოსტი 3 ვოსკრესენიე" 23.00, 00.15 სათავგადასავლო ფილმი **"მუშკეტერები 20 წლის შემდეგ"**1-2 სერია 01.25 კომედია **"ლიფტიდან მარცხნივ"** 03.15 თრილერი **"ბასრი"**

**VII არხი**

17.00, 19.50,22.30,01,55 ანონსი 17.05,21.50 ამინდის პროგნოზი 17.10,20.40 აფიშა 17.30 "ლა-ლა-ლა" 18.00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. **"ლაციო"** - **"მალიორკა"** 18.45 "აჩიკუდა" (შესვენებისას) 20.00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. **"რეალი"** - **"მალიორკა"** 21.50 "ავტოტრეკინგი": 23.20 იტალიის ჩემპიონატის საფეხბურთო მიმოხილვა "90 წუთი" 23.45 მხ.ფ.ჟანრებში - მხ.ფ. **"მოცეკვავის დრო"**

## თეატრები

**ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი**

04.05 (18.00) ჯუზეპე ვერდი **"რიგოლეტო"**. ოპერა ოთხ მოქმედებად. დირიჟორი - ზაზა კალმახელიძე

**ზღაპრის თეატრი**
**აღმაშენებლის 136 ტ. 95-01-23**

04.05(12.00) **"ნაცარქექია"**, **"კონკია"**, **"ფიფქია"**, **"კომბლე"**, **"პეპი გრძელიწინდა"**, **"ჩექმებიანი კატა"**, **"რწყილი და ჭიანჭველა"**, **"დიდების ზღაპარი, ზღაპრის თეატრში"**.

**კოტე მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრი**
**მარჯანიშვილის ქ. 8 95-55-00**

04.05 (18:00) ჩანაწერები ქოხიდან **"დიადი მცირეში"**. დამდგმელი რეჟისორი - მედეა კუჭუხიძე

09.05 (18.00) ა.გარნეი **"სასიყვარულო ბარათები"**. დამდგმელი რეჟისორი - თემურ ჩხეიძე.
*ფასი 3-5 ლარი.*

**ჯიბის თეატრი**
**მარჯანიშვილის 30 ტ. 95-14-11**

04.05(18.00) იოჟენ იონესკო **"გაკვეთილი"**. დამდგმელი რეჟისორი - ლელა ჭინჭარაული.
*ფასი 5 ლარი*

## გამოფენები

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
**რუსთაველის გამზ. ტ. 93-56-85**

04.05-05.05 მიმდინარეობს გამოფენა **"როგორც ბუნებამ შექმნა"** ეძღვნება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დაარსების 150-ე წლისთავს.

**თბილისის ისტორიის მუზეუმის საგამოფენო დარბაზი "ქარვასლა"**
**სიონის ქ. 8. ტ. 72-51-26**

04.05-05.05 მიმდინარეობს ბესო შომხარტის ფოტონამუშევრების გამოფენა **"აგრესიის წინააღმდეგ"**

04.05-05.05 მიმდინარეობს **ეკა ორაგველიძის** ნამუშევრების პერსონალური გამოფენა. წარმოდგენილია ფერწერული ნამუშევრები.

**გალერეა „TMS"**

04.05-05.05 მიმდინარეობს **ნინო ფერაძის** ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**

04.05-05.05 მიმდინარეობს **ამირ კაკაბაძის** ნამუშევრების გამოფენა.

**სურათების ეროვნული გალერეა**

05.05 (17.00) გაიხსნება **ლადო ზამბახიძის** პერსონალური ნამუშევრების გამოფენა

**ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა ნახატების გალერეა**
**შავთელის ქ. 17 ტ.: 98-53-37**

04.05- 05.05 მიმდინარეობს **ელენე ახვლედიანის** ხსოვნისადმი მიძღვნილი გამოფენა.

**თანამედროვე ხელოვნების**

04.05-05.05 მიმდინარეობს საგაზაფხულო გამოფენა. წარმოდგენილია ქართველი მხატვრების სხვადასხვა ჟანრის ნამუშევრები.

ა/წ 28 მაისს დღის 3 საათზე ჩატარდება ს/ს „საქლითონის" აქციონერთა კრება.
**მისამართი: წინამძღვრიშვილის 110.**

შპს „ბუცეფალის" ადმინისტრაცია აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულმა პირებმა გთხოვთ მოგვმართოთ **რუსთაველის გამზ. 30.**
შპს „ბუცეფალის" დირექტორატი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

**პრესსამსახური**

„გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად, გორის რაიონული სასამართლო აქვეყნებს გორის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 25 მარტის №2/126 განჩინებას, სააქციო საზოგადოება „ლაინის" გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ".

# განჩინება

25 მარტი 2002 წ. (რიცხვი, თვე, წ.) — ქ. გორი (განჩინების მიღების ადგილი)

გორის რაიონული სასამართლოს (განჩინების მიმღები სასამართლოს დასახელება)

მოსამართლემ ბონდო ვათიაშვილმა

მდივნობით (სასამართლოს სხდომის მდივანი)

განვიხილე ს.ს „ლაინი"-ს გენერალური დირექტორის – ილია პაპიაშვილის

(განჩინების შინაარსი) განცხადება ს.ს „ლაინის" გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ.

გამოვარკვიე:

ს.ს. „ლაინი" ყოფილი გორის საფეიქრო სამკერვალო საწარმოო გაერთიანება, რომლის იურიდიული მისამართია: გორი, მოსკოვის ქუჩა №1 დაფუძნებული იქნა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს გორის და გორის რაიონის განყოფილების მიერ და რეგისტრაციაში გატარდა გორის და გორის რაიონის გამგეობის 1994 წლის 39 სექტემბრის №394 გადაწყვეტილებით. 1996 წლის 15 ოქტომბერს კი გორის სასამართლოს მიერ მოხდა ს.ს. „ლაინი"-ს ხელახალი რეგისტრაცია, ხოლო 1998 წლის ივლისის თვიდან მოხდა ს.ს. „ლაინის" პრივატიზაცია. ს.ს „ლაინმა" გორის საფეიქრო სამკერვალო საწარმოო გაერთიანებისაგან მიიღო მძიმე ფინანსური მემკვიდრეობა. 1998-99 წლებში ვერ მოხერხდა საწარმოს სრული ამუშავება. ამუშავდა მხოლოდ რამოდენიმე საამქრო და მიუხედავად დიდი ძალისხმევისა შესაძლებელი გახდა საბიუჯეტო დავალიანების თანხის მცირე ოდენობით დაფარვა, ასევე შესაძლებელი გახდა ხელფასის დავალიანების ნაწილობრივ გასტუმრება.

2000 წლიდან კი მთლიანად შეწყვიტა ს.ს. „ლაინმა" პროდუქციის გამოშვება, რაც ძირითადად განპირობებული იყო ნედლეულის უქონლობით. საწარმოს არ გააჩნდა ფინანსური რესურსები ნედლეულის ლირებულების და წარმოების ხარჯების გადასახდელად. ყოველივე ამას ემატებოდა საბიუჯეტო დავალიანება, კერძოდ: საწარმოს ყოველწლიურად ერიცხება 46,0 ათასი ლარის მიწის გადასახადი და 60,0 ათასი) ლარი ქონების გადასახადი. საბოლოოდ საბიუჯეტო დავალიანებამ საურავთან ერთად შეადგინა – 2 500 000 (ორი მილიონ ხუთასი ათასი) ლარი. გარდა საბიუჯეტო დავალიანებისა, საწარმოს ჰყავს უამრავი სხვა კრედიტორი, როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები.

არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, ს.ს. „ლაინი" არის გადახდის უუნარო, მას არ შეუძლია გადაიხადოს ნაკისრი ვალდებულებებიდან გამომდინარე. მცირე თანხებიც კი, რომელთა დაბრუნების ვადა უკვე დადგა, გასცეს მუშაკთა ხელფასის დავალიანების თანხა, გადაიხადოს საბიუჯეტო დავალიანებები.

ს.ს. „ლაინის" „ბოლო წლიური ბალანსიდან გამომდინარეობს აგრეთვე მისი ზედავალიანება.

როგორც ს.ს. „ლაინის" „გაკოტრების" საქმის წარმოების გახსნის საკითხის შემოწმებით იქნა დადგენილი ს.ს. „ლაინის" გაკოტრება, უუნარობა, სახეზეა, არსებობს გაკოტრების ზოგადი საფუძვლები, საწარმოს გადახდის უუნარობა და მისი ზედავალიანება.

„გაკოტრების საქმის წარმოების" შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, გაკოტრების ზოგადი საფუძვლებია მოვალის გადახდის უუნარობა, აგრეთვე მისი ზედავალიანება, ხოლო ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, მოვალის გადახდის უუნარობა სახეზეა, როდესაც მას არ შეუძლია შეასრულოს ვადამოსული გადახდის ვალდებულებები, ხოლო ზედავალიანება სახეზეა, როდესაც მოვალის ქონება ვეღარ ფარავს მის ვალდებულებებს.

ს.ს. „ლაინის" საწარმოს ქონების შეფასებისას, გამოვდივართ იქიდან, რომ ზემოთ აღნიშნული გარმოებებიდან გამომდინარე, შეუძლებელია საწარმომ გააგრძელოს თავისი საქმიანობა.

ვიხელმძღვანელე რა „გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2, მე-7, მე-8, მე-11 მუხლებით

დავადგინე:

1) დაკმაყოფილდეს ს.ს. „ლაინის" გენერალური დირექტორის ილია პაპიაშვილის მოთხოვნა, ს.ს. „ლაინის" მიმართ, გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ.

გაიხსნას ს.ს. „ლაინის" გაკოტრების საქმის წარმოება 2002 წლის 25 მარტიდან.

2) ვალაუვალ მოვალეს – ე. ი. ს.ს. „ლაინს" აეკრძალოს თავისი ქონების მართვა და განკარგვა.

3) ს.ს. „ლაინის" ქონების მართვა და განკარგვა დაევალოს გაკოტრების მმართველს.

4) ს.ს. „ლაინის" გაკოტრების მმართველად დაინიშნოს ს.ს. „ლაინის" გაკოტრების დროებითი მმართველი – ზურაბ თეთრუაშვილი, დაბადებული 1961 წლის 23 თებერვალს, მცხოვრები ქ. გორი, ფარნავაზის ქუჩა №16-ში. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. დოცენტი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური მეთოდებისა და მოდელების კათედრის დოცენტი.

5) ს.ს. „ლაინის" ყველა კრედიტორს ევალება გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ განჩინების გამოქვეყნებიდან ორი კვირის ვადაში, მოთხოვნათა წაყენების ვადაში, გორის რაიონულ სასამართლოს წარმოუდგინონ თავიანთი მოთხოვნები. შესაბამის ვალუტაში თანხისა და ვალის საფუძვლის ჩვენებით, ამასთან, აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, განაწილება მოხდება მათი მოთხოვნების გაუთვალისწინებლად.

6) ყველა იმ პირს, რომელიც ვალაუვალ მოვალის ქონებას მიკუთვნებულ ნივთზე აქვს საკუთრების ან გირავნობის მოთხოვნის უფლება, მოთხოვნის წაყენების ვადაში ამის შესახებ უნდა განაცხადოს გაკოტრების მმართველთან.

7) იმ პირს, რომელიც ფლობს ვალაუვალ მოვალის, ე. ი. ს.ს. „ლაინის" ქონებას მიკუთვნებულ რაიმე ნივთს, ან ვალდებულია მოვალის მიმართ რაიმეს შესრულებაზე, მან ნივთის დაბრუნება და ვალდებულების შესრულება უნდა განახორციელოს გაკოტრების მმართველის მიმართ.

8) გაკოტრების საქმის წარმოების გახსნისთანავე ძალას კარგავს ს.ს. „ლაინის" წინააღმდეგ ცალკეულ კრედიტორთა სასარგებლოდ დაწყებული, მაგრამ დაუსრულებელი იძულებითი აღსრულების ღონისძიებები.

9) გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის განჩინება გამოქვეყნდეს „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მოთხოვნათა დაცვით.

10) განჩინების გამოქვეყნების შემდეგ, ს.ს. „ლაინი"-ს მიმართ ვალდებულების შესრულება ბათილია, თუ შედეგი არ შევა გაკოტრების მასაში.

**მოსამართლე ბ. ვათიაშვილი.**

## განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტი აცხადებს ღია ტენდერს საწვავის შესასყიდად და იწვევს ტენდერში, მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს:

| № | საქონლის დასახელება | რაოდენობა (ლ) |
|---|---|---|
| ბენზინის საწვავი | | |
| 1 | სუპერი | 12 000 |
| 2 | ნორმალი | 44 000 |
| დიზელის საწვავი | | |
| 1 | L-62 | 50 400 |

2. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები, ქართულ ენაზე, უნდა წარმოადგინონ 2002 წლის 20 მაისიდან 28 მაისის ჩათვლით შემდეგ მისამართზე: საქართველოს უზენაესი სასამართლო, საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტი, ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32 (შესასვლელი არსენას ქუჩიდან).

3. ტენდერში გამარჯვებულმა საქონლის მიწოდება უნდა განახორციელოს დეპარტამენტის მოთხოვნის შესაბამისად შეთანხმების საფუძველზე, 2002 წლის განმავლობაში, ეტაპობრივად, ყოველთვიურად.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. იურიდიული პირისათვის.

- ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, ასევე არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);
- ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (საქართველოს ნოტარიუსთა პალატა);
- ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელ 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან);
- ცნობა, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ;

- საქმიანობასთან დაკავშირებული ლიცენზია, სერტიფიკატი ან ნებართვა.

4.2. ფიზიკური პირისათვის:

- ცნობა ქმედითუნარიანობის შესახებ (შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (შესაბამისი სასამართლოდან);
- ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულისათვის (შსს საინფორმაციო ცენტრი);
- ცნობა, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);
- „ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ;
- საქმიანობასთან დაკავშირებული ლიცენზია, სერტიფიკატი ან ნებართვა.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. პრეტენდენტმა შესყიდვის თითოეულ ობიექტზე უნდა წარმოადგინოს ცალ-ცალკე წინადადება;

7. საკვალიფიკაციო მონაცემების განხილვის შედეგები მონაცემების წარმომდგენ ყველა პირს წერილობით ეცნობება, საკვალიფიკაციო მონაცემების ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 დღისა;

8. სატენდერო დოკუმენტაციის ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებისათვის გადაცემა იწარმოებს 2002 წლის 8 ივნისიდან 20 ივნისამდე, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ;

9. პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ მისამართზე: საქართველოს უზენაესი სასამართლო, საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტი, ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32 (შესასვლელი არსენას ქუჩიდან).

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ნატო ტაკიძე, თენგიზ მაჭავარიანი, მისამართზე: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32 (შესასვლელი არსენას ქუჩიდან), ტ. 92-09-37.

**სატენდერო კომისია.**

## განცხადება

2002 წლის 5 ივნისს 15 საათზე მოწვეულია ს.ს. ქუთაისის „სოფლტექნიკის" აქციონერთა საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. 2000-2001 წლების სამეურნეო-საფინანსო შედეგების განხილვა.
(მომხსენებელი: დირექტორი ა. ნინუა)

2. ვადის გასვლასთან დაკავშირებით სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ხელახალი არჩევა.
(მომხსენებელი: სამეთვალყურეო საბჭოს თავ-რე ნ. ლიკლიკაძე).

სააქციო საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების სააღრიცხვო დღედ დადგენილია 2002 წლის 19 აპრილი.

**ს.ს. ქუთაისის „სოფლტექნიკის" სამეთვალყურეო საბჭო.**

ევრიკა!

# ველოსიპედის გამოგონება თურმე დღესაც შეიძლება...



**დღევანდელ ატომურ ხანაში ძნელად რომ ვინმე გააკვირვო რამით, თუმცა, ესეც შესაძლებელი ყოფილა. ამ წერილს ბოლომდე თუ ჩაიკითხავთ, ალბათ, დაგვეთანხმებით.**

ორიოდე დღის წინათ რედაქციაში სამტრედიელი ინჟინერ-მექანიკოსი **ზურაბ ახრახაძე** გვესტუმრა. გაგვეცნო თუ არა, მაგიდაზე ახალი მოდიფიკაციის ველოსიპედის მისეული გეგმა გადაგვიშალა. თავიდან ახალი ველოსიპედის გამოგონება ავტორის ახირებად ჩავთვალე, მაგრამ მალევე დავრწმუნდი, რომ ვცდებოდი.

57 წლის ზურაბ ახრახაძე სამტრედიელია. ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი აქვს დამთავრებული. სხვადასხვა დროს მუშაობდა ქუთაისის მცირეგაბარიტიანი სატრაქტორო ქარხნის საკონსტრუქტორო ბიუროში, სამტრედიის ხის დამმუშავებელ კომბინატში, ამჟამად მშობლიური რაიონის სააქციო საზოგადოება „იმერეთის" მთავარი მექანიკოსია.

ველოსიპედი ბავშვობიდანვე იტაცებდა. ეს არც არის გასაკვირი, რადგან სამტრედია მსოფლიოს იმ ქალაქთა რიცხვს განეკუთვნება, სადაც ეს „რკინის რაში" ტრანსპორტის „ეროვნულ სახეობად" არის აღიარებული...

ველოსიპედის პროტოტიპი ჯერ კიდევ XVII საუკუნიდან არის ცნობილი. დროთა განმავლობაში თანდათან იხვეწებოდა იგი და დღეისთვის ისეთი სახე მიიღო, რომ საკმაოდ მოარულ გამოთქმაშიც დამკვიდრდა. ახალ ველოსიპედს ნუ იგონებო, ეუბნებიან ადამიანს, რომელიც უკვე რაიმე არსებულის შექმნას ლამობს. მალე, შეიძლება, ამ გამოთქმამ ძალა დაკარგოს სამტრედიელი ინჟინრის მცდელობით.

– ჯერ კიდევ თხუთმეტიოდე წლის წინათ დამებადა ველოსიპედის ამძრავი მექანიზმის გაუმჯობესების იდეა, – მითხრა ბატონმა ზურაბმა, – მაგრამ მაშინ მოუცლელობის გამო ჩანაფიქრის განხორციელება ვერ შევძელი.

**– ახლა რამ გიბიძგათ, ამ საკითხს მიბრუნებოდით?**

– სპორტის დიდი ქომაგი ვარ. 1996 წლის ატლანტის ოლიმპიური თამაშებიდან ველოსპორტსმენთა შეჯიბრება აჩვენეს ტელევიზორში. კომენტატორმა გვაუწყა, ამერიკელებმა 150 ათასი დოლარი დახარჯესო სპორტული ველოსიპედის აეროდინამიკური მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად, სასურველ შედეგს კი ვერ მიაღწიეს. მაშინვე გადავწყვიტე, დამეთვალა, თითოეული სპორტსმენი ამძრავ მექანიზმს რამდენჯერმე დააბრუნებდა დროის გარკვეულ მონაკვეთში. 15 წამის განმავლობაში 25 ბრუნზე მეტი ვერავინ გააკეთა. არადა, ველოსიპედისა და ველომრბოლის შესაძლებლობანი მაქსიმალურად იყო გამოყენებული. ვიგრძენი, რომ სიჩქარის გასაზრდელად ამძრავი მექანიზმი უნდა გაუმჯობესებულიყო. დღევანდელ ველოსიპედებზე სატერფულების წრიული მოძრაობისას მომენტი ვარსკვლავას ლილვზე იცვლება ნულიდან მაქსიმუმამდე და პირუკუ, ანუ მომენტის სიდიდე არის ცვალებადი. სატერფულების წრიულ მოძრაობას ვერტიკალური მოძრაობით თუ შევცვლით, მაშინ მომენტი ვარსკვლავას ლილვზე მუდმივი სიდიდეა, რაც სიჩქარის გაზრდის საშუალებას გვაძლევს. ამძრავი მექანიზმის რადიკალური შეცვლით მარგი ქმედების კოეფიციენტი 50-60 პროცენტით გაიზრდება.

**– ეს – თეორიულად. პრაქტიკულად რამდენად არის ეს მოსახერხებელი?**

– რატომ – თეორიულად? იდეის ხორცშესასხმელად ქუთაისელ კოლეგებს დავუკავშირდი. გავთვალეთ პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები. შევადგინეთ მუშა ნახაზები და საქართველოს საპატენტო მოწმობაც მივიღე. ჩემი მეგობრის – თენგიზ ქართველიშვილის დახმარებით შევქმენი საცდელი მოდელი, რომელიც სტენდზე გამოვცადე. მარგი ქმედების კოეფიციენტმა 47 პროცენტს გადააჭარბა. მწამს, რომ მისი გაუმჯობესება შეიძლება. უფრო ნათელი თვალსაჩინოებისთვის დავძენ, რომ დღევანდელი ველოსიპედის მაქსიმალური სიჩქარე, ვთქვათ, საათში 60 კილომეტრია, ახალი ამძრავი მექანიზმის გამოყენებით კი იგი 90 კილომეტრს გადააჭარბებს.

**– გამოგიტყდებით, ეს, მართლაც, საოცრებაა. თქვენი გამოგონებით ნუთუ არავინ დაინტერესდა?**

– რამდენიმე ქარხანას მივმართე დახმარებისთვის. ზოგან ყურიც არ მათხოვეს, რადგან სათანადო თანხა არ მქონდა, ზოგან კი მანქანა-დანადგარები ვერ უზრუნველყოფს ამძრავი მექანიზმის დეტალებზე საჭირო სიზუსტეს. ბიზნესმენთაგანაც არავინ გამიმართა ხელი. უცხოელები დაინტერესდნენ ჩემი გამოგონებით. მაგალითად, შვედები მზად არიან, დამაფინანსონ, მექანიზმის მარგი ქმედების კოეფიციენტი თუნდაც 20 პროცენტით გაიზარდოს, ოღონდ ევროპატენტია აუცილებელი, რაც სამი ათასი ამერიკული დოლარი ღირს. ამდენი თანხა, რასაკვირველია, მე არა მაქვს. ბატონმა თენგიზ ქართველიშვილმა მოსკოველებთან დამაკავშირა. მათ შემომთავაზეს, პროექტი ჩამოიტანე, საცდელ ველოსიპედებსაც გამოვუშვებთ და შეჯიბრებასაც მოვაწყობთო. ჯერჯერობით თავს ვიკავებ გამგზავრებაზე, იქნებ, ჩვენთან დაინტერესდეს ვინმე. გულით მინდა, რომ ახალი ველოსიპედი საქართველოში იშვას..

ბატონმა ზურაბმა მუშა ნახაზების მოშველიებით დაწვრილებით აგვიხსნა ახალი ამძრავი მექანიზმის მუშაობის პრინციპი. თუ ამ იდეას ხორცი შეესხმება, სპორტსმენი შეძლებს მინიმალური ფიზიკური დატვირთვით მაქსიმალური სიჩქარის განვითარებას. იქნებ ღირდეს ამ საკითხზე სპეციალისტთა და ბიზნესმენთა დაფიქრება, რადგან, ავტორის გათქმით, სიახლეს არა მარტო ტექნიკური უპირატესობის, არამედ დიდი ფინანსური მოგების მოტანაც შეუძლია.

**ვაჟა დანელია.**





**სურათებზე:** ინჟინერ-გამომგონებელი ზურაბ ახრახაძე; სტენდზე იცდება ახალი ველოსიპედი; ახალი ველოსიპედის ტექნიკური ნახაზი.

გამოიცა

# ფალავნების საკრებულო

**გამოვიდა ჟურნალისტისა და სპორტსმენის გაბრიელ ბარჯაძის მეათე სპორტული წიგნი „საქართველოს მოჭიდავე-ფალავნები". მას ეპიგრაფად აქვს რუსთაველის პრემიის ლაურეატის შოთა ნიშნიანიძის ლექსის სტროფი:**

„ერო, ფალავნების საკრებულო, / თუ გსურს ფალავნობა გაიგრძელო, / იყავ გუშინდელზე გონიერი".




აქ გაეცნობით საქართველოს გამოჩენილ მოჭიდავეებს – ოლიმპიურ, მსოფლიოს, ევროპის, ყოფილი სსრკ-ს ჩემპიონებსა და პრიზიორებს, მათ ბიოგრაფიულ მონაცემებს და უმთავრეს სპორტულ მიღწევებს, აგრეთვე უცხოეთის სახელით მოასპარეზე საქართველოს ფალავნებს, ექსტრაკლასის მსაჯებს და ცნობილი ფალავნების მწვრთნელებს.

წიგნში, რომელიც 500 ეგზემპლარად დაისტამბა, 100-ზე მეტი ფოტოსურათია დაბეჭდილი, ოთხასამდე მოჭიდავეა დასახელებული. ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის თანაპრეზიდენტის აკაკი ბორცვაძის სპონსორობით გამოცემულ 248-გვერდიან ამ საცნობარო ხასიათის, მომცრო ფორმატის წიგნში გაეცნობით თუ სად და როდის გაიმართა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები, ოლიმპიური თამაშები.

საქართველოს ქალაქებსა და რაიონებს გარდა, უნდა იამაყონ ჩვენმა სოფლებმაც, სადაც დაიბადნენ ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონები. წიგნიდან ვგებულობთ, რომ ასეთი სოფლებია. მაგალითად, კონდოლი (თელავი), ხურუთი (ონი), ღანირი (სამტრედია), საყულია (წყალტუბო), მუხურჩა (მარ-ტვილი), ჩოჩხათი (ლანჩხუთი), არგვეთა (ზესტაფონი), სართიჭალა (გარდაბანი), ღელევი, ძლევისჯვარი, ფცა, ზემო ხვედურეთი (ქარელი), სკრა, რიეთი (გორი), მარტყოფი (გარდაბანი), დიმი (ბაღდათი), მეტეხი, ზემო ჩოჩეთი (კასპი), გალავანი, წილკანი (მცხეთა)...

წიგნი მოიცავს ყველა საერთაშორისო ასპარეზობის და საქართველოს ათლეტების მიერ საჭიდაო ხალიჩაზე მოპოვებულ გამარჯვებებს საერთაშორისო შეჯიბრებებზე – 1934-2001 წლების თითქმის 70-წლიან მონაგარს.

**გიორგი ქართველიშვილი.**

იმედი ხვალის

# დიპლომთან ერთად — ოქროს მედალი

რამდენიმე წლის წინათ საქართველოში შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მცხოვრები ათიათასობით ქართველი უსახლკაროდ დატოვა. საკუთარი საცხოვრისიდან ოტებულებმა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეს შეაფარეს თავი. ეკონომიკური სიდუხჭირის მიუხედავად, მაინც მხნედ არიან და საკუთარ კერაზე დაბრუნების იმედით ცოცხლობენ. ერთობიან, სწავლობენ, სპორტშიც აქტიურად მონაწილეობენ. ბევრმა უკვე საერთაშორისო ტურნირებზე ჯილდოების მოხვეჭაც მოასწრო, ზოგიც ახლა ემზადება დიდ სარბიელზე გასასვლელად. ერთ-ერთი გახლავთ **ჯონი ფენაშვილი,** რომელსაც დღეს 15 წელი უსრულდება.



იგი თბილისში დაიბადა 1987 წელს. მერე სამი წელიწადი ცხინვალში იზრდებოდა. ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში იქ შექმნილი ვითარების გამო ფენაშვილების ოჯახი დედაქალაქში გადმოვიდა საცხოვრებლად. ჯონი ამჟამად თბილისის მე-15 საშუალო სკოლის მეცხრეკლასელია. სპორტითაც იქ დაინტერესდა.

– კარატე პატარაობიდანვე მიტაცებდა, – გვითხრა ჯონიმ – ორი წლის წინათ მამამ თავის მეგობართან ტიგრან ავეტისიანთან მიმიყვანა. ახლაც მასთან ვვარჯიშობ.

ნიჭიერი ჭაბუკი მალევე დაეუფლა აღმოსავლური ორთაბრძოლის საიდუმლოებებს. რამდენიმე თვის დაწყებული ჰქონდა ვარჯიში, პირველსავე პაექრობაში მე-3 ადგილი რომ დაიკავა. შარშან დეკემბერს საქართველოს პირველობაზე ყველას აჯობა თანატოლებში და დიპლომთან ერთად ოქროს მედალიც მიიღო. წლეულსაც წარმატებით იასპარეზა რამდენიმე საკონტროლო შეჯიბრებაში და საქართველოს ნაკრებში დაიმკვიდრა ადგილი. მაისის ბოლოს იგი კავკასიის ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას და, იმედია, იქაც გვასახელებს.

**მაკა წერეთელი, მირანდა ჭოჭუა.**

**სურათზე:** უტევს ჯონი ფენაშვილი.

ყოველი მხრიდან

### ფინალში — კარპოვი და ანანდი



პრაღაში ფინიშს მიუახლოვდა დიდი საერთაშორისო ტურნირი სწრაფ ჭადრაკში, რომლის საპრიზო ფონდი 500 ათასი ეროა.

დღესა და ხვალ გაიმართება ფინალური მატჩი რუსეთელ ანატოლი კარპოვსა და ინდოელ ვიშვანათან ანანდს შორის.

ნახევარფინალურ შეხვედრებში კარპოვმა დაამარცხა „ესპანელი" ალექსეი შიროვი – 2,5:1,5. ანანდმა კი იგივე ანგარიშით სძლია უკრაინელ ვასილი ივანჩუკს, რომელმაც წინა ეტაპზე პირველობისთვის ბრძოლიდან გამოთიშა გარი კასპაროვი.

პირველი ადგილისათვის ფინალისტები გაითამაშებენ თითო კლასიკურ პარტიას. თუ გამარჯვებული არ გამოვლინდება, გაიმართება ორი „სწრაფი" პარტიისაგან შემდგარი ტაი-ბრეიკი, ხოლო თუ ამანაც არ უშველა, მაშინ საქმე ბლიცპარტიებამდე მივა.

ისე რომ, ტურნირის გამარჯვებული ხვალ გახდება ცნობილი.

**სურათებზე:** ფინალისტები ანატოლი კარპოვი და ვიშვანათან ანანდი.

### ფეხსაცმელი გახადეს — სიკვდილი მიუსაჯეს

კამერუნის ნაკრებისა და ესპანური კლუბის „მალიორკას" ფეხბურთელს სამუელ ეტო'ოს, ადრე მადრიდის „რეალში" რომ თამაშობდა, ბრალად ედება თავის აგენტის დანიელ არგიბოტის ცემა. როგორც თავად დაზარალებული ესპანური სპორტული გაზეთისათვის **„Marca"** მიცემულ ინტერვიუში აცხადებს, გასულ სამშაბათს კამერუნელი ფეხბურთელი სამ თანამზრახველთან ერთად მას დაუყარაულდა „მალიორკას" ოფისთან, ყოფილ აგენტს თავში მუშტი ჩაარტყეს, როცა ის დაეცა, ფეხსაცმელი გახადეს კამერუნელი წეს-ჩვეულებით ეს ნიშნავს სიკვდილით დამუქრებას.

არგიბოტის თქმით, ის მალიორკაში ჩავიდა, რათა ფული მიეღო 21 წლის ფეხბურთელისაგან, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატზე უნდა დაიცვას კამერუნის ეროვნული ნაკრების ღირსება.



### იან ულრიხმა თავი შეირცხვინა

პლანეტის ერთ-ერთი უძლიერესი ველოსიპედისტი, გერმანული გუნდის „ტელეკომის" ლიდერი იან ულრიხი, ალბათ, გერმანიის სასამართლოს წინაშე წარსდგება როგორც საგზაო-საავტომობილო შემთხვევაში დამნაშავე. ულრიხს ბრალად ედება არა მარტო ორ ველოსიპედისტზე დაჯახება, არამედ შემთხვევის ადგილიდან მიმალვაც. როგორც რეიტერი იუწყება, საბედნიეროდ, სერიოზულად არავინ დაშავებულა.

„ჩვენი გუნდის ლიდერი ასე არ უნდა მოქცეულიყო. ეს დაუშვებელია, – განაცხადა „ტელეკომის" სპორტულმა დირექტორმა რუდი პევენეიმ, – უეჭველია, ულრიხის მიმართ გამოვიყენებთ საჯარიმო სანქციებს".

28 წლის ულრიხმა მხოლოდ ახლახან მოიშუშა მუხლის ტრავმა. ამის მიუხედავად, ის რჩება ყველაზე პოპულარული რბოლის „ტურ დე ფრანსის" ერთ-ერთი მთავარ ფავორიტად. იანმა 1997 წელს გაიმარჯვა „დიდი მარყუჟის" შეჯიბრებებში, ბოლო სამი წელი კი ის სახელოვანი ამერიკის, ლანს არმსტრონგის მთავარ მეტოქედ ითვლებოდა.

### ცინცხალი ამბები




ინგლისის ქალაქ ხარტლპულის საფეხბურთო კლუბის ცოცხალმა თილისმამ აგნუს-მაიმუნმა, იგივე სტიუარტ დრამონდმა ქალაქის მერის არჩევნებში გაიმარჯვა. იგი ყოველწლიურად 53 ათას კუნტ სტერლინგს მიიღებს. როგორ გაართმევს თავს მერის სავარძელს 28 წლის სტიუარტი ამას მომავალი გვიჩვენებს.



50 პოლიციელი ოფიცერი დაშავდა ლონდონის სამხრეთში. ლონდონის „მილუოლისა" და „ბირმინგემ-სიტის" მატჩის შემდეგ, როდესაც „მილუოლი" საკუთარ მოედანზე დამარცხდა. ათასობით გულშემატკივარმა ნამდვილი ომი გამართა სტადიონზე.

**სპორტის რედაქცია**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 107-108, შაბათი, 4 მაისი, 2002 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ალბომში

### ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



რევაზ ანდრონიკაშვილი (მარჯვნივ), მეუღლესთან — სონიასთან და შვილებთან — ლადოსა და გურამთან (დგას) ერთად. 1950 წელი.

ფოტო მოგვაწოდა ნინო ანდრონიკაშვილმა.

## პრესა

### ეს აუცილებელია დემოკრატიისათვის

პრესის თავისუფლების საერთაშორისო დღეს, საფუძვლად დაედო გაეროს დახმარებით განთავისუფლებულ ნამიბიის (აფრიკა) დედაქალაქ ვინდჰუკში იუნესკოს მიერ 1991 წლის 3-5 მაისს გამართული რეგიონული სემინარი. ამ სემინარზე მიღებულმა დეკლარაციამ მასმედიის სამყაროზე იმდენად დიდი ზეგავლენა იქონია, რომ 1993 წლის ბოლოს გაეროს ინიციატივით 3 მაისი პრესის თავისუფლების საერთაშორისო დღედ გამოცხადდა.

ეს თარიღი მეორე წელიწადია, რაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის და იუნესკოს საქმეთა მეორე ეროვნული კომისიის ერთობლივი ღონისძიებებით აღინიშნება.

წლეულსაც, ამ თარიღს მიეძღვნება „მრგვალი მაგიდა“ თემაზე: „სიტყვის თავისუფლება და თავისუფალი სიტყვა“; ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო-შემოქმედებითი კონფერენცია, შეხვედრა საქართველოს უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარესთან ლადო ჭანტურიასთან.

გაზეთ „ახალგაზრდა ჟურნალისტის“ სპეციალურ ნომერში სტუდენტები ჟურნალისტის უფლებებისა და მოვალეობების, საქართველოში თავისუფალი სიტყვის არსებობის შესახებ თავიანთ დამოკიდებულებას გამოხატავენ.

### გილოცავენ

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსამსახური გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ შემოქმედებით კოლექტივს გულითადად გილოცავთ პრესის თავისუფლების საერთაშორისო დღეს და პროფესიულ საქმიანობაში შემდგომ წარმატებებს გისურვებთ. დამოუკიდებლობის გარდამავალ ეტაპზე ერთ-ერთი უმთავრესი, რაც საქართველომ მოიპოვა თავისუფალი სიტყვისა და აზრის ერთობლივი დემოკრატიული სინთეზია, რაც ჩვენი საზოგადოებისთვის უდიდეს მნიშვნელობას წარმოადგენს. მოხარული ვართ, რომ თქვენი ჟურნალისტური ეთიკიდან გამომდინარე ეს პრინციპები დაცულია და ამასთან სახელმწიფოებრივი მიზნების განხორციელებაში საკუთარი წვლილი მიგიძღვით.

**საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსამსახური.**

## ანსამბლი

### ლეგენდების ქვეყნიდან — კვიპროსში



**როცა ლეგენდების ქვეყნიდან უცხოეთში ფესტივალზე მიდიხარ, როცა წარმტაცმა ქართულმა ცეკვებმა უკვე თითქმის მთელი პლანეტა მოაჯადოვა, როცა გინახავს, ან გსმენია, რამდენი ჯადოქარი ჰყავდა ქართულ ცეკვას, მღელვარება და პასუხისმგებლობა ერთიანად იზრდება.**

ეს სიტყვები — თბილისის მოსწავლეთა სასახლის ანსაბლ „მერანის“ ხელმძღვანელის რეზო ჭანიშვილისა და მაკა ქაშაკაშვილის განწყობას უფრო ესადაგება, ბავშვები კი, მათი ანსამბლის წევრები, ისე ლაღად და შესაშური უდარდელობით გრძნობდნენ თავს, რომ მათი მხიარული განწყობილება ბოლოს ყველას გადაედო და თბილისიდან ჩრდილო კვიპროსამდე საკმაოდ დამქანცველი გზა სულ სიმღერითა და ოხუნჯობით გაიარეს. ის კი არადა, ტასუჯუდან გარნამდე ხმელთაშუა ზღვაზე ამოვარდნილმა ქარმა და გაავებულმა ზღვამაც ვერ შეაკრთო პატარა მოცეკვავეები.

ანსამბლი ზღვისპირა ქალაქ ლაპტაში დაბინავდა. ქართველს ზღვითა და ბუნების სილამაზით ვერ გააოცებ, მაგრამ ლილისფერმა, ვამკამა წყალმა, აყვავებულმა ბუნებამ და თეთრმა, ქათქათა სასტუმრომ „მერანელებს“ სული სითბოთი აუვსო და ზღვაზე გადატანილი მღელვარება მალე გადაავიწყა.

ხალხური ცეკვების ფესტივალი ქალაქ გიუზელ-იურტში გაიხსნა. გიუზელ-იურტი კი, როგორც მითხრეს, ლამაზ მხარეს ნიშნავს და თავის სახელს, მართლაც ამართლებსო...

ფანფარების ხმაზე, სპორტსალონის ეზოში, ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილმა ოცამდე კოლექტივმა ჩაიარა. მერე კი ფერად-ფერადი კოლონები ქალაქის ქუჩებისკენ დაიძრა. ქუჩები სავსე იყო ხალხით.

მოსახლეობა ტაშითა და ღიმილით ხვდებოდა ფესტივალის მონაწილეებს.

კოლონა ბოლოს ისევ სპორტსალონს დაუბრუნდა. ოცი ანსამბლიდან „მერანი“ მეთორმეტე გამოდიოდა. მაყურებელი ტაშით აჯილდოებდა ყოველი კოლექტივის გამოსვლას. დიდი მოწონება ერგო ანკარის უნივერსიტეტის სახელმწიფო ანსამბლს, ხოლო „მერანის“ გამოსვლამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მთელი ჟიური ფეხზე წამოდგა და ცეკვის დამთავრებამდე არ შეწყვეტილა ოვაციები.

— მეორე დღეს ფესტივალი ლეფკეს ქუჩებში გაგრძელდა. კონცერტები გაიმართა ნიქოზიასა და გიუზელ-იურტის სოფლებში. „მერანი“ ესტუმრა გიუზელ-იურტის გუბერნატორსა და ქალაქის მერს.

უცებ გაირბინა ლამაზმა დღეებმა და ფესტივალის დასკვნითი კონცერტი კვლავ გიუზელ-იურტის სპორტსალონში გაიმართა. „მერანის“ წევრებისათვის ეს დღე განსაკუთრებით დაუვიწყარი იყო. ჟიურთან ერთად ახლა უკვე მთელი დარბაზი წამოდგა ფეხზე და სთხოვა პატარა მოცეკვავეებს კიდევ ერთხელ გაემეორებინათ ცეცხლოვანი ქართული ცეკვა.

ფესტივალის ორგანიზატორმა ქემელ დურუსტმა „მერანის“ მოცეკვავეებს ფესტივალის გამარჯვებულის დიპლომი და ფასიანი საჩუქარი გადასცა.

ცხადია, „მერანის“ გამარჯვება მისი ხელმძღვანელის რეზო ჭანიშვილის თავდაუზოგავი შრომის ნაყოფიცაა. როგორც ბატონ რეზოზე წერენ, მას მაღალი მწვერვალებისკენ მიჰყავს დიდი გემოვნებითა და საკუთარი ხელწერით შექმნილი ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნება.

„მერანი“ კიდევ ერთხელ გამარჯვებული დაუბრუნდა სამშობლოს.

**იზა ჯაჭვაძე.**

**სურათზე: ანსამბლ „მერანის“ მოცეკვავეები კვიპროსში.**



## გამოფენა

### პარიზული ხედები და ქართული პეიზაჟები ამერიკის საელჩოში

„პარიზი ლამაზი სიზმრის და ღვთიური სილამაზის სინთეზია. პარიზი ის ქალაქია, სადაც ხელოვანი უსაქმოდ ერთ წუთსაც ვერ ჩერდება: ან ქმნის ან სულიერ სიახლეებს იძენს და მდიდრდება პარიზული მშვენიერების სიკეთით... პარიზში დიდი ხნით შემოქმედებითი ცხოვრება სამოთხეში ყოფნის ტოლფასია“. ასეთი შთაბეჭდილებით ჩამოდის ცნობილი ქართველი მხატვარი — რეზო ადამია ხელოვნების და მხატვართა საერთაშორისო ქალაქიდან, სადაც იგი მაისიდან ივლისის ჩათვლით სამუშაოდ მიიწვიეს და სადაც სხვა მხატვრებთან ერთად არჩეულია ოტელ დრუოს წევრად საგამოფენო აუქციონ-გაერთიანებაში, რომელიც წელიწადში 3-ჯერ იმართება. მანამდე რეზო ადამიას ორი პარიზული გამოფენა ჰქონდა, რამაც მას დიდი აღიარება მოუტანა და გაჩნდა სურვილი, რომ ქართველ მხატვარს თავისი ცნობიერებისა და სულის პრიზმაში გარდასახული, უცხო თვალითა და გრძნობით აღქმული პარიზული პეიზაჟები აესახა თავის ტილოებზე. იმ 33 სურათიდან, მხატვარმა ამ ხნის განმაველობაში რომ შექმნა, მხოლოდ 12 სურათის ჩამოტანა შეძლო, დანარჩენები პარიზის გალერეებში და კერძო კოლექციონერებთან დარჩა.

**რეზო ადამია:** პირველ სამუშაო დღეს, სენის სანაპიროდან ამოვედი და რაც შეიძლება ფრთხილად მომაქვს პარიზული პეიზაჟი. დაღლილ-დაქანცულმა მრავალსაფეხურიანი ქვის კიბეები ამოვიარე. თან მიხარია პირველი მოსავალი შემაქვს დღეს ჩემს ატელიეში-მეთქი. ასე ამოვედი ჰოტელ-დევილეს წინ. ამ დროს პარიზელი ფრანგი ინტელიგენტი მაჩერებს თავისებური კეთილი ღიმილით. მის მზერას ახლადშობილი სურათი შევაგებე. რამდენი მოგართვათ ამ სურათში? ათასი ფრანკი — ვეუბნები. ისიც უსიტყვოდ იღებს ფულს და მაწვდის. ასე მოულოდნელად ჩემი პირველი პარიზული სურათი უცნობმა ფრანგმა გააქანა ჰოტელ-დევილეს მიმართულებით. ამდაგვარი შემთხვევები ჩვენს დღეში მყოფი მხატვრებისათვის სანატრელია, მაგრამ იმ წუთებში რატომღაც საშინლად დამწყდა გული. თითქოსდა ამ პიროვენებამ გამძარცვა და პირველი პარიზული სიხარული წამართვა...

...მაგრამ ასეთი „ძარცვა“ ზოგჯერ აუცილებელია იმისათვის, რომ კვლავ შექმნა. შემოქმედება, შექმნის პროცესი კი უმთავრესია ყველა ჭეშმარიტი ხელოვნისათვის.

თებერვლის თვეში თბილისის ამერიკის საელჩოში მოწყობილ (ორგანიზატორები ამერიკის საელჩოს კულტურისა და პრესის ატაშე ქ-ნი შირონ ჰადსონდინი და კულტურისა და პრესის ატაშეს თანაშემწე მაგდა მაღრაძე) რეზო ადამიას დახურულ გამოფენა-გაყიდვაზე სწორედ ეს „გადარჩენილი“ პარიზული პეიზაჟები იყო წარმოდგენილი — სულ 42 სურათი, მათ შორის იყო, აგრეთვე, ქართული პეიზაჟები და აბსტრაქტული კომპოზიციები. ყოველი მათგანი რეზო ადამიას ცხოვრებისა და შემოქმედების სხვადასხვა ეტაპს უკავშირდება და ამდენად, მისი შინაგანი მდგომარეობისა თუ მსოფლაღქმის მეტად საინტერესო წახნაგებს მოიცავს. „თოვლი სამეგრელოში“ ნახატების მთელი სერიაა, რომელიც აფხაზეთის დაკარგვის წლებშია შექმნილი. სერიამ წარმატებით მოიარა როგორც საქართველოს, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების საგამოფენო დარბაზები და ყველგან შექმნილი სულიერი ლტოლვის კვალი დატოვა. დამთვალიერებლები დიდხანს დგანან ამ ნახატების წინ და ამ თოვლიანი მძიმე ფიქრებში იძირებიან. მარტოობა, სიცივე, მიუსაფრობა, ნოსტალგია... მოქუფრული კოლხური ოდებიდან კვამლი არ ამოდის. ისინი პატრონს ელიან... საერთოდ კი, რეზო ადამიას სხვა ნახატები ფერადოვანია, კაშკაშა. ეს ფერები კი ყველაზე მეტად სენის წყალსა და პარიზის ცაზე აირეკლებიან. პარიზის ცა მსუბუქია და მოვარდისფრო. აქვეა „ლუვრი“, „ახალი ხიდი კატარლით“, „ლუვრი და სენა“, „სამეფო ციხე მონმარტთან“ „ოტელ დევილი“, „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“, „ყვითელი ხიდი“... თვალისმომჭრელი, მკვეთრი მონასმები და ჰაეროვანი გადასვლები პასტელის ფერებში... ულამაზესი პარიზული ხედები, უმშვენიერესი ქართული პეიზაჟები, ფიროსმანის ეზოდან დანახული წმინდა გიორგის ეკლესია კავკასიონის თოვლიანი მთების ფონზე, „ბოლნისის სიონი“, „სუმელას მონასტერი ტრაპიზონში“, „ბიზანტიური კედლები“. მხატვარს შემოქმედებითი მუშაობა უწევდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში; პარიზმა ყველაზე მეტადააფორიაქა მისი სული. აპრილში ისევ იწვევენ სამი თვით, მაგრამ...

— ისევ ჩემს საქართველოს და კუთხეს შემაბეროს გამჩენმა ღმერთმა. პარიზის თემაზე შემოქმედებითი მუშაობა გიგანტთან ჭიდილს მიაგავს, ჩემს მშობლიურ სოფლებში მუშაობისას კი მაისის პეპელასავით ვგრძნობ თავს, თითქოს აქ უფრო მომწვდარ ჩემი მფარველი ანგელოზი.

გამოფენაზე წარმოდგენილი მესამე სერია აბსტრაქტულ ნახატებს მოიცავდა: „ბედის დენა“, რომელიც ტიციან ტაბიძის ხსოვნას ეძღვნება, „ღამის დინამიკა“ შავი ცის ფონზე აგორებული წითელი ქაოსი. „8 აპრილს საგანგაშოდ ჩასული მზე“. — ეს მზე სისხლისფერია, რომელიც 9 აპრილის დილას ძაძებში შეიმოსება და დააბნელებს მთელ საქართველოს.

„სამყაროს თვალი“ კი სხვადასხვა ფერის ზეთის საღებავებისაგან სხვადასხვა ზომის მძივებითაა მიმოფანტული და საბოლოოდ ერთ ფოკუსში იყრის თავს.

მიუხედავად იმისა, რომ ფართო საზოგადოებრიობა მოკლებული იყო ამ გამოფენის ხილვის შესაძლებლობას, მან თავისი მისია მაინც შეასრულა, რაც ამერიკის საელჩოს წარმომადგენლების და სხვა უცხოელი სტუმრების მიერ საქართველოს კულტურული ცხოვრების გაცნობისა და დაახლოების მხრივ კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იყო.

**ხათუნა წულაძე.**

**სურათებზე: რეზო ადამიას ნამუშევრები — „სამეფო ციხე-სიმაგრე“ და „ხის ხიდი“; ამერიკის საელჩოს კულტურისა და პრესის ატაშე შერინ ჰადსონ-დინი და კულტურისა და პრესის ატაშის თანაშემწე მაგდა მაღრაძე მხატვართან ერთად.**







## ყველა ქართველი პოეტია

### სააღდგომო კვერცხები

სააღდგომოდ ბებიამ
ამოაწყო კვერცხები,
ბუხრის ცეცხლზე
შემოდგა,
ხაჭაპურის კეცები.
მე კი ენდრო დავნაყე,
ვშრომობ, ესეც ბედია.
ჩურჩულებდა ბებია:
— შემოგევლოს ბებია!
ჯაჯამ ქვაბი შემოდგა,
მე კი შრომით
ვერ ვძლები...
და ქვაბიდან ამომაქვს,
სულ წითელი
კვერცხები...

**ბადრი მეგრელიშვილი.**

ნახატი ლექსის ავტორისა.



## ღიმილის დოზა



ინგლისელი ქალი მეგობარს, რომელიც შოტლანდიელის ცოლია, ეკითხება:

— შენი ქმარი ხელმომჭირნეა?

— როგორც ყველა შოტლანდიელი! მესამე წელიწადია ერთსა და იმავე მოსახევ კალენდარს ხმარობს.

* * *

ერთმა გაზეთმა გამოაცხადა კონკურსი საუკეთესო წინადადებაზე ეკონომიის თემაზე. გაიმარჯვა შოტლანდიელმა, რომელმაც შეიტანა წინადადება; პირველი პრემია 25 ფუნტიდან 10 ფუნტამდე შეემცირებინათ.

* * *

— რა განსხვავებაა სიყვარულსა და ფულს შორის?

— თუ ვინმეს ფულს გაუნაწილებ, ამით მხოლოდ წააგებ, თუ სიყვარულს — მაშინ, პირიქით, მოიგებ. ამიტომ იდეალური ვარიანტია — გაუზიარო სიყვარული იმას, ვისაც ფული აქვს.

* * *

მასწავლებელი: — ბავშვებო, დაიხსომეთ — ლონდონი, პარიზი და ბერლინი დნეპრის მარცხენა ნაპირზეა, ტოკიო და პეკინი — მარცხენაზე.

* * *

უდაბნოს ქვიშაში მიხოხავს კაცი, წყურვილი კლავს. ხედავს ბოთლია. გახსნა. ამოვიდა ჯინი.

კაცი ჯინს ეუბნება.

— ჯინ, მწყურია, ვკვდები!

— წავიდეთ.

— არა ჯინ, სწრაფად შემასვი წყალი.

— მაშინ... გავიქცეთ!

* * *

თეატრში მაიკლმა დაინახა, რომ პარტერში მჯდომი ერთი მაყურებლის ძაღლი საოცრად განიცდის სპექტაკლის მსვლელობას. წარმოდგენის დამთავრების შემდეგ მივიდა იმ ძაღლის პატრონ ქალბატონთან და ეუბნება:

— გაოცებული ვარ: თქვენი ძაღლი სპექტაკლით აღფრთოვანებულია!

— მე თქვენზე ნაკლებ როდი ვარ გაოცებული: პიესა რომ წაიკითხა, ძალიან არ მოეწონა.

## განცხადება

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში საქართველოს კანონით „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“ გათვალისწინებული გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად ს.ს. გაერთიანებული ენერგოსისტემა „საქრუსენერგო“-ს მიერ წარმოდგენილია I კატეგორიის საქმიანობაზე.

„500 კვ.-ე.გ. ხაზი „კავკასიონი“-ს მესტიის რაიონის, სოფ. ტობარის ტერიტორიიდან გადატანის“ პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

საპროექტო დოკუმენტაციების გაცნობა და წერილობითი შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარმოდგენა შესაძლებელია 2002 წ. 18 ივნისამდე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს პრესცენტრში თბილისი, კოსტავას № 68 ა VI სართული და გარემოსდაცვითი ნებართვისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტში თბილისი, ფალიაშვილის № 87, ტ: 25-02-19.

საჯარო განხილვა შედგება 2002 წლის 18 ივნისს 12.00 საათზე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საკონფერენციო დარბაზში.

**გარემოსდაცვითი ნებართვისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტი.**

---

სს „თბილხელსაწყო“ აცხადებს, რომ 2002 წლის 30 მაისს 15 საათზე გაიმართება აქციონერთა მორიგი საერთო კრება.

**დღის წესრიგი.**

1. სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორის ანგარიში.
2. აუდიტორის არჩევა 2002 წლისათვის.

*მისამართი: მოსკოვის გამზირი № 24-ა.*

**საზოგადოების დირექტორატი.**

---

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

ავტორებს ვთხოვთ, 3-4 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

## ძეგლი

### პომპეუსის ხიდი (მცხეთის ძველი ხიდი)

საქართველოში ხიდების მშენებლობას დიდი ყურადღება ექცეოდა. ძველი ხიდებითაა მოფენილი მთელი ჩვენი ქვეყანა. ერთ-ერთი უძველესი ხიდის ნარჩენი მდებარეობს მცხეთასთან, მდ. მტკვარზე. მისი აგება დაკავშირებულია რომის იმპერატორის გნეუს პომპეუსის შემოსვლასთან.

ძველი წელთაღრიცხვის 65 წელს პომპეუსმა ქართლში ილაშქრა, მტკვრის მთელი მარჯვენა მხარე დაიმორჩილა და არმაზის ციხეს მიადგა. ქართლის მეფემ არტაგმა მტკვარზე არსებული ხიდი დაწვა და მარცხენა ნაპირზე გამაგრდა. პომპეუსი მაინც გადავიდა მტკვარზე და სისხლისმღვრელი, სასტიკი ბრძოლის შემდეგ ქართლი დაიმორჩილა. შემდეგ მტკვარზე ქვის ხიდიც ააგო.

აი, სწორედ პომპეუსის ხიდის ეს ნარჩენებია სურათზე აღბეჭდილი. იგი XX საუკუნის შუა ხანებში შეაკეთა ინჟინერმა ტერმინმა.

**თამაზ ქიქავა,**
**ავტორის ფოტო.**



## ხსოვნა

### მარიკა წინამძღვრიშვილი



ჩვენგან წავიდა ჭეშმარიტი ექიმი-პროფესიონალი, შრომისმოყვარე, კეთილი, უწყინარი და უმწიკვლო ადამიანი, სიწმინდისა და პატიოსნების განსახიერება ქალბატონი მარიკა წინამძღვრიშვილი.

ქალბატონმა მარიკამ განვლო ღვაწლმოსილი და სახელოვანი გზა ექიმი- მკურნალისა. მთელი მისი მოღვაწეობა დაკავშირებული იყო მისი მამის — აკადემიკოს მიხეილ წინამძღვრიშვილის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით დაარსებულ კარდიოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან. მან წარუშლელი კვალი დატოვა მშობლიური ინსტიტუტის მატიანეში, როგორც მაღალი რანგის პროფესიონალმა და ამავე დროს შესანიშნავი პიროვნული თვისებებით დაჯილდოებულმა ადამიანმა — კეთილსინდისიერმა, თავმდაბალმა, ფაქიზი სულის პიროვნებამ და ღირსეულმა მეოჯახემ.

ქალბატონ მარიკას დიდი, სამედიცინო ტრადიციებით სავსე ოჯახი ყოველთვის ხალხის სამსახურში იდგა. გარდა მამისა, ცნობილი და დამსახურებული მეცნიერები და ექიმი-კლინიცისტები იყვნენ მისი ძმა და მეუღლე, ბატონები ვახტანგ წინამძღვრიშვილი და გივი კორინთელი. ხოლო ამჟამად ამ შესანიშნავ ტრადიციებს ღირსეულად აგრძელებენ ქალბატონ მარიკასა და ბატონ ვახტანგის შვილები.

მეტად მტკივნეულია გამოთხოვება ქალბატონ მარიკასთან, ადამიანთან, რომელსაც ცხოვრებაში მხოლოდ სიკეთე უკეთებია, მადლი დაუთესავს, სითბო გაუცია და სიხარული მიუნიჭებია. სწორედ ამიტომაც მის ხსოვნას სამუდამოდ შემოინახავენ არა მხოლოდ მისი ოჯახი, კოლეგები, მეგობრები და პაციენტები, არამედ ყველა, ვინც კი მას იცნობდა.

**მ. წინამძღვრიშვილის სახ. კარდიოლოგიის ინსტიტუტი.**

---

საქართველოს გენერალური პროკურატურა იუწყება, რომ გარდაიცვალა ქვემო ქართლის საოლქო პროკურორის უფროსი თანაშემწე

ნიკოლოზ მაჭარაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ქვემო ქართლის საოლქო პროკურორის უფროსი თანაშემწე

ნიკოლოზ მაჭარაშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

მიხეილ გურამიშვილის სახელობის პედიატრიული კლინიკის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან კლინიკის დოცენტის ლალი ბეიტრიშვილის დედამთილის

მარიკა წინამძღვრიშვილის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

გარდაიცვალა აფხაზეთიდან დევნილი

მანანა კარლოს ასული ქანთარია-ბერაია

დაკრძალვა 7 V მოსკოვი (დომოდედოვო) კორნეევას ქ. №44, ბინა 14.

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-98“

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, გურამ ბოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბექა ჭედია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი ბონდო მძინარაშვილი.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა - PRESS-98@CAUCASUS.NET

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რჯინიგზის Rიბი 20.